

ს ა ო ჯ ა ს ო ს ა მ ა რ თ ლ ი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე
2018, №7

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)
2018, №7

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)
2018, №7

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)
2018, №7

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **გიორგი ჭყონიკა**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 299 04 18; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

1. მეუღლეთა უზღაბები და მოვალეობები

ქონების გაყოფა განქორწინებისას

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1169-1089-2017

24 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ქონების მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2010 წლის 03 ივნისს მ. დ-ია (შემდეგში: მოსარჩელე) და თ. დ-ია (შემდეგში: მოპასუხე) გატარდნენ ქორწინების რეგისტრაციის ციხეში.

2. მხარეებს ჰყავთ ოთხი არასრულწლოვანი შვილი: ა. დ-ია (დაბ. 02.09.2010), კ. დ-ია (დაბ. 20.08.2011), ბ. დ-ია (დაბ. 15.11.2013) და ვ. დ-ია (დაბ. 15.11.2013).

3. მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ა-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებულია მოპასუხე.

4. ქალაქ მოსკოვის ვერნადსკის რაიონის სასამართლოს 18.10.2012წ. გადაწყვეტილებით მხარეებს შორის შეწყდა ქორწინება.

5. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომართვის თანახმად, მოპასუხეს 2015 წლის 22 იანვარს ეცნობა, რომ იგი არ იმყოფება ქორწინებაში.

6. 2014 წლის 15 მაისს მ. კ-იასა და მოპასუხეს შორის გაფორმდა უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება უძრავ ქონებაზე მდებარე მცხეთის რაიონი, სოფელი ა.

7. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის მიმართ მცხეთა-ში, სოფელ ა-ში მდებარე უძრავი ქონების $\frac{3}{4}$ ნაწილის მიკუთვნების შესახებ.

8. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველ შედეგებაში მიუთითა სადავო უძრავ ქონებაზე თანასაკუთრების რეჟიმის არარსებობის ფაქტზე და განმარტა, რომ ქონება შეიძინა განქორწინების

ნებიდან 2 წლის გასვლის შემდეგ.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 01 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოსარჩელე ცნობილ იქნა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ა-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ ...) 1/2 ნაწილის მესაკუთრედ.

10. თბილისის საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ განჩინების პპ: 1-6 ში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. იმავდროულად, დაადგინა, რომ 2013 წლის 14 მაისს მოპასუხემ რეკომენდაცია გაუწია მოსარჩელეს, ამ უკანასკნელისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებით.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით მოპასუხე ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან, რაც უცვლელადაა დატოვებული 2015 წლის 04 თებერვლის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით.

12. 2014 წლის 01 თებერვლიდან დღემდე მოპასუხე მუშაობს სპორტულ ცენტრში მენეჯერად. მოპასუხე ასრულებს მის შრომით ფუნქციებს დისტანციურად „ინტერნეტ“ ქსელის მეშვეობით და მისი ყოველთვიური ხელფასი შეადგენს 20 000 რუბლს.

13. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით მოპასუხემ წარადგინა სააპელაციო საჩივარი, რაზედაც უარი ეთქვა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 28 ივნისის განჩინებით უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

14. სააპელაციო პალატამ დავის სწორად გადაწყვეტის მიზნებისათვის იმსჯელა იმ საკითხზე, სადავო უძრავი ქონების შეძენის მომენტისთვის მხარეებს შეწყვეტილი ჰქონდათ თუ არა ფაქტობრივად ცოლ-ქმრული ურთიერთობა და ცხოვრობდნენ თუ არა ცალ-ცალკე.

15. ამ თვალსაზრისით, დადგენილად მიიჩნია, რომ კანონიერ ძალაში შესული 2012 წლის 18 ოქტომბრის რუსეთის ფედერაციის სასამართლო გადაწყვეტილებით 2010 წლის 3 ივნისს მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა, თუმცა ცოლ-ქმარი განაგრძობდა ერთ ოჯახად ცხოვრებას ქ. თბილისში, აპელანტის მშობლების ბინაში, ზრდიდნენ შვილებს და ეწე-

ოდნენ საერთო მეურნეობას (მტკიცებულებები: მხარეთა განმარტებები, სარეკომენდაციო წერილი მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით, შვილების შექმნის ფაქტი 2013 წლის 15 ნოემბერს, სასამართლო გადაწყვეტილებები ოჯახური ძალადობის ფაქტზე ამ განჩინების პპ: 1-8).

16. დავის მონესრიგებისას სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 1158-ე, 1161-ე და 1162-ე მუხლებით. სააპელაციო პალატამ სადავო ქონება მხარეთა თანაზიარ საკუთრებად მიიჩნია, რადგან დასტურდებოდა, რომ შექმნილი იყო მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში, სახელდობრ, მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ სადავო უძრავი ქონების შექმნის დროისათვის მხარეები ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ და ეწოდნენ საერთო მეურნეობას, ხოლო სსკ-ის 1168.3 მუხლის მიზნებისთვის ქორწინების რეგისტრაციის ფაქტს გააჩნდა ფორმალური მნიშვნელობა, სადავო უძრავი ქონება თანაზიარ საკუთრებას წარმოადგენდა.

17. სააპელაციო პალატამ აგრეთვე მიუთითა სსკ-ის 1164-ე მუხლის დანაწესზე, რომლის მიხედვით, მეუღლეთა საერთო ქონება თითოეული მეუღლის მოთხოვნით შეიძლება გაიყოს როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე მისი შეწყვეტის შემდეგ. ამასთანავე, ქორწინების განმავლობაში დასაშვებია, საერთო ქონების როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ გაყოფა და ქონების ის ნაწილი, რომელიც არ გაყოფილა და, აგრეთვე, ქონება, რომელსაც მეუღლეები შეიძენენ მომავალში, ჩაითვლება მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუკი საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (სკ-ის 1167-ე მუხლი).

18. იმავდროულად, სააპელაციო პალატამ მიუთითა სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებზე, რომელიც არეგულირებს მეუღლეთა წილის თანაბრობიდან გადახვევის საგამონაკლისო საკითხს და აწესებს, რომ არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით შეიძლება აღნიშნულის დაშვება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ ნორმატიული საფუძვლით სასამართლოს შეუძლია თითოეული მეუღლის საკუთრებად ცნოს ის ქონება, რომელიც შექმნილია თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალკე ცხოვრების დროს.

19. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 28 ივნისის განჩინების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით მოპა-

სუსემ წარმოადგინა საკასაციო საჩივარი.

20. კასატორი სადავოდ ხდის დავის განხილვაზე სასამართლოების კომპეტენციას და დავის გადაწყვეტის მატერიალურ სამართალს. ამ მიმართულებით, წარმოდგენილი შედავება ეფუძნება შემდეგ მოსაზრებებს: ქორწინება განხორციელდა რუსეთში. მხარეები იყვნენ რუსეთის მოქალაქეები 2010 წლის 3 ივნისისათვის და კასატორმა 2011 წელს, ხოლო მონინალმდეგე მხარემ 2013 წელს მიიღეს საქართველოს მოქალაქეობა, განქორწინება კი – 2012 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოხდა.

21. ზემოაღნიშნული შედავების კუთხით კასატორი აგრეთვე მიუთითებს, რომ ქორწინების შეწყვეტის ფაქტის დასადაგენად სასამართლოს უნდა გამოეყენებინა რუსეთის ფედერაციის საოჯახო კოდექსის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი და 160-ე მუხლი. სასამართლოს ვალდებულებაა გააგზავნოს მმარის ორგანოებში განქორწინების რეგისტრაციის შესახებ ამონაწერი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან მმარის ორგანოებში ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის ადგილისამებრ, თუმცა, აღნიშნულ ორგანოში განქორწინების ჩანაწერის არ არსებობა არ ადასტურებს იმას, რომ ქორწინება მეუღლეებს შორის არ იყო გაუქმებული. კასატორის განმარტებით, ვინაიდან კანონი არ ავალდებულებს მეუღლეებს, რომელთა ქორწინება იყო სასამართლო დავის საგანი, დაარეგისტრირონ განქორწინება მმარის ორგანოებშიც, სამართლებრივი მდგომარეობის გაურკვევლობას შესაძლოა ქონდეს ხანგრძლივი ხასიათი. შესაბამისად, კანონი არ უკავშირებს ამ ორგანოში განქორწინების რეგისტრაციას ქორწინების შეწყვეტის მომენტს.

22. საკასაციო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის ქორწინების შეწყვეტა მოხდა 2012 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლით ამავე წლის 20 ნოემბერს. სასამართლოს მსჯელობა კი ალოგიკურია იმაზე მიუთითებთ, რომ მონინალმდეგე მხარემ არ იცოდა განქორწინების შესახებ, ვინაიდან, იგი სასამართლო სხდომაზე მიწვეული იყო და გაასაჩივრა კიდეც განქორწინების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, ხოლო მის მიერ სააპელაციო სასამართლოს საქმის განხილვისას გაკეთებული განცხადება, რომ არ იცოდა განქორწინების შესახებ, ვერ გახდება გადაწყვეტილების ნამდვილობის ეჭვქვეშ დაყენების საფუძველი. ასევე, კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო განქორწინების თარიღად უთითებს რამდენიმე თარიღს და არა 2012 წლის 20 ნოემბერს, რადგან საქმის გარემოებებით დადგენილია, რომ მე-

უღლები შვილებთან ერთად ცხოვრობდნენ ერთ ოჯახად და ეწეოდნენ საერთო საოჯახო მეურნეობას 2014 წლის 27 დეკემბრამდე.

23. საკასაციო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა ადამიანი უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „კრონი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ“, ვინაიდან, აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე სასამართლო მსჯელობს ოჯახზე, თანაცხოვრებაზე და არა ქორწინების ცნებაზე, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით მეუღლეთა შორის საერთო საკუთრების წარმოშობის საფუძველია.

24. საკასაციო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო გამოიყენებდა ქართულ კანონმდებლობას, სასამართლოს მხოლოდ სსკ-ის 1151-ე და 1158-ე მუხლების შესაბამისად უნდა ემსჯელა მეუღლეთა საერთო საკუთრების საკითხზე.

25. კასატორი უთითებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე საქმეზე №28/2881-12. კასატორი უთითებს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე საქმეზე №ას-7-7-2016, რომლის მიხედვითაც სსკ-ის 1151-ე მუხლი მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების ფაქტს უკავშირებს მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის მომენტს და ამ ნორმის სხვაგვარი განმარტება ეწინააღმდეგება მის ნორმატიულ შინაარსს. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების 6.3 პუნქტში მითითებული ნორმის (სსკ-ის 1158-ე მუხლი) განმარტება კასატორს არასწორად მიაჩნია. იგი ასევე, უთითებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების 6.4 და 6.5 პუნქტებზე და თვლის, რომ სასამართლოს უნდა დაედგინა ქორწინების/განქორწინების ფაქტი, ასევე, ის საკითხი, ხომ არ იყო ქონება მნიშვნელოვნად გადაკეთებული (ღირებულების გაზრდის ფაქტი) მეუღლეთა ერთობლივი ძალისხმევის შედეგად.

26. საკასაციო საჩივრის ავტორი ასევე არ ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების 6.6 და 6.7 პუნქტებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ვინაიდან, კასატორის მიერ ქონების შეძენის მომენტისათვის სახეზე არ იყო რეგისტრირებული ქორწინება და მეუღლეები განქორწინებულები იყვნენ რუსეთის კანონმდებლობის შესაბამისად.

27. აქედან გამომდინარე, კასატორი სადავოდ ხდის განქორწინების თარიღს და ასეთად მიუთითებს 2012 წლის 20 ნოემბერს. ასევე, აღნიშნავს, რომ განსახილველი დავის გადაწყვე-

ტისას უნდა ვიხელმძღვანელოთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილებით საქმეზე №ას-314-296-2010, სადაც მსგავსად მოცემული შემთხვევისა, საუბარია ქორწინების შეწყვეტის მომენტზე და არა ორი ადამიანის ფაქტობრივ თანაცხოვრებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სსკ-ის 1168-ე მუხლის მიზნებისათვის ქორწინების რეგისტრაციის ფაქტს ექნებოდა მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა. აღნიშნული კი, კასატორის აზრით, ეწინააღმდეგება არსებულ პრაქტიკასა და კანონმდებლობას.

სამოტივაციო ნაწილი:

28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 02 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

29. განსახილველ საქმეში, საკასაციო საჩივრით სადავოა საქართველოს სასამართლოების კომპეტენცია და გამოსაყენებელი ქვეყნის სამართალი. ამგვარი შედავების საფუძველად კასატორი მიუთითებს იმ გარემოებებზე, რომ ქორწინება განხორციელდა რუსეთში. მხარეები იყვნენ რუსეთის მოქალაქეები 2010 წლის 3 ივნისისათვის და კასატორმა 2011 წელს, ხოლო მოწინააღმდეგე მხარემ 2013 წელს მიიღეს საქართველოს მოქალაქეობა, განქორწინება კი – 2012 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოხდა.

30. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მიერ წარმოდგენილ შედავებას და მოიხმობს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონს, რომელშიც სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის საკითხებს დათმობილი აქვს მე-8-მე-20 მუხლები. სპეციალური კანონის მე-10 მუხლის მიხედვით საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია იმ სარჩელებზე, რომლებიც ეხება: უძრავ ქონებას, თუ ეს ქონება საქართველოშია. მოცემულ საქმეზე სადავოა არა მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტის საკითხი, არამედ, უძრავ ქონებაზე თანასაკუთრების წარმოშობის საკითხი, ხოლო დავის განხილვის დროისათვის მოდავე მხარეები არიან საქართველოს მოქალაქეები და ხოლო სადავო უძრავი ქონებაც მდებარეობს საქართველოში.

31. ამასთან, კასატორი პრეტენზიას ამყარებს სსკ-ის 1168-ე მუხლის გამოყენების წინაპირობების არარსებობაზე და აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო გამოიყენებდა

ქართულ კანონმდებლობას, სასამართლოს სსკ-ის 1151-ე და 1158-ე მუხლების შესაბამისად უნდა ემსჯელა მეუღლეთა საერთო საკუთრების წარმოშობის საფუძველებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სსკ-ის 1168-ე მუხლის მიზნებისათვის ქორწინების რეგისტრაციის ფაქტს ექნებოდა მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა. აღნიშნული კი, კასატორის აზრით, ეწინააღმდეგება არსებულ პრაქტიკასა და კანონმდებლობას.

32. საკასაციო პალატა მიუთითებს მეუღლეთა თანასაკუთრების სამართლებრივი საკითხზე, რომელიც განმარტებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში: „...საოჯახო კანონმდებლობით მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად: ინდივიდუალურ ანუ განცალკევებულ და საერთო თანაზიარ საკუთრებად. ინდივიდუალურია ისეთი ქონება, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის და თვითონვე განკარგავს. აღნიშნული დანაწესი რეგულირდება სსკ-ის 1161-ე-1162-ე მუხლებით. თანაზიარ ქონებად ჩაითვლება მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შექმნილი ყოველგვარი ქონება (უძრავი და მოძრავი), რომელიც შექმნილია (ან შექმნილია) ორივე მეუღლის ერთობლივი შრომითა და სახსრებით, ასევე ის ქონება, რომელიც შექმნილია ერთ-ერთი მეუღლის მიერ იმ შემთხვევაშიც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატრიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი. საპატრიო მიზეზი შეიძლება უკავშირდებოდეს მხოლოდ პირის სურვილის საწინააღმდეგოდ, მისი ჯანმრთელობის ან სხვა მიზეზის გამო, დამოუკიდებელი შემოსავლის მიუღებლობას. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს იმას, ქონება შექმნილია ერთ-ერთი მათგანისა, თუ ორივე მეუღლის მიერ. უძრავ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველია მეუღლეთა მიერ ამ ქონების შექმნა ქორწინების განმავლობაში. ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა შორის შექმნილ ქონებაზე თანასაკუთრების რეჟიმის დანესებით, კანონმდებელი ხელმძღვანელობს იმ ვარაუდით, რომ როგორც წესი, ასეთი ქონება იქმნება მეუღლეთა ერთობლივი სახსრებით, საოჯახო მეურნეობის ერთობლივი გაძღოლითა და ერთობლივი შრომით. მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში შექმნილ ქონებას (მეუღლეების საერთო ქონებას) მიეკუთვნება, როგორც შრომის საქმიანობით მიღებული ორივე მეუღლის შემოსავალი, ასევე სამენარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და სხვა სახის შემოსავალი, რომლებსაც სპეციალური მიზნობრივი დანიშნულება არ აქვთ, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქონება, რომელიც შექმნილია მეუღლეების მიერ ქორწინების გან-

მავლობაში მიუხედავად იმისა, ვის სახელზეა იგი შექმნილი ან რომელი მეუღლის მიერ არის გადახდილი თანხა“ (იხ., სუსგ №ას-7-7-2016, 16 მარტი, 2016 წელი).

33. ამავე საქმეში საკასაციო პალატამ იმსჯელა სსკ-ის 1151-ე მუხლის ნორმატიულ მიზანზე, რა დროსაც განმარტა, რომ კანონი მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების ფაქტს უკავშირებს მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობას და მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის მომენტთან მიმართებაში, მითითებული ნორმის სხვაგვარი განმარტება ეწინააღმდეგება მის ნორმატიულ შინაარსს. ამ მოსაზრების გასამყარებლად არც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე: *Kroon v. the Netherlands* გამოყენებული განმარტებაა სამართლებრივად ვარგისი.

34. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმ ნაწილში, რომ მხარეთა განქორწინების შემდეგ სსკ-ის 1151-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი დაუშვებლად მიიჩნევს ქონებაზე თანასაკუთრების წარმოშობის შესაძლებლობას და მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 12 ოქტომბრის განჩინებაზე (№ას-749-717-2016), რომელშიც მხარეს უარი ეთქვა თანასაკუთრების აღიარებაზე იმ ფაქტობრივ გარემოებაზე მითითებით, რომ საქმის მასალებით მხარეთა შორის განქორწინების რეგისტრაცია დადგენილი იყო.

35. განსახილველ საქმეში კი, საგულისხმოა ის გარემოება, რომ მოპასუხემ/კასატორმა სსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე ვერ შეძლო იმის დადასტურება, რომ მხარეთა შორის ქორწინება შეწყვეტილი იყო სადავო უძრავი ქონების შექმნის მომენტში. სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, განქორწინებისათვის სავალდებულოა მისი რეგისტრაცია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ, თუ ერთ-ერთი მეუღლე მაინც არის საქართველოს მოქალაქე. გარდა ამისა, შესაგებელზე მოპასუხის მიერვე დართული მხარეთა განქორწინების შესახებ რუსეთის ფედერაციის 2012 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქარველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების შესახებ გარემოება მოპასუხეს არ დაუდასტურებია.

36. პირიქით, საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ 2012 წლის შემდგომაც მხარეები განაგრძობდნენ ერთ ოჯახად ცხოვრებას ქ. თბილისში, აპელანტის მშობლების ბინაში, ერთად ზრდიდნენ ოთხ არასრულწლოვან შვილს და ეწეოდნენ საერთო მეურნეობას (მტკიცებულებები: მხარეთა განმარტებები, კასატორის მიერ გაცემული სარეკომენდა-

ციო წერილი მოსარჩელის, როგორც მეუღლის მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით, 2013 წლის 15 ნოემბერს შვილის შექმნის ფაქტი, სასამართლო გადაწყვეტილებები კასატორის მხრიდან მოსარჩელე მეუღლის მიმართ ოჯახური ძალადობის ფაქტზე (ამ განჩინების პპ: 1-8, 17).

37. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებუ-

ლი განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არც დასაბუთებული პოზიციისა წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან ანდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ საერთაღმართან წინააღმდეგობის საფუძველით.

38. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით, ვინაიდან მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივ საკითხებზე დადგენილია უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა.

39. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას საკასაციო საჩივარი, რის გამოც, საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

40. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. თ. დ-იას საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. კასატორ თ. დ-იას უკან დაუბრუნდეს ნ. ა-ის მიერ 2017 წლის 16 აგვისტოს საგადახადო დავალება №1 გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან (3750 ლარი) 2625 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**არასრულწლოვანი შვილების ინტერესების
გათვალისწინება თანასაკუთრების გაყოფისას**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-752-703-2017

31 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაძე, ჯ.
ბ. ალავეცი**

დავის საგანი: ქონების თანამესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ს. ლ-ო (შემდეგში: მოსარჩელე ან აპელანტი ან კასატორი ან დედა) და ა. ლ-ო (შემდეგში: მოპასუხე ან მოწინააღმდეგე მხარე ან მამა) დაქორწინდნენ 2002 წლის 15 აგვისტოს.

2. ქორწინების პერიოდში მათ შეეძინათ ორი შვილი: 2003 წლის 4 ივნისს – გ. ლ-ო, ხოლო 2011 წლის 22 თებერვალს – ა. ლ-ო (შემდეგში – მხარეთა არასრულწლოვანი შვილები).

3. 2016 წლის 4 მარტს მხარეები განქორწინდნენ.

4. განქორწინების შემდეგ შვილები საცხოვრებლად დარჩნენ დედასთან, ხოლო მამას დაეკისრა აღიშენების გადახდა 2015 წლის 15 დეკემბრიდან მათ სრულწლოვანებამდე.

5. მხარეებმა ერთად ცხოვრების განმავლობაში შეიძინეს ქ. ბათუმში, ფ-ის ქუჩა №... ა-ის ქუჩა №16-ში მდებარე ბინა №... (ს/კ: ...) (შემდეგში: სადავო უძრავი ქონება ან სადავო ბინა), რომელიც საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მოპასუხის საკუთრების უფლებით. სასამართლოში აღნიშნული საქმის განხილვის დროისათვის სადავო ბინაში ცხოვრობენ დედა და მხარეთა არასრულწლოვანი შვილები.

6. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ, სადავო ბინის თანამესაკუთრედ ცნობისა და მის 1/2 ნაწილზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 1158-ე და 1168.2 მუხლები].

7. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მოსარჩელემ მიუთითა, რომ სადავო უძრავი ქონება მხარეებმა შეიძინეს შავი კარკასის სახით. იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე არის მეზ-

ღვაური და დროის უმეტეს ნაწილს ატარებს სამსახურში (ზღვა-ში) სადავო ბინის რემონტი ჩაატარა მოსარჩელემ. 2015 წლიდან მეუღლეთა შორის არსებული ურთიერთობა გაუარესდა, მოპასუხემ შეწყვიტა მხარეთა არასრულწლოვან შვილებთან ურთიერთობა და მათზე ზრუნვა, ემუქრება მეუღლეს ბინიდან გამოსახლებით (იხ., სარჩელის საფუძვლები).

8. მოპასუხემ თავდაპირველ სარჩელზე წარადგენილი შესაგებლით სადავო გახადა მხოლოდ სადავო ბინის გარემონტებისას მოსარჩელის სახსრების გამოყენება და აღნიშნა, რომ მოსარჩელე დასახლისია, ხოლო მოპასუხის ხელფასი 9000 აშშ დოლარია. შესაბამისად, სადავო ბინის მოპასუხის სახსრებით გარემონტებაზე მიუთითა. იმავდროულად, დაეთანხმა სადავო ბინაზე მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის ფაქტსა და მორიგების პირობად მოსარჩელეს შესთავაზა ბინის ღირებულების ნახევარი – 42 500 ლარი (იხ., შესაგებელი თავდაპირველ სარჩელზე).

9. მოგვიანებით, მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელით ნაცვლად სადავო ბინის 1/2 ნაწილისა და საკუთრების უფლების აღიარება მოითხოვა, 1/3 ნაწილზე. მოთხოვნის გაზრდის ფაქტობრივ გარემოებად დაასახელა თავდაპირველი სარჩელის წარდგენის შემდეგ, სასამართლო გადაწყვეტილებით მხარეთა შორის ბავშვებთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა და ბავშვების საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა. აგრეთვე, აღნიშნა, რომ მოპასუხე არ ზრუნავს შვილებზე და მათ აღზრდაში მოსარჩელეს არ ეხმარება (იხ., დაზუსტებული სარჩელი).

10. მოპასუხე სარჩელის გაზრდილ მოთხოვნას არ დაეთანხმა.

11. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოსარჩელე ცნობილ იქნა სადავო უძრავი ქონების თანამესაკუთრედ და აღნიშნული უძრავი ქონების 1/2 ნაწილი მიეკუთვნა მას. გადაწყვეტილების შესაბამისად, დადგინდა საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილების განხორციელება.

12. სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში, გადაწყვეტილების გაუქმებისა და მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს უარი ეთქვა სააპელაციო საჩივრის განხილვის ეტაპზეც.

13. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა განჩინების პპ: 1-5.

14. სააპელაციო პალატამ დავა მოანესრიგა სსკ-ის 1168-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და აღნიშნა, რომ სარჩელი წარმატებული იყო მხოლოდ სადავო ქონებიდან 1/2 წილის მიკუთვნების ნაწილში. სადავო ქონებაში წილის გაზრდის ნაწილში, მოთხოვნა უარყოფილი იქნა. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ამ ნაწილში, მოთხოვნის განხორციელებას მოსარჩელე იმ გარემოებაზე დაყრდნობით მოითხოვდა, რომ მასთან შვილები ცხოვრობენ. ამავ მუხლის მე-2 ნაწილი ამგვარ შესაძლებლობას ითვალისწინებდა, თუმცა, მხოლოდ ეს გარემოება ქონებაში ერთ-ერთი მეუღლის წილის გაზრდას საფუძვლად ვერ დაედებოდა. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული გავლენას ვერ მოახდენდა ბავშვების უფლებრივ და ფაქტობრივ მდგომარეობაზე, რადგანაც ისინი სამართლებრივად და ფაქტობრივადც იმავე მდგომარეობაში დარჩებიან, რა მდგომარეობაშიც მათი მშობლების წილთა თანაფარდობის შემთხვევაში იქნებოდნენ. ამიტომ, მოსარჩელეს ისიც უნდა მიეთითებინა და დაემტკიცებინა, რომ საერთო ქონებაში მისი წილის გაზრდა ბავშვების ინტერესების დასაცავად აუცილებელი იყო. ამგვარ ფაქტებზე კი, აპელანტს არ მიუთითებია.

15. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, რომელმაც მისი ნაწილობრივი გაუქმება და სადავო ქონების 2/3 ნაწილის მიკუთვნების ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

16. საკასაციო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ბავშვები აღსაზრდელად როგორც დე-ფაქტოდ, ასევე, დე-იურედ იმყოფებიან მასთან. მოწინააღმდეგე მხარე არ ზრუნავს შვილებზე, დედას არ ეხმარება ბავშვების რჩენა-აღზრდაში და არ იხდის აღიშენებს. ასევე, არ მოუთხოვია შვილების ნახვა და შესაბამისად რაიმე ფორმით არ დახმარება მათზე ზრუნვაში. გარდა ამისა, კასატორის განმარტებით, მოწინააღმდეგე მხარეს აინტერესებს მხოლოდ განქორწინების საკითხი და მას გადაწყვეტილი აქვს მეორე ოჯახის შექმნა, შესაბამისად, იგი წინააღმდეგია შერიგებაზე. საკასაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, არ არსებობს რაიმე კონკრეტული მიზეზი ოჯახის დანგრევისა და მოწინააღმდეგე მხარე ვერ ასახელებს აღნიშნულის თაობაზე რაიმე კონკრეტულ მიზეზს.

17. კასატორი აღნიშნავს, რომ მორალური პრინციპებიდან გამომდინარე თავად მოპასუხის მშობლებიც, კერძოდ, დედა ვალდებულია დაეხმაროს მოსარჩელეს და იზრუნონ მისი შვილის შვილების აღზრდაზე; იგი უპირველესყოვლისა უნდა ცდილობდეს მხარეთა შერიგებას. ნაცვლად ამისა, იგი არწმუნებს

მის შვილს – მოპასუხეს რომ არ შეურიგდეს მის მეუღლეს, მონინალმდეგე მხარე კი დამოუკიდებლად ვერ იღებს გადაწყვეტილებას.

18. საკასაციო საჩივრის ავტორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 1199-ე მუხლი რომლის თანახმად, მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს. კასატორი აღნიშნავს, რომ მას არ აქვს სხვა საცხოვრებელი ადგილი და უმუშევარია, ხოლო მონინალმდეგე მხარე მეზღვაურია და მისი ხელფასი 14 000 აშშ დოლარს აღემატება. კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლი, რომლის მე-2 ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი. ამდენად, სასამართლომ უნდა გაიზიაროს ის ფაქტობრივი გარემოება, რომ დღეის მდგომარეობით, მცირეწლოვანი ბავშვების საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა დედის – მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილი.

19. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 1198-ე მუხლი რომლის თანახმად, განისაზღვრება მშობლის მოვალეობები შვილის მიმართ. ამ მუხლის 1-ლი, მე-3 და მე-5 ნაწილების თანახმად, მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით; მშობლებს უფლება აქვთ, განსაზღვრონ, თუ ვისთან და სად უნდა იცხოვროს შვილმა; მშობლებს ენიჭებათ უფლება და ეკისრებათ ვალდებულება, ჰქონდეთ ურთიერთობა თავიანთ შვილებთან, განსაზღვრონ თავიანთ შვილებთან მესამე პირთა ურთიერთობის უფლება. კასატორი განმარტავს, რომ კანონის აღნიშნული ნორმების ანალიზით დგინდება, რომ ბავშვის ნორმალური აღზრდისათვის უმთავრესი ვალდებულება და პასუხისმგებლობა სწორედ მშობელს ეკისრება. მშობელია უფლებამოსილი — ბავშვთან დაკავშირებით მიიღოს ყველა ის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელსაც მიიჩნევს, ბავშვის ინტერესის უპირატესი გათვალისწინებით, ყველაზე უფრო მიზანშეწონილად და გამართლებულად.

20. საკასაციო საჩივრის ავტორის მითითებით, მოცემულ საქმეზე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მონინალმდეგე მხარე მეზღვაურია და წელიწადის დროის უმეტეს ნა-

წილს ატარებს საზღვარგარეთ, შესაბამისად, ბავშვებზე ზრუნავს მხოლოდ დედა.

21. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა „ბავშვთა უფლებათა კონვენციის“ მე-9 მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს. ეს შეიძლება აუცილებელი გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, როცა მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს და არ ზრუნავენ მასზე ან როცა მშობლები ცხოვრობენ ცალ-ცალკე და აუცილებელია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. კასატორი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში მცირეწლოვანი შვილების დაშორება დედასთან დაუშვებელია.

22. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 1168.2 მუხლი, რომლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისი არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით; კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გადიდდეს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები. კასატორის განმარტებით, მასთან ცხოვრობს ორი არასრულწლოვანი შვილი და მათზე მზრუნველობას ახორციელებს მხოლოდ იგი. ამდენად, მოითხოვს სადავო ბინის მხოლოდ 1/3 ნაწილი მიეკუთვნოს მონინააღმდეგე მხარეს, ხოლო 2/3 ნაწილი კი, კასატორს.

23. კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება წილის განაწილების თაობაზე დაუსაბუთებელია, ვინაიდან, ამ ნაწილში სასამართლოს მიერ დამტკიცებულად მიჩნეული გარემოებები ეწინააღმდეგება ერთმანეთს და მოცემულ საქმეზე შესაფასებელია სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული გარემოებები, კერძოდ: გასაჩივრებული გადაწყვეტილების 5.2.3; 5.2.5; 5.2.6 პუნქტების მიხედვით სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ განქორწინების შემდეგ არასრულწლოვანი შვილები საცხოვრებლად დარჩნენ დედასთან (კასატორთან), ხოლო მონინააღმდეგე მხარეს დაეკისრა ალიმენტის გადახდა 2015 წლის 15 დეკემბრიდან ბავშვების სრულწლოვანე-

ბამდე. ამასთან, სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ სადავო ქონების შექმნა 2013 წლის 26 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში მოხდა და იგი წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს, რომ მონინალმდევე მხარე მეზღვაურია და მას აქვს სოლიდური შემოსავალი, ხოლო კასატორი – დიასახლისი. საკასაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ სადავო ქონების შექმნა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა სწორედ ქორწინების განმავლობაში, შესაბამისად იგი წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას, მიუხედავად იმისა, თუ ვის სახელზე აღირიცხა თავის დროზე იგი საჯარო რეესტრის მონაცემებში. კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არსებული საკასაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებული პრაქტიკის საწინააღმდეგო განმარტება გააკეთა, კერძოდ: სსკ-ის 1164-ე მუხლის შესაბამისად მეუღლეთა საერთო ქონება თითოეული მეუღლის მოთხოვნით შეიძლება გაიყოს როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე მისი შეწყვეტის შემდეგ, ხოლო ამავე კოდექსის 1168-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დადგენილია, რომ იმ ქონების გაყოფისას, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს მეუღლეთა წილი თანაბარია, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამავე ნორმის მეორე ნაწილის შესაბამისად კი, სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გადიდდეს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუუნაროა, ანდა თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ. კასატორი აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს მეუღლეთა წილის თანაბრობიდან გადახვევის საფუძველი, ვინაიდან საქმის მასალებით არ დგინდება კასატორის შრომისუუნარობა, ან მონინალმდევე მხარის მიერ ოჯახის ინტერესების საწინააღმდეგოდ თანხების დახარჯვის ფაქტი. უფრო მეტიც, როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება მონინალმდევე მხარის მიერ ხდებოდა სოლიდური თანხების გადაცემა კასატორზე, რომლის მიერაც ხდებოდა სწორედ ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე თანხების განკარგვა. ამასთან, დადგენილია, რომ სა-

დაო ფართში განთავსებულია თანასაკუთრებაში არსებული საკ-
მაოდ ძვირადღირებული მოძრავი ნივთები, რომლითაც ამჟამად
სარგებლობს კასატორი არასრულწლოვან შვილებთან ერთად
და რომლებზედაც როგორც სასამართლო სხდომაზე მოპასუ-
ხის წარმომადგენელმა განმარტა არავითარი ინტერესი მოწი-
ნააღმდეგე მხარეს არ გააჩნია. სააპელაციო სასამართლოს ამ-
გვარი დასკვნა არასწორად მიაჩნია კასატორს, რადგან ბავშვე-
ბი იმყოფებიან მისი მეთვალყურეობის ქვეშ, ხოლო მოპასუხე
კი, არ ზრუნავს შვილებზე.

სამოტივაციო ნაწილი:

24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-
მეთა პალატის 2017 წლის 28 ივნისის განჩინებით საკასაციო სა-
ჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და
391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

25. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო
საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ
საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის
მოთხოვნებს, რის გამოც, მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად.

26. განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვე-
ტილებით დადგინილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ და-
საბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება) წარმოდგინი-
ლი არ არის [სსსკ-ის 407.2 მუხლი]. შესაბამისად, განჩინების პპ:
1-5 საკასაციო პალატისათვის სავალდებულოა.

27. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი
მიღწევაც მოსარჩელეს სურს, ქონების გაყოფისას, რომელიც
მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს, წილთა თანაბრო-
ბიდან გადახვევა და სადავო ქონების 1/2 წილის ნაცვლად (სარ-
ჩელის დაკმაყოფილებული ნაწილი) 2/3 ნაწილის მიკუთვნება,
სარჩელი დაკმაყოფილებადი იქნებოდა სსკ-ის 1168-ე მუხლის
შემდეგი წინაპირობების განხორციელების შემთხვევაში, რო-
გორცაა არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერ-
თი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების არსებობა.

28. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, სსკ-ის 1158-ე მუხ-
ლის პირველი ნაწილის თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორწინების
განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქო-
ნებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკ-
რულებით სხვა რამ არ არის დადგინილი. ამავე მუხლის მე-2 ნა-
წილის თანახმად, ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების
უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა
საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მი-

ზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი. ნორმის დანაწესით განსაზღვრულია მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი, რომლითაც დადგენილია მათი უფლებები ქორწინების პერიოდში შექმნილი ქონების შესახებ. მისი ნორმატიული რეგულირების მიზანია ოჯახის ინტერესების დაცვა. პრეზუმირდება, რომ ქორწინების პერიოდში შექმნილი ქონება შექმნილია ოჯახის გაძღოლის საერთო მიზნების უზრუნველსაყოფად, ამიტომ დავის შემთხვევაში, ქორწინების განმავლობაში ქონების შექმნის ფაქტი (კანონით დადგენილი გამონაკლისების გარდა) საკმარისი საფუძველია, რომ მივიჩნიოთ ეს ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებად.

29. ერთ-ერთ საქმეში, რომელშიც ანალოგიურად იქნა ნამსჯელი წილთა თანაბრობის პრინციპიდან გადახვევის მიზანშეწონილობაზე და სარჩელის მოთხოვნა უარყოფილი იქნა, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ: „სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს არასრულწლოვანი ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე საერთო წესს და თითოეულ მეუღლის საკუთრებად ცნოს ის ქონება, რომელიც შექმნილია თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს. მაგრამ იმისათვის, რომ დადგეს განსახილველი ნორმის შედეგი, აუცილებელია, თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს ქონების შექმნის ფაქტთან ერთად არსებობდეს ამავე კანონის 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანასწორობის საწყისს არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით; კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გაიზარდოს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუუნაროა, ანდა – თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ..“ (იხ. სუსგ №ას-107-338-08, 29 ოქტომბერი, 2008 წელი).

30. სხვა სამოქალაქო საქმეშიც, სარჩელის უარყოფის საფუძველად სსკ-ის 1168.2 მუხლის განხორციელების წინაპირობების დაუცველობა დასახელდა, სახელდობრ, სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: „...დადგენილი წესიდან გადახვევა უნდა უკავშირდებოდეს არასრულწლოვანი შვილების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესებს, რაც გულისხმობს იმ შემთხვე-

ვებს, როდესაც ერთ-ერთ მეუღლესთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუუნაროა, ანდა – თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ..“ (იხ., სუსგ №ას-1155-1084-2012, 14 იანვარი, 2013 წელი).

31. საგულისხმოა, რომ ერთ-ერთი საქმის ხელახლა განასახილველად დაბრუნების საფუძველად, საკასაციო პალატამ მიიჩნია სსკ-ის 1168.2 მუხლის განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებების დაუდგენლობა (იხ., სუსგ №ას-894-1180-09, 22 იანვარი, 2010 წ.) და აღნიშნა, რომ სსკ-ის 1168-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით, კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გადიდდეს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუუნაროა, ანდა – თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ. მითითებული ნორმა მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის ამგვარი განსხვავებული წესით დადგენას ითვალისწინებს მხოლოდ ამავე ნორმით ჩამოთვლილი შემთხვევების არსებობისას. მოცემული დავის გადანწყვეტისას, სააპელაციო სასამართლომ მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს გადაუხვია, რაც დაასაბუთა იმით, რომ შ. ნ-ძესთან ცხოვრობს მისი არასრულწლოვანი შვილი და მათ, გარდა სადავო უძრავი ქონებისა, სხვა საცხოვრებელი არ გააჩნიათ, თუმცა ნორმის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს არა მხოლოდ არასრულწლოვანი შვილის ერთ-ერთ მეუღლესთან ცხოვრების ფაქტი, არამედ ისეთი გარემოების ან გარემოებათა არსებობა, რომელიც სასამართლოს უქმნის მყარ შინაგან რწმენას, რომ პირის (მეორე მეუღლის) თანასაკუთრების უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს – შემცირდეს. სასამართლოს შინაგანი რწმენა უნდა ემყარებოდეს ისეთ გარემოებებს, რომლებიც ცალსახად ადასტურებენ არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობას. ეს გარემოებები შესაძლებელია იყოს არასათანადო საბინაო პირობები, არასაკმარისი საცხოვრებელი ფართი და სხვა ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც არასრულწლოვანის ინტერესშია და მის ნორმალურ აღზრდას ხელს უშლის. ამდენად, სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, რომ არასრულწლოვანი შვილი და მასთან მცხოვრები მშობელი უფრო მეტად საჭიროებენ საცხოვრებელ ფართს, ვიდრე მეორე მშობელი. დასახელებულ საქმეში, სასამართლომ

სსკ-ის 1168-ე მუხლის მეორე ნაწილით ისე განუსაზღვრა შ. ნ-ძეს უძრავ ქონებაზე 2/3 წილი, რომ არ მიუთითებია, თუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე დააყრდნო ამ მუხლის გამოყენების საჭიროება. სასამართლო არ უთითებს, მოდავე მხარეთა თანასაკუთრების თანაბრად გაყოფა რა გავლენას ახდენს არასრულწლოვანი შვილის ინტერესზე, ან მის ნორმალურ პირობებში აღზრდაზე. აღნიშნულით სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა, რომლის ძალითაც სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 1168-ე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს საკუთრების უფლების მოპოვების განსხვავებულ რეჟიმს, რაც მხოლოდ ამავე ნორმით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებშია დასაშვები. შესაბამისად, სასამართლოს გადანყვევტილება მითითებული ნორმის გამოყენებისას დასაბუთებული უნდა იყოს ისეთი ფაქტობრივი გარემოებებით, რომლებიც ადასტურებენ მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისისასგან გადახვევის აუცილებლობას.

32. ამრიგად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის სამართლებრივი საფუძველი – 1168.2 მუხლი – აკონკრეტებს, თუ რა ფაქტობრივი გარემოებები უნდა იქნას გათვალისწინებული არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების შემონეშების დროს, კერძოდ: ერთ-ერთ მეუღლესთან არასრულწლოვანი შვილების ცხოვრების ფაქტი; მისი შრომისუუნარობის ფაქტი; მეორე მეუღლის მიერ საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ ხარჯვის ფაქტი. 1168-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის აუცილებელია არსებობდეს ქონება, რომელიც შექმნილია თითოული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალცალკე ცხოვრების დროს; ქორწინების რეგისტრაციის ფაქტს ამ შემთხვევაში არ ეკისრება გადამწყვეტი მნიშვნელობა; ივარაუდება, რომ ეს ქონება არ არის შექმნილი ოჯახის ინტერესებისათვის და საერთო სამეურნეო საქმიანობის გაძლოლის მიზნით, ამასთან ერთად უნდა არსებობდეს ერთ-ერთ მეუღლესთან არასრულწლოვანი შვილების ცხოვრების ფაქტი; მეორე მეუღლის მიერ საერთო ქონების ოჯახის ინტერესების საზიანოდ ხარჯვის ფაქტი. ამ კუთხით კი, დასაბუთებისა და მტკიცების

ტვირთის მქონე მოსარჩელემ გასაგებად და დამაჯერებლად ვერ შეძლო სადავო ფაქტობრივი გარემოების დამტკიცება. კანონის მიხედვით, მოსარჩელე ვალდებულია, სარჩელში სრულყოფილად და თანამიმდევრობით ასახოს მისი მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით (სსსკ-ის 177-ე მუხლის მეასამე ნაწილი). მან ეს ვალდებულება სათანადოდ ვერ შეასრულა. მან დაზუსტებულ სარჩელში მხოლოდ იმ ფაქტობრივ გარემოებაზე მიუთითა, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები (იხ., დაზუსტებული სარჩელი; განჩინების პპ: 7, 9) და მოპასუხე არ ეხმარება მას. პირველი ფაქტობრივი გარემოება, როგორც ზემოთ აღინიშნა საკმარისი არ არის სსკ-ის 1168.2 მუხლის განხორციელებისათვის, რაც შეეხება მე-2 ფაქტობრივ გარემოებას, განჩინების პპ:4-ში დადგენილია, რომ მამას დაკისრებული აქვს ალიმენტი ბავშვების არასრულწლოვანებამდე, ამდენად, ეს ფაქტობრივი გარემოება სარჩელის დაკმაყოფილებისათვის რელევანტური არ არის. ხოლო რაც შეეხება საკასაციო საჩივრის იმ ფაქტობრივ პრეტენზიას, რომ მამა არ იხდის დაკისრებულ ალიმენტს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, ეს არის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი და გადაწყვეტილების აღუსრულებლობა, ამგვარის არსებობის შემთხვევაშიც კი, გავლენას ვერ მოახდენს სსკ-ის 1168.2 მუხლის საფუძველზე განსახილველი სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

33. კასატორის მითითება მასზე, რომ მოსარჩელეს არ აქვს სხვა საცხოვრებელი ადგილი და უმუშევარია, ხოლო მონინა აღმდეგე მხარე მეზღვაურია და მისი ხელფასი 14 000 აშშ დოლარს აღემატება, ვერ იქნება გაზიარებული, გამომდინარე იქიდან, რომ განსახილველ საქმეში სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია და მოსარჩელეს მიკუთვნებული აქვს სადავო ბინის ნახევარი (ამ ნაწილში, საკასაციო საჩივარი წარმოდგენილი არ არის); რაც შეეხება მოპასუხის ხელფასს, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოპასუხის ხელფასის ოდენობა ვერ გახდება 1168.2 მუხლის განმარტობებელი გარემოება.

34. კასატორის მითითება მასზე, რომ მოპასუხის დედა ვალდებულია დაეხმაროს მოსარჩელეს და იზრუნონ მისი შვილის-შვილების აღზრდაზე; იგი უპირველსყოვლისა უნდა ცდილობდეს მხარეთა შერიგებას. ნაცვლად ამისა, იგი არწმუნებს მის შვილს – მოპასუხეს რომ არ შეურიგდეს მის მეუღლეს, მონინა აღმდეგე მხარე კი დამოუკიდებლად ვერ იღებს გადაწყვეტილებას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორის აღნიშნულ პრეტენზიას განსახილველი დავის საგანთან დაკავშირე-

ბით შემხებლობა არ აქვს და მასზე საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს.

35. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არც დასაბუთებუ-

ლი პოზიციაა წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან ანდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან წინააღმდეგობის საფუძველით.

36. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით, ვინაიდან სსკ-ის 1168-ე მუხლის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით არსებობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც ასახულია განჩინებაში.

37. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას საკასაციო საჩივარი, რის გამოც, საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

38. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ს. ლ-ოს საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. კასატორს ს. ლ-ოს უკან დაუბრუნდეს 2017 წლის 26 ივნისს გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან (708 ლარი) 495.60 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ერთ-ერთი მეუღლის ვალის დაფარვის წესი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1426-1346-2017

2 მარტი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: ყადაღისაგან ქონების გათავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ფ/პ თ. ბ-ს (შემდეგში: თავდაპირველი მოპასუხე) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ერიცხება საგადასახადო დავალიანება.

2. სსიპ შემოსავლების სამსახურის (შემდეგში: მეორე მოპასუხე, კასატორი) 2015 წლის 29 სექტემბრის №1 აქტით გადასახადის გადამხდელის მოპასუხის დავალიანების გადახდის უზრუნველსაყოფად, მეორე მოპასუხემ ყადაღა დაადო თ. ბ-ის (შემდეგში: მოსარჩელე ანმონინალმდევე მხარე) სახელზე რეგისტრირებულ ავტომანქანებს: „მერსედეს ბენცი“ ML 350 სახელმწიფო ... და „ფორდ ტრანზიტი“ УУУ-... (შემდეგში: სადავო მოძრავი ნივთები).

3. სადავო მოძრავი ნივთები რეგისტრირებულია მოსარჩელის სახელზე.

4. მოსარჩელე და თავდაპირველი მოპასუხე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 2000 წლიდან.

5. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა თავდაპირველი და მეორე მოპასუხების მიმართ, რომლითაც მოითხოვა „ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ“ 2015 წლის 29 სექტემბრის №1 აქტით ყადაღადადებული სადავო მოძრავი ნივთების ყადაღისაგან განთავისუფლება.

6. თავდაპირველმა მოპასუხემ სარჩელი ცნო და მიუთითა, რომ სადავო მოძრავი ნივთები არ წარმოადგენს მის საკუთრებას. ისინი მოსარჩელის ინდივიდუალური სარგებლობის ნივთებია. შესაბამისად, სხვისი ვალების დასაფარად დაუშვებელია მოსარჩელის ქონებაზე გადახდევინების მიქცევა.

7. მეორე მოპასუხის განმარტებით კი, სადავო მოძრავი ნივ-

თები წარმოადგენს თავდაპირველი მოპასუხის და მოსარჩელის თანასაკუთრებას [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 1158-ე მუხლის პირველი ნაწილი და 1168-ე მუხლის პირველი ნაწილი] და იმყოფება მოსარჩელის მართვასა და ფაქტობრივ მფლობელობაში. შესაბამისად, თანასაკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთები მართლზომიერ საფუძვლეზეა დაყვანილი.

8. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. ყადაღადებული სადაო მოძრავი ნივთები გათავისუფლდა ყადაღისაგან.

9. რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია განჩინების პპ: 1-4-ით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

10. გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით სააპელაციო საჩივარი წარადგინა მეორე მოპასუხემ.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ახალციხის რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი უდავო ფაქტობრივი გარემოებები (განჩინების პპ: 1-4).

13. დავის სამართლებრივი კვალიფიკაციისათვის სააპელაციო სასამართლომ იხელმძვანელა სსკ-ის 158-ე და 186-ე მუხლებით, აგრეთვე, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 პრიმა მუხლით და განმარტა, რომ მეორე მოპასუხე სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშეც იყო უფლებამოსილი დაედო ყადაღა პირის საკუთრებაში არსებულ ან/და მის ბალანსზე რიცხულ (გარდა ლიზინგით მიღებული ქონებისა) ნებისმიერ ქონებაზე აღიარებული საგადასახადო დავალიანების ფარგლებში. თუმცა, აღნიშნული დასაშვებად არ მიიჩნევა სხვა პირთა საკუთრების უფლების შელახვას.

14. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა მეორე მოპასუხის მიერ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად ქონებაზე ყადაღის დადებისა და ყადაღადებული ქონების რეალიზაციის შესაძლებლობაზე [საქართველოს საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლისპირველი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები].

15. სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა მეორე მოპასუხის უფლებაზე, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დაედო

ყადალა პირის საკუთრებაში არსებულ ან/და მის ბალანსზე რიცხულ (გარდა ლიზინგით მიღებული ქონებისა) ნებისმიერ ქონებაზე, აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის მოცულობის ფარგლებში. აღნიშნულის შესახებ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს [საქართველოს საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის პირველი ნაწილი].

16. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ამ კოდექსის მიზნებისათვის ქონებაზე ყადაღის დადება არის პირის ქონების აღწერა ამ ქონების განკარგვის (პირის მიერ ქონების ნებისმიერი ფორმით გასხვისების, დაგირავების, იპოთეკის, უზუფრუქტის, სერვიტუტის ან აღნაგობით დატვირთვის, თხოვების, ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებების დადების, სხვისთვის დროებით ან მუდმივ მფლობელობაში გადაცემის) აკრძალვა. საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი ყადაღადადებულ ნივთებს აღნუსხავს ქონებაზე ყადაღის დადების აქტში [საქართველოს საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის მეორე ნაწილი].

17. სასამართლომ დავის გადანყვევისას იხელმძღვანელა საგადასახადო კოდექსის 242-ე მუხლით, რომლის თანახმად, საგადასახადო ორგანოს ან აღსრულების ეროვნული ბიუროს (აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ქონებაზე ყადაღის დადების პროცედურების განხორციელების შემთხვევაში) შუამდგომლობას პირის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ან პირდაპირ სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის შესახებ სასამართლო განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. საგადასახადო ორგანო/აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია მოითხოვოს მოვალის ყადაღადადებული ქონების პირდაპირ სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღიარებული საგადასახადო დავალიანება ქონების საბაზრო ღირებულების ტოლია ან აღემატება მას.

18. სასამართლომ მიუთითა მეუღლეთა თანასაკუთრების წილთა თანაბრობაზე [სსკ-ის 1168-ე მუხლის პირველ ნაწილი]. ასევე, განმარტა, რომ ერთ-ერთი მეუღლის ვალის დასაფარავად გადახდევინება შეიძლება მოხდეს მისი ქონებიდან ან/და თანასაკუთრებაში მისი წილიდან, რომელსაც იგი მიიღებდა ქონების გაყოფის შემთხვევაში [სსკ-ის 1170-ე მუხლის პირველი ნაწილი].

19. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არ

გაიზიარა მეორე მოპასუხის არგუმენტი მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე, რომლის ღია აუქციონის წესით რეალიზაციის შემთხვევაში, ამონაგები თანხის მხოლოდ 50%-ის, ანუ პირველი მოპასუხის საკუთრებაში არსებულ წილიდან მოხდებოდა დავალიანების უზრუნველყოფა. შესაბამისად, სასამართლომ განმარტა, რომ პირველი მოპასუხის წილიდან უზრუნველყოფისთვის, ჯერ უნდა განსაზღვრულიყო მისი წილი მეუღლეთა თანასაკუთრებაში, რათა დადგენილიყო რა წილს მიიღებდა/ან მიიღებდა თუ არა საერთოდ წილს იგი ქონების გაყოფისას.

20. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა სსკ-ის 1168-ე მუხლის მეორე ნაწილზე, რომლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით (ერთ-ერთი მეუღლის წილის გადიდება იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუუნაროა, ანდა – თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ).

21. ამასთან, სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 1170-ე მუხლის მეორე ნაწილზე, რომლის თანახმად, აღნიშნული ვალების გამო მეუღლეთა საერთო ქონებიდან გადახდევინება შეიძლება მაშინ, თუ სასამართლო დაადგენს, რომ, რაც ვალდებულებით იყო მიღებული, გამოყენებულია მთელი ოჯახის საერთო ინტერესებისათვის.

22. მოცემულ შემთხვევაში, დაუდასტურებელი იყო ის გარემოება, რომ პირველი მოპასუხის მიმართ არსებული საგადასახადო დავალიანება გამონვეული იყო ოჯახისათვის განეული ხარჯით და მოხმარდა ოჯახის საერთო ინტერესებს.

23. სასამართლომ მიიჩნია, რომ მიუხედავად თავდაპირველ მოპასუხესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნისა, მოსარჩელე არ იყო ვალდებული თავდაპირველი მოპასუხის ვალდებულებებზე, ვინაიდან, ყადაღადადებული მოძრავი ნივთები მოსარჩელის საკუთრებას წარმოადგენდა და ამდენად, ამ ნივთების რეალიზაციით მეორე მოპასუხის მოთხოვნის დაკმაყოფილება დაუშვებელი იყო.

24. სააპელაციო პალატის განმარტებით, თავდაპირველი მოპასუხის ვალდებულების იძულებითი აღსრულების უზრუნველყოფა შესაძლებელი იყო მხოლოდ მისი ქონებიდან და არა მისი სავარაუდო წილიდან, რომელსაც იგი მიიღებდა ქონების გაყოფისას, რადგან იმისათვის, რომ ერთ-ერთი მეუღლის ვალდებუ-

ლების გამო გადახდევინება მიქცეულიყო მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული მისი წილი ქონებიდან, აუცილებელ პირობას წარმოადგენდა მეუღლეთა შორის წილების განსაზღვრა, ან სახზე უნდა ყოფილიყო სსკ-ის 1170-ე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული გარემოება, რომელიც აღნიშნული ვალეების გამო მეუღლეთა საერთო ქონებიდან გადახდევინებას დასაშვებად მაშინ მიიჩნევს, თუ სასამართლო დაადგენს, რომ, რაც ვალდებულებით იყო მიღებული, გამოყენებულია მთელი ოჯახის საერთო ინტერესებისათვის. იმავდროულად, სასამართლო ვერ იმჯელებდა, თუ რა წილი ეკუთვნოდა თავდაპირველ მოპასუხეს მეუღლეთა თანასაკუთრებიდან, ვინაიდან, ამგვარი მოთხოვნა დაყენებული არყოფილა [სსკ-ის 248-ე მუხლი].

25. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა საგადასახადო ორგანოების და საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ კონტროლის განხორციელების, მათ შორის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების და სამართალდარღვევების საქმისწარმოების პროცედურებზე, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბერის №994 ბრძანებით დამტკიცებული „საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა დასაგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესით“.

26. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 სექტემბრის განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით მეორე მოპასუხემ წარმოადგინა საკასაციო საჩივარი.

27. კასატორი მიუთითებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, უზრუნველყოფის ერთ-ერთ ღონისძიებას წარმოადგენს ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია, ხოლო ამ კოდექსის მიზნებისათვის ქონებაზე ყადაღის დადება არის პირის ქონების აღწერა და ამ ქონების განკარგვის აკრძალვა (241-ე მუხლი).

28. კასატორი აღნიშნავს, რომ პირველ მოპასუხეს ბიუჯეტის სასარგებლოდ ერიცხებოდა აღიარებული საგადასახადო

დავალიანება, რის საფუძველზეც კასატორის მიერ 2014 წლის 27 აგვისტოს გამოიცა ბრძანება №031-22, რომელიც კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა გადასახადის გადამხდელს 2014 წლის 29 აგვისტოს, რაც დასტურდება უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.

29. საკასაციო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ქონების აღწერისას დაყადაღდა პირველი მოპასუხის მეუღლის სახელზე რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან პირველი მოპასუხის, როგორც ამ ქონებაზე თანაბარი უფლების მქონე პირის 50% წილი.

30. კასატორი მიუთითებს სსკ-ის 1158-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას(თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

31. კასატორი ასევე მიუთითებს სსკ-ის 173-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად საერთო (თანაზიარი და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე, როგორც საკუთრების ერთ-ერთი სახე და ამ წესით ქონებაზე მესაკუთრე არ არის განსხვავებული საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლისა და 242-ე მუხლის შესაბამისად სხვა სახის საკუთრების უფლებით აღჭურვილი პირებისაგან.

32. კასატორი განმარტავს, რომ ყადაღის დადების აქტში მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები შექმნილია პირველი მოპასუხისა და მოსარჩელის ქორწინების პერიოდში. სსკ-ის 1170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ერთ-ერთი მეუღლის ვალის დასაფარავად გადახდევინება შეიძლება მოხდეს მისი ქონებიდან ან/და თანასაკუთრებაში მისი წილიდან, რომელსაც იგი მიიღებდა ქონების გაყოფის შემთხვევაში. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, აღნიშნული ვალის გამო მეუღლეთა საერთო ქონებიდან გადახდევინება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ სასამართლო დაადგენს, რომ რაც ვალდებულებით იყო მიღებული გამოყენებულია მთელი ოჯახის ინტერესებისათვის.

33. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად არ ცნო ის გარემოება, რომ პირველი მოპასუხის საქმიანობა, რომელიც წარმოადგენს საცალო ვაჭრობას არასპეციალიზებულ მაღაზიებში, არ წარმოადგენდა ოჯახის საერთო შემოსავლის წყაროსა და მის საერთო ინტერესს. აღნიშნულს არ ეთანხმება კასატორი და მიიჩნევს, რომ თანხა, რომლებიც გადამხდელის მიერ მითითებულია საშემოსავლო გადასახადის

დაეკლარაციებში, წარმოადგენდა ოჯახის საერთო შემოსავალს/სარგებელს.

34. საკასაციო საჩივრის ავტორი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 23 დეკემბრის №ას-290-276-2013 გადაწყვეტილებაზე, რომელშიც საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები სპეციალური ნორმებითაა მონესრიგებული და ექვემდებარება სამართლებრივ რეგულირებას. მეუღლეთა საკუთრებაში არსებული ქონება შეიძლება იყოს სხვადასხვა რეჟიმის. მათი მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა სხვადასხვა საფუძველზე ხდება. საოჯახო კანონმდებლობით მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად: ინდივიდუალურ ანუ განცალკევებულ და საერთო თანაზიარ საკუთრებად. ინდივიდუალურია ისეთი ქონება, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის და თვითონვე განკარგავს, თანაზიარი საკუთრება კი, მეუღლეთს ეკუთვნის თანაბრად, წილთა განუსაზღვრელად და გამოიყენება საერთო ინტერესებიდან გამომდინარე.

35. კასატორი მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში განვითარებულ მსჯელობაზე, რომ არ შეიძლება საგადასახადო ვალდებულების შესრულებისათვის უზრუნველყოფით დაიტვირთოს სხვა პირის ქონება (მიუხედავად მასზე თანაზიარი უფლების არსებობისა) და მიაჩნია, რომ ამგვარი მსჯელობა კანონის არასწორი განმარტების შედეგია. საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დაადოს ყადაღა პირის საკუთრებაში არსებულ ან/და მის ბალანსზე რიცხულ (გარდა ლიზინგით მიღებული ქონებისა) ნებისმიერ ქონებას. თავდაპირველი მოპასუხის კანონით განსაზღვრული თანაზიარი წილის მის საკუთრებად მიჩნევა და შემდგომში მის მიმართ ყადაღის ღონისძიების გავრცელება აბსოლუტურად ჯდება მითითებული ნორმის დისპოზიციაში.

36. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 18 იანვრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

37. სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა სააპელაციო პალატის გასაჩივ-

რებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ, შემდეგ გარემოებათა გამო:

38. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოები, რომელთან დაკავშირებითაც სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, წარმოდგენილი არ არის საკასაციო პრეტენზია:

39. თავდაპირველ მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ერიცხება საგადასახადო დავალიანება. მოსარჩელე და თავდაპირველი მოპასუხე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 2000 წლიდან. მეორე მოპასუხის 2015 წლის 29 სექტემბრის №1 აქტივ გადასახადის გადამხდელის მოპასუხის დავალიანების გადახდის უზრუნველსაყოფად, მეორე მოპასუხემ ყადაღა დაადო სადავო მოძრავ ნივთებს.

40. მოსარჩელის პრეტენზია სადავო მოძრავი ნივთების ყადაღისაგან განთავისუფლებას შეეხება. სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლად მითითებულია ის გარემოება, რომ დაყადაღებული მოძრავი ნივთები წარმოადგენს ქორწინების განმავლობაში შექმნილ მოსარჩელის ინდივიდუალურ ნივთებს, რომლითაც უშუალოდ მოსარჩელე სარგებლობს და მართავს (იხ., სარჩელის საფუძვლები).

41. აქედან გამომდინარე, განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ უნდა შეამოწმოს არა ყადაღის დადების საფუძვლების წარმოშობის მართლზომიერება თავდაპირველსა და მეორე მოპასუხეს შორის წარმოშობილი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის კონტექსტში, არამედ, მოვალის ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად სადავო უძრავი ქონების დაყადაღების საკითხი მასზე გადახდევინების მიქცევის თვალსაზრისით.

42. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სადავო მოძრავი ნივთების ყადაღისაგან განთავისუფლების საკითხში დაეფუძნა იმ მოსაზრებას, რომ თავდაპირველი მოპასუხის ვალდებულების იძულებითი აღსრულების უზრუნველყოფა შესაძლებელი იყო მხოლოდ მისი ქონებიდან და არა მისი სავარაუდო წილიდან, რომელსაც იგი მიიღებდა ქონების გაყოფისას, რადგან იმისათვის, რომ ერთ-ერთი მეუღლის ვალდებულების გამო გადახდევინება მიქცეულიყო მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული მისი წილი ქონებიდან, აუცილებ-

ბელ პირობას წარმოადგენდა მეუღლეთა შორის წილების განსაზღვრა, ან სახეზე უნდა ყოფილიყო სსკ-ის 1170-ე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული გარემოება, რომელიც აღნიშნული ვალების გამო მეუღლეთა საერთო ქონებიდან გადახდევინებას დასაშვებად მაშინ მიიჩნევს, თუ სასამართლო დაადგენს, რომ, რაც ვალდებულებით იყო მიღებული, გამოყენებულია მთელი ოჯახის საერთო ინტერესებისათვის.

43. საგულისხმოა, რომ ამ ნაწილში, კასატორმა წარმოადგინა დასაბუთებული საკასაციო შედავება (პრეტენზია), სახელდობრ, კასატორის მოსაზრებით, ყადაღის დადების აქტი მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები შექმნილია პირველი მოპასუხისა და მოსარჩელის ქორწინების პერიოდში. სსკ-ის 1170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კი ერთ-ერთი მეუღლის ვალის დასაფარავად გადახდევინება შეიძლება მოხდეს მისი ქონებიდან ან/და თანასაკუთრებაში მისი წილიდან, რომელსაც იგი მიიღებდა ქონების გაყოფის შემთხვევაში.

44. პირველ რიგში, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „კრედიტორის წინაშე მოვალის ვალდებულება – საგადასახადო დავალიანება წარმოიშვა საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე, რაც საჯარო მართლწესრიგის სფეროს განეკუთვნება და მეუღლეთა თანასაკუთრების სამართლებრივი რეჟიმის შეფასებისას ვერ გახდება მხარეთა კერძო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი“ (შდრ: სუსგ №ას-569-540-2015, 1 ივლისი, 2016 წელი).

45. განსახილველ დავაში მხარეები არ დავობენ იმ გარემოებაზე, რომ სადავო ნივთები შექმნილია მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში (იხ., სარჩელის საფუძველები).

46. მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებასაც, რომ მათ შორის არ ყოფილა შეთანხმება (საქორწინო კონტრაქტი – სსკ-ის 1158-ე მუხლის მე-2 ნაწილი), რაც ქონების განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმზე მიუთითებდა.

47. მოსარჩელე მხოლოდ იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ სადავო ნივთები მართალია შექმნილია ქორწინების განმავლობაში, თუმცა, ისინი მოსარჩელის ინდივიდუალურ ნივთებს წარმოადგენს, რომელსაც უშუალოდ მოსარჩელე სარგებლობს და მართავს (იხ., სარჩელის საფუძველები).

48. ამ მოცემულობაში, საკასაციო პალატამ უნდა იმსჯელოს თავდაპირველი მოპასუხის ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად მართებული იყო თუ არა სადავო მოძრავი ნივთების დაყადაღება.

49. პირველ რიგში, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სა- მოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი ადგენს მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების მათ საერთო ქონებად, თანასაკუთრებად არსებობის პრეზუმფციას. ნორმა გან- საზღვრავს მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმს, რომლითაც დადგენილია მათი უფლებები ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონების მიმართ და ემსახურება ოჯახის ინტერესების დაცვის მიზანს, კერძოდ, ივარაუდება, რომ ქორწინების პერიოდში შე- ძენილი ქონება შეძენილია ოჯახის გაძღოლის, საერთო მიზნე- ბის უზრუნველსაყოფად, ამდენად, დავის შემთხვევაში ქორ- წინების განმავლობაში ქონების შეძენის ფაქტი (კანონით დად- გენილი გამონაკლისების გარდა) საკმარისი საფუძველია ქონე- ბის მეუღლეთა თანასაკუთრებად მიჩნევისათვის (მდრ: სუსგ №ას-7-7-2016, 16 მარტი, 2016 წელი).

50. ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების თანასა- კუთრებად არსებობის პრეზუმფციას რაც შეეხება, აღსანიშნა- ვია, რომ სამართალწარმოებაში პრეზუმფციების არსებობა იმი- თაა განპირობებული, რომ ფაქტების გარკვეული ნაწილი მტკი- ცებას არ საჭიროებს.

51. როგორც ცნობილია სასარჩელო წარმოებაში ყოველთვის მონაწილეობს ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე. შესაბამისად, ერთი ნაწილი მტკი- ცების საგანში შემავალი ფაქტებისა ივარაუდება მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენი ნაწილი – მოპასუხის სასარ- გებლოდ. ის, რაც მოსარჩელის სასარგებლოდ ივარაუდება უნ- და გააქარწყლოს მოპასუხემ, ხოლო ის, რაც მოპასუხის სასარ- გებლოდ ივარაუდება პირიქით, უნდა გააქარწყლოს მოსარჩე- ლემ. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზუმფციები სასამართლოში მტკი- ცების მოვალეობისაგან კი არ ათავისუფლებს მხარეს, არამედ წარმოადგენს მხარეთა შორის მტკიცების განაწილების საფუძ- ველს. მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს მტკიცების სა- განში შემავალი გარკვეული ფაქტების ნაწილი, ხოლო ამ ფაქ- ტების მეორე ნაწილი ვალდებულია დაამტკიცოს მოპასუხემ. ნორმები, რომლებიც შეიცავს პრეზუმფციებს, წარმოადგენენ კანონის პირდაპირ მითითებას იმის შესახებ, რომელმა მხარემ კონკრეტულად რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს სამოქალაქო პროცესში.

52. განსახილველ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ სადავო ქონების ქორწინების განმავლობაში შეძენის საკითხი, არც შეძენილ ქონებაზე გან- სხვავებული სამართლებრივი რეჟიმის წარმოშობაზე მიუთითე-

ბიათ (საქორწინო კონტრაქტი – სსკ-ის 1158-ე მუხლის მე-2 ნაწილი), არამედ მოსარჩელე იმაზე აფუძნებდა მოთხოვნას, რომ ეს ნივთები მისი ინდივიდუალური სარგებლობის ნივთებია, ვერ იქნება მიჩნეული სარჩელის სრულად დაკმაყოფილების საფუძვლად.

53. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება კი, იმის თაობაზე, რომ სსკ-ის 1170-ე მუხლის მოქმედების ფარგლებში სადავო მოძრავ ნივთებზე დაუშვებელია გადახდევინების მიქცევა, რადგან დაუდგენელია თუ რას შეადგენს თითოეული მეუღლის წილი საერთო საკუთრებიდან, ხოლო იმისათვის, რომ გადახდევინება მოხდეს თავდაპირველი მოპასუხის წილიდან, ჯერ უნდა დადგინდეს მისი წილი საერთო საკუთრებაში (იხ., გასაჩივრებული განჩინება), ვერ იქნება გაზიარებული.

54. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სადავო ქონების თანასაკუთრებად პრეზუმირების ფარგლებში, საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, რომელიც სადავოს ხდის ამ გარემოებას. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ სადავო მოძრავი ნივთები წარმოადგენდა მოსარჩელის ინდივიდუალური მოხმარების ნივთებს, ეკისრებოდა მოსარჩელეს, რომელმაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ვერ დაადასტურა მითითებული ფაქტობრივი გარემოება. ამ გარემოების დასადასტურებლად მოსარჩელემ მხოლოდ ნივთების დანიშნულებასა და ავტომანქანების მართვაზე მიუთითა, რაც საფუძვლად ვერ დაედება მოსარჩელის პიზიციის გაზიარებას. პირიქით, სადავო მოძრავ ნივთებს წარმოადგენს ავტომანქანები, რომლებიც მიჩნეულ უნდა იქნეს ქონების ისეთ კატეგორიად, რომელიც ემსახურება ოჯახის საერთო მიზნებს და მოკლებულია ინდივიდუალური მოხმარების ხასიათს (მდრ: სუსგ №ას-210-202-2013, 25 ოქტომბერი, 2013 წელი).

55. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაწილობრივ არასწორია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მთლიანად ექვემდებარებოდა ყადაღისაგან გათავისუფლებას (სარჩელის სრული წარმატებულობა) დაყადაღებული მოძრავი ქონება და ვალდებულების იძულებითი აღსრულების უზრუნველყოფა შესაძლებელი იყო მხოლოდ თავდაპირველი მოპასუხის ქონებიდან და არა ქონებაში მისი სავარაუდო წილიდან, რომელსაც იგი მიიღებდა ქონებისგაყოფისას.

56. მეუღლეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპიდან (სსკ-ის 1152-ე მუხლი), საოჯახო საკითხების ერთობლივად გადან-

ყვეტის უფლებიდან (სსკ-ის 1155-ე მუხლი), თანასაკუთრებაში არსებული ქონების ურთიერთშეთანხმებით მართვისა და განკარგვის უფლება-მოვალეობებიდან (სსკ-ის 1159-ე და 1160-ე მუხლები) გამომდინარე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სადავო ქონების მხოლოდ 1/2 ნაწილზეა პრეზუმირებული მოსარჩელის საკუთრების უფლება.

57. საგულისხმოა, რომ ერთ-ერთ საქმეში, სარჩელი საგადასახადო ოფიცრის მიერ გამოცემული ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ აქტით დაყადაღებული უძრავი ქონების 1/2 ნაწილზე მესაკუთრედ აღიარების და ქონების ამ ნაწილის ყადაღისაგან გათავისუფლების თაობაზე დაკმაყოფილდა (იხ., სუსგ №621-588-2015, 03.06.2016წ.).

58. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებისას სასამართლოს უპირველეს მოვალეობას მოსარჩელის მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის სწორად განსაზღვრა წარმოადგენს, რამეთუ მოთხოვნის პერსპექტივას სწორედ მოძიებული ნორმის აბსტრაქტული შემადგენლობის (ნორმის კომპონენტები) არსებობა განაპირობებს. განსახილველ შემთხვევაში, სარჩელის მოთხოვნა, რომელიც სადავო მოძრავი ნივთების ყადაღისაგან გათავისუფლებას შეეხება ნაწილობრივ დაუსაბუთებელია.

59. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების აბსოლუტური და შესაბამისად, სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველია.

60. სსსკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

61. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე.

62. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი

ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული 2017 წლის 26 სექტემბრის განჩინება და „ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ“ 2015 წლის 29 სექტემბრის №1 აქტით ყადაღადადებული თ. ნ-ის სახელზე რეგისტრირებული ავტომანქანები: „მერსედეს ბენც“ ML 3.. სახელმწიფო №... და „ფორდ ტრანზიტი“ UUU-... 1/2 ნაწილში გათავისუფლდეს ყადაღისაგან.

63. რაც შეეხება სასამართლო ხარჯებს, ვინაიდან სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სარჩელზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით 334.50 ლარი, ხოლო სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე სახელმწიფო ბაჟის ნახევარი, რომელის გადახდისაგან გათავისუფლებული იყო აპელანტი/კასატორი უნდა დაეკისროს მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 1000.22 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მესამე ნაწილით, 411-ე მუხლით და

ბ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 სექტემბრის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

3. თ. ნ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

4. შემოსავლების სამსახურის 2015 წლის 29 სექტემბრის „ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ“ №1 აქტით თ. ნ-ის სახელზე რეგისტრირებული ყადაღადადებული მოძრავი ნივთები – ავტომანქანები: „Mercedes-Benz“ ML 3.. სახელმწიფო ... და „Ford Transit“ UUU-... 1/2 ნაწილში გათავისუფლდეს ყადაღისაგან.

5. სსიპ შემოსავლების სამსახურს დაეკისროს თ. ნ-ის სასარგებლოდ 334.50 ლარის ანაზღაურება;

6. თ. ნ-ს დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 1000.22 ლარი (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...);

7. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. მომზადების, შვილებისა და სხვა ნათესავების ურთიერთობა

შვილის გვარის გამოცვლა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ ას-929-894-2016

12 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქუური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: შვილისთვის გვარის მინიჭება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ზ. ც-ემ (შემდგომში „მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ. კ-ის (შემდგომში „მოპასუხე“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“) მიმართ და მოითხოვა მცირეწლოვანი ა. კ-ის მიმართ მოსარჩელის მამობის დადგენა და შესაბამისი ცვლილებების შეტანა ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში, კერძოდ, მამის გრაფაში მოსარჩელის სახელისა და გვარის მითითება, ხოლო ბავშვის გვარად – მოსარჩელის გვარის განსაზღვრა.

2. სარჩელის თანახმად, მოსარჩელე და მოპასუხე 2009 წლის სექტემბრის თვიდან იმყოფებიან არარეგისტრირებულ ქორწინებაში, გარკვეული პერიოდი ცხოვრობდნენ რუსეთის ფედერაციაში და ეწეოდნენ საერთო მეურნეობას. ერთად ცხოვრების პერიოდში, 2010 წლის 3 ნოემბერს, მათ შეეძინათ შვილი – ა. იმის გამო, რომ მოსარჩელე არაღელვარულად იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციაში, ბავშვის დაბადების მონმობაში, მამის გრაფაში, ვერ იქნა მითითებული მოსარჩელის სახელი და გვარი, მამის გრაფა ცარიელია და გასმულია ხაზი – ტირე, ბავშვს მიენიჭა დედის გვარი – „კ-ი“. ამასთან, ბავშვის მამის სახელად დაფიქსირებულია მოსარჩელის სახელი.

3. 2011 წლის მაისის თვეში მოსარჩელე და მოპასუხე საცხოვრებლად ჩამოვიდნენ საქართველოში, მოსარჩელის ოჯახში, მაგრამ მოსარჩელესთან მომხდარი უთანხმოების გამო მოპასუხე წავიდა მისი სახლიდან და ბავშვი დატოვა მოსარჩელეს-

თან.

4. სარჩელის აღძვრის მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ მოპასუხეს სურს შვილი ნაიყვანოს საცხოვრებლად რუსეთის ფედერაციაში, რასაც ეწინააღმდეგება მოსარჩელე. მისი განმარტებით, ბავშვი შეჩვეულია გარემოს, დაბადებიდან ცხოვრობს მოსარჩელესთან, დადის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ა-ის საბავშვო ბაღში, არის საქართველოს მოქალაქე და არ სურს სხვაგან წასვლა.

5. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მან არაერთხელ სთხოვა მოპასუხეს ერთობლივი განცხადების საფუძველზე განეხორციელებინათ მამობის დადგენის რეგისტრაცია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში, მაგრამ მოპასუხე უარს აცხადებდა იმ მიზეზით, რომ ესარგებლა მარტოხელა დედისათვის გათვალისწინებული შეღავათებით როგორც საქართველოში, ისე – რუსეთის ფედერაციაში.

6. მოპასუხემ წარმოდგინილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო, თუმცა, 2015 წლის 30 აპრილის მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხემ სარჩელი ცნო მამობის დადგენის ნაწილში. რაც შეეხება ბავშვის გვარად მამის გვარის განსაზღვრის საკითხს, მისი განმარტებით, ბავშვისთვის, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, უმჯობესია დედის გვარს ატარებდეს. ამასთან, იმის გამო, რომ ბავშვს მინიჭებული აქვს დედის გვარი, მოპასუხე რუსეთში იღებს სოციალურ დახმარებას და უზრუნველყოფილია სხვა სიკეთით, რის გამოც გვარის შეცვლას არ მიიჩნევს საფუძვლიან მოთხოვნად.

7. 2015 წლის 4 მაისის მთავარ სხდომაზე ბათუმის საქალაქო სასამართლომ მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე მიიღო ნაწილობრივი გადაწყვეტილება, რომლის თანახმად 2010 წლის 3 ნოემბერს დაბადებული ა. კ-ის (დაბადების რეგისტრაციის თარიღი: 24/11/2010წ. დაბადების სააქტო ჩანაწერის №..., დაბადების მონიშვნა გაცემული ქ. მოსკოვის მმარის სამმართველოს მედეკოვოს მმარის განყოფილების მიერ) მამად ცნობილ იქნა მოსარჩელე (პ/ნ ...); დადგინდა ა. კ-ის (პ/ნ ...) დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილებების განხორციელება და მამის გრაფაში მოსარჩელის სახელისა და გვარის (პ/ნ ...) მითითება.

8. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; 2010 წლის 3 ნოემბერს დაბადებულ ა. კ-ს (დაბადების რეგისტრაციის თარიღი: 24/11/2010წ. დაბადების სააქტო ჩანაწერის №..., დაბადების მონიშვნა გაცემული ქ. მოსკოვის მმარის სამმართველოს მედეკოვოს მმარის განყოფილების მიერ) გვარად მიენიჭა მამის გვა-

რი – „ც-ე“. დადგინდა, რომ გადანყვეტილება ა. კ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერში რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების საფუძველია.

9. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის გადანყვეტილება მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

10. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის გადანყვეტილება.

11. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია დავის გადანყვეტისთვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

12. ა. კ-ი დაიბადა 2010 წლის 3 ნოემბერს, რუსეთის ფედერაციაში, ქალაქ მოსკოვში. იგი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა და საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის №... ბრძანებულებით ასევე მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა. ა. კ-ი არის მოსარჩელისა და მოპასუხის შვილი.

13. ა. კ-ი, დედასთან და მისი ოჯახის წევრებთან ერთად, 2011 წლის 20 იანვრიდან რეგისტრირებულია ქალაქ მოსკოვში, ჩრდილო-აღმოსავლეთ ოტრადნოეს რაიონში, ი-ის გამზირის №... სახლში. ქალაქ მოსკოვის საბინაო ფონდის დეპარტამენტის 2014 წლის 22 ივლისის №... განკარგულების საფუძველზე, ა-ს დედის ოჯახს მიღებული აქვს სუბსიდია 2918299.23 რუბლის ოდენობით, საცხოვრებელი ან ასაშენებელი ფართების შესაძენად. ა. კ-ს რუსეთის ფედერაციაში 2014-2015 წლებში მიღებული აქვს სოციალური სუბსიდიები, კერძოდ: ბავშვის ყოველთვიური შემნეობები (2015 წლის იანვარ-მაისში საერთო ჯამში 18500 რუბლის ოდენობით); ბავშვების ცხოვრების გაძვირებასთან დაკავშირებული ყოველთვიური საკომპენსაციო ხარჯების ანაზღაურების გადასახადები – 2014-2015 წლებში საერთო ჯამში 4350 რუბლის ოდენობით.

14. ა. 2011 წლიდან ცხოვრობდა საქართველოში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მამის ოჯახში; 2014 წლის 1 სექტემბრიდან ჩაირიცხა სოფელ ა-ის საბავშვო ბაღშიც.

15. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 თებერვლის №2/76-15 განჩინებით დადგინდა, რომ ა. კ-ი უნდა გადასცემოდა მოპასუხეს, ამ უკანასკნელის მიერ არამართლობიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების თაობაზე სარჩელზე საბოლოო გადანყვეტილების მიღებამდე. ეს განჩინება აღსრულდა მხოლოდ 2015 წლის 4 ივლისს, რადგან მოსარჩელე ხელს უშლიდა მის აღსრულებას, რისთვისაც მას დაედო ადმინისტრაცი-

ციული სახდელი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსის 173¹³-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის („სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული მშობლის მიერ მეორე მშობლისათვის შვილის გადაცემის შესახებ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნის შეუსრულებლობა“) ჩადენისათვის. საბოლოოდ, ა. კ-ი, ზემოთ აღნიშნული დროებითი ღონისძიების საფუძველზე, გადაეცა მოპასუხეს და იგი, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის მომენტისათვის, ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში, დედასთან ერთად.

16. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დავის საგანია ბავშვისათვის უკვე მიკუთვნებული გვარის შეცვლა. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1196-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, მშობელს, რომელთანაც არასრულწლოვანი შვილი საცხოვრებლად დარჩა ქორწინების შეწყვეტის ან ბათილად ცნობის შემდეგ, უფლება აქვს, შვილის ინტერესების შესაბამისად, მიმართოს სასამართლოს შვილისათვის თავისი გვარის მიკუთვნების შესახებ და განმარტა, რომ აღნიშნული ნორმა გამოიყენება ერთმანეთთან დაუქორწინებელ მშობლებსა და ბავშვებს შორის წარმოშობილი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, რადგან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით თანაბარი უფლებებით არიან აღჭურვილნი დაქორწინებული და დაუქორწინებელი მშობლებისგან წარმოშობილი ბავშვები.

17. სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ საქმის განხილვისას მოსარჩელისა და მოპასუხის ერთ ოჯახად ცხოვრება ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო, რის შემდეგაც ა. კ-ი ცხოვრობდა და იზრდებოდა მამასთან, ვიდრე 2015 წლის 4 ივლისს იგი გადაეცემოდა დედას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 351¹⁰-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დროებითი ღონისძიების სახით. ამდენად, მოსარჩელეს ჰქონდა უფლება – აღეძრა სარჩელი შვილისათვის მისი გვარის მიკუთვნების თაობაზე; სასამართლოს კი დავა უნდა გადაეწყვიტა ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.

18. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ერთადერთი მოტივი, რის გამოც მოპასუხე ეწინააღმდეგებოდა ა-სათვის მამის გვარის მიკუთვნებას, იყო ის, რომ ბავშვი დაკარგავდა რუსეთის ფედერაციაში მისთვის განკუთვნილ სოციალურ შეღავათებს. თუმცა, მოპასუხემ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება და ვერც რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის რომელიმე ნორმაზე მიუთითა, რაც განაპირობებდა ა-ს გვარის ცვლილ-

ბისათვის ამგვარი შედეგის დადგომას. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხის პოზიცია დაუსაბუთებელი იყო.

19. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სა- მოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილზე, რომელიც უფ- ლებას აძლევს სასამართლოს – დავის გადაწყვეტისას გამოი- ყენოს ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ჩვეულება, თუ ის არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღი- არებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს. საქართველოს სამოქა- ლაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შე- საბამისად, სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მი- იჩნია ის ფაქტი, რომ საქართველოშიც და რუსეთის ფედერაცი- აშიც, ისევე როგორც მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში, საზოგა- დოებაში დამკვიდრებული ჩვეულების შესაბამისად, თუ ბავ- შვის მამა იდენტიფიცირებულია, ბავშვი ატარებს მამის გვარს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ჩვეულება არ ეწინააღმდეგება სა- მართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, ან საჯარო წესრიგს.

20. სააპელაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა 1989 წლის 29 ნოემბრის „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ პრეამბუ- ლაზე, რომლის თანახმად, ბავშვის დაცვისა და ჰარმონიული გან- ვითარებისათვის აუცილებელია სათანადოდ იქნეს გათვალის- წინებული ყოველი ხალხის ტრადიცია და კულტურული ფასეუ- ლობების მნიშვნელობა. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ა- ს საუკეთესო ინტერესის დაცვისა და მისი ჰარმონიული განვი- თარებისათვის მიზანშეწონილი იყო, მისი გვარიც განსაზღვრუ- ლიყო როგორც დედის, ისე – განსაკუთრებით მამის წარმოშო- ბის ქვეყანაში დამკვიდრებული ტრადიციის (ჩვეულების) შესა- ბამისად, რომლის თანახმაც, ბავშვმა უნდა ატაროს მამის გვა- რი. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ამა თუ იმ საზო- გადოებაში ფართოდ დამკვიდრებული ტრადიციის (ჩვეულების) შესაბამისად მოქმედება არის სწორედ ამ საზოგადოებაში იო- ლი ადაპტაციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება.

21. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპე- ლაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს დასკვნა, რომ ა-ს უნდა მიკუთვნებოდა მამის გვარი, დასაბუ- თებული იყო და ემყარებოდა მოქმედი კანონმდებლობის ნორ- მების არსებითად სწორ განმარტებას.

22. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ შე- იტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა ქუთაისის სააპელა- ციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის

14 ივნისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

23. კასატორის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლომ დასაშვებად ცნო მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის განხილვის დროს ა. კ-ის რუსეთის ფედერაციაში დედასთან – მოპასუხესთან – ერთად ცხოვრების, ა. კ-ზე რუსეთის ფედერაციის მიერ სოციალური სუბსიდიების ყოველთვიურად გაცემისა და სხვა პრივილეგიებით სარგებლობის ფაქტი, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად გაიზიარა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ა. კ-ის გვარად ც-ის განსაზღვრის თაობაზე და მამის ინტერესის გათვალისწინებით, იხელმძღვანელა რა საზოგადოებაში ფართოდ დამკვიდრებული ტრადიციით (ჩვეულებით), სრულებით უგულებელყო თავად ბავშვის ინტერესები, რომელიც უკვე ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში დედასთან ერთად, სადაც კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ თუკი მშობლებს შორის არსებობს სასამართლო დავა ბავშვისთვის გვარის განსაზღვრის შესახებ, სასამართლო პრივილეგიას ანიჭებს იმ მშობლის გვარს, ვისთან ერთადაც ცხოვრობს ბავშვი.

24. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა ის ფაქტი, რომ ბავშვი უკვე მუდმივად ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში, კერძოდ ქალაქ მოსკოვში, შესაბამისად, იმ საზოგადოებაში, სადაც ის ცხოვრობს და სწავლობს, მისი იოლი ადაპტაციისთვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იქნება ა-სთვის დედის გვარის განსაზღვრა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ იგი დაბადების დღიდან ამ დრომდე დედის გვარს ატარებს.

25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ნოემბრის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 1 ივნისის განჩინებით დადგინდა მოპასუხის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის მხართა დასწრებით განხილვა.

27. 2017 წლის 7 ივნისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი განიხილა ზეპირ სხდომაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

28. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ზეპირ სხდომაზე განხილვის შედეგად, მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

29. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

30. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი საფუძვლით.

31. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს მცირეწლოვანი ა-სთვის გვარის განსაზღვრის კანონიერების შემოწმება წარმოადგენს.

32. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ, იხელმძღვანელა რა საზოგადოებაში ფართოდ დამკვიდრებუ-

ლი ტრადიციით (ჩვეულებით), ბავშვისთვის მამის გვარის მიკუთვნებისას არ გაითვალისწინა ის ფაქტობრივი გარემოებები, რომ ბავშვი დაბადების დღიდან ამ დრომდე დედის გვარს ატარებს, რუსეთის ფედერაციაში დედასთან – მოპასუხესთან – ერთად ცხოვრობს და ყოველთვიურად იღებს რუსეთის ფედერაციის მიერ დადგენილ სოციალურ სუბსიდიებს, ასევე სარგებლობს სხვა პრივილეგიებით.

33. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს განჩინების დასაბუთებაზე, რომლის თანახმად, ა-ს საუკეთესო ინტერესის დაცვისა და მისი ჰარმონიული განვითარებისათვის მიზანშეწონილია, მისი გვარიც განისაზღვროს მამის წარმოშობის ქვეყანაში დამკვიდრებული ტრადიციის (ჩვეულების) შესაბამისად და ბავშვმა ატაროს მამის გვარი.

34. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, ჩვეულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს და განმარტავს, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში დამკვიდრებული ტრადიციები და ჩვეულებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინდივიდებს შორის წარმოშობილი ურთიერთობების მონესრიგებაში, თუმცა მხოლოდ ტრადიციებსა და ჩვეულებებზე მითითება ვერ გამოდგება ბავშვისათვის გვარის მინიჭების განმსაზღვრელ მთავარ ფაქტორად. ბავშვთან დაკავშირებული დავების განხილვისას სახელმწიფოს უპირველესი საზრუნავია ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვა, ხოლო ტრადიციებთან ბავშვის ინტერესის კონკურენციისას ამ უკანასკნელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა.

35. „ბავშვის უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას, ამავე კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულიებას კისრულობენ პატივი სცენ ბავშვის უფლებას შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალობა, მათ შორის, მოქალაქეობა, სახელი და ოჯახური ურთიერთობა, როგორც გათვალისწინებულია კანონით, ამასთან, არ დაუშვან კანონსაწინა-

აღმდევო ჩარევა.

36. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ არასრულწლოვანის უპირატესი ინტერესის დაცვისას დაუშვებელია სახელმწიფოს მხრიდან არა მხოლოდ ნეგატიური ჩარევა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ არ უნდა დაარღვიოს არასრულწლოვანისათვის კანონით მინიჭებული უფლებები, არამედ სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება – განახორციელოს აქტიური მოქმედებები არასრულწლოვანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესის დაცვისათვის. სახელმწიფოს სახელით გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება არასრულწლოვანის ინტერესებს, არის სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულების ყველაზე ნათელი მაგალითი.

37. ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობა დადგენილია, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით.

38. სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასთან და საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებული თითოეული საქმის განხილვისა და ინდივიდუალური შეფასებისას, რათა ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, იქ, სადაც საქმე ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მშობლისა და ბავშვის უფლებებს, უპირატესობა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადაწყვეტილების მიღება (იხ. ელსჰოლცი გერმანიის წინააღმდეგ – *Elsholz v. Germany*, № 25735/94, 31.07.2000, პარ. 52 და TK და KM გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – *TK and KM v. UK*, № 28945/95, 10.05.2001, პარ.72) (სუსგ №ას-967-916-2015, 2016 წლის 25 თებერვალი).

39. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მშობლების ბავშვთან ურთიერთობასთან დაკავშირებულ დავებზე არაერთხელ აღნიშნა, რომ ბავშვის ინტერესები არის განსაკუთრებული მნიშვნელობის (*Krasicki v. Poland*, no. 17254/11, § 83, 15 April 2014). ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს უპირველესი საზრუნავი (*Gnahore v. France*, n. 40031/98, § 59, ECHR 2000-IX) და შესაძლებელია, თავისი შინაარსიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, გადასწონოს მშობლების ინტერესი (*Sahin v.*

Germany [GC], no. 30943/96, § 66, ECHR 2003-VIII). კერძოდ, კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, მშობელს არა აქვს ისეთი ღონისძიებების მოთხოვნის უფლება, რომელთა განხორციელებამ შესაძლებელია ზიანი მიაყენოს ბავშვის ჯანმრთელობას და განვითარებას (Krasicki v. Poland, no. 17254/11, § 83, 15 April 2014, Scozzari and Giunta v. Italy [GC], nos. 39211/98 and 41963/98, § 169, ECHR 2000-VIII, and P., C. And S. v. The United Kingdom, no. 56547/00, § 177, ECHR 2002-VI).

40. აღნიშნულმა პრინციპმა საქართველოს შიდა ნორმატიულ აქტებშიც ჰპოვა ასახვა. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1199-ე მუხლის თანახმად, მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს.

41. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს მცირეწლოვანი ა-სთვის მამის გვარის მინიჭების შესაბამისობა მის საუკეთესო ინტერესებთან. სასამართლომ უნდა დაადგინოს, მოცემულ შემთხვევაში მშობლის უფლების განხორციელების შედეგად ადგება თუ არა ზიანი მცირეწლოვანის ინტერესებს.

42. კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ ბავშვი ყოველთვის უნდა სარგებლობს რუსეთის ფედერაციის მიერ გაცემული სოციალური სუბსიდიებითა და სხვა პრივილეგიებით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივრის ავტორი (აპელანტი) სააპელაციო სასამართლოშიც მიუთითებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების სწორედ ზემოაღნიშნულ საფუძველზე, თუმცა, ვერც პირველი ინსტანციის და ვერც სააპელაციო სასამართლოში (იხ. მოცემული განჩინების მე-18 პუნქტი) მან ვერ წარადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ სწორედ გვარის ცვლილება განაპირობებს ბავშვისთვის სოციალური შეღავათების მოხსნას, რის შედეგადაც მას მიადგება ზიანი.

43. საკასაციო სასამართლო კასატორს მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIII თავით განსაზღვრულია საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავების განხილვა ინკვიზიციურობის პრინციპით, მაგრამ აღნიშნული არ გულისხმობს იმას, რომ მხარე გათავისუფლებულია მის მიერ წარმოდგენილი ფაქტებისა და გარემოებების მტკიცების ტვირთისაგან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. კასატორმა სა-

კასაციო საჩივრის დასაშვებობის ზეპირ სხდომაზე განხილვისას ვერ მიუთითა ზემოაღნიშნული გარემოების დასადასტურებლად მის მიერ ქვედა ინსტანციის სასამართლოებში წარდგენილ მტკიცებულებებზე და ვერც რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის რომელიმე კონკრეტულ ნორმაზე, რომლითაც დადგინდებოდა, რომ სწორედ გვარის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ბავშვზე სოციალური სუბსიდიების გაცემის შეწყვეტა.

44. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სოციალური სუბსიდიების მიღება დაკავშირებულია მარტოხელა დედის სტატუსთან. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში, საქმის მომზადების ეტაპზე, მოპასუხემ მამობის დადგენის ნაწილში სარჩელი ცნო და ამ ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში (იხ. მოცემული განჩინების მე-6 პუნქტი), რაც თავისთავად გამოიწვევს მარტოხელა დედის სტატუსის გაუქმებას. [საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1191¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მარტოხელა დედა არის პირი, რომელსაც ჰყავს ქორწინების გაუქმდე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ. საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 16 ივნისის №79/№01-18/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენისა და შესაბამის პირთა შესახებ მონაცემების წარმოების წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მარტოხელა მშობლის სტატუსი უქმდება, თუ ბავშვს დაუდგინდება მეორე მშობელი.] შესაბამისად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ბავშვის მიმართ მამობის დადგენა განაპირობებს მარტოხელა დედისთვის განკუთვნილი სოციალური შეღავათებისა და სუბსიდიების გაცემის შეწყვეტას და არა – ბავშვისთვის გვარის შეცვლა.

45. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის პრეტენზია, რომ გვარის შეცვლით ბავშვს ზიანი ადგება, დაუსაბუთებელია.

46. რაც შეეხება საკასაციო საჩივრის ავტორის არგუმენტს ბავშვის დედასთან ცხოვრების ფაქტთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ბავშვის რომელიმე მშობელთან ცხოვრების ფაქტს მართლაც ენიჭება სამართლებრივი

მნიშვნელობა გვარის განსაზღვრის საკითხის გადაწყვეტისას, გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული ფაქტი უფლებას აძლევს მშობელს, რომელთანაც საცხოვრებლად დარჩა ბავშვი, მოითხოვოს სასამართლოს გზით ბავშვისთვის თავისი გვარის მიკუთვნება. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1196-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მშობლებს, რომლებთანაც არასრულწლოვანი შვილი საცხოვრებლად დარჩა ქორწინების შეწყვეტის ან ბათილად ცნობის შემდეგ, უფლება აქვთ, შვილის ინტერესების შესაბამისად, მიმართონ სასამართლოს შვილისათვის თავიანთი გვარის მიკუთვნების შესახებ.

47. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ნორმა ვრცელდება ასევე არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მშობლებზეც და არეგულირებს იმ შემთხვევას, როდესაც სასამართლოს მიერ ან მშობელთა შეთანხმებით განსაზღვრულია ბავშვის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

48. მოცემულ შემთხვევაში კი სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ბავშვი დედას გადაეცა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 351¹⁰-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დროებითი ღონისძიების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს არამართლზომიერად გადაადგილებულ ან არამართლზომიერად დაკავებულ ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ბავშვის შესაბამის პირთან ან დაწესებულებაში მოთავსებას.

49. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს მოსარჩელის, როგორც მამის, უფლებაზე, რომელიც მას პირველი ინსტანციის სასამართლოს ნაწილობრივი გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ წარმოეშვა (იხ. მოცემული განჩინების მე-7 პუნქტი), მოითხოვოს შვილის საცხოვრებელ ადგილად მამის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა.

50. შესაბამისად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ ეტაპზე მცირეწლოვანი ა-ს საცხოვრებელ ადგილად რომელიმე მშობლის საცხოვრებელი ადგილი განსაზღვრული არ არის.

51. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მითითება იმ ფაქტზე, რომ მცირეწლოვანი ცხოვრობს დედასთან, რუსეთის ფედერაციაში, ვერ ჩაითვლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1196-ე მუხლის მე-2 ნაწილით მშობლისთვის მინიჭებული უფლებით სარგებლობის წინაპირობად.

52. რაც შეეხება კასატორის არგუმენტს, რომ ბავშვი დაბა-

დების დღიდან ამ დრომდე დედის გვარს ატარებს, აღნიშნულ-თან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომ მცირეწლოვანი ა., რომელიც დაბადებულია 2010 წლის 3 ნოემბერს, არის საქართველოს მოქალაქე და 2011 წლიდან ცხოვრობდა საქართველოში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მამის ოჯახში; 2014 წლის 1 სექტემბრიდან ჩაირიცხა სოფელ ა-ის საბავშვო ბაღშიც. 2015 წლის 4 ივლისს გადაეცა დედას. ამასთან, სარჩელიდან ირკვევა, რომ ბავშვის დაბადების მოწმობაში მამის გრაფაში მოსარჩელის სახელისა და გვარის მითითება ვერ განხორციელდა იმ მიზეზით, რომ იგი არალეგალურად იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციაში. ბავშვის დაბადების მოწმობაში დაფიქსირებულია მხოლოდ მამის სახელი. ის გარემოება, რომ ა. ბავშვობიდან იზრდებოდა საქართველოში, მამის ოჯახში, იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ ფაქტობრივად სწორედ მამის საცხოვრებელი ადგილი იყო მისთვის ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, შესაბამისად, მას გაუცხოება არ ექნება არც მამის გვართან, ამასთან, იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებითაც, რომ მცირეწლოვნის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ არის განსაზღვრული, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ ეტაპზე სწორედ ბავშვის ინტერესების შესაბამისია ასოცირდებოდეს საკუთარ ოჯახთან და წარმომავლობასთან, იმ ადგილთან, სადაც გაიზარდა და ატარებდეს მამის გვარს, როგორც მამასთან არსებული უწყვეტი კავშირის გარეგან გამოხატულებას.

53. ამასთან, საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს ბავშვის უფლებაზე, სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, თავად განსაზღვროს რომელ გვარს ატარებდეს. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, ყოველ ფიზიკურ პირს აქვს სახელის უფლება, რაც მოიცავს სახელსა და გვარს. სახელის შეცვლა დასაშვებია. ამისთვის საჭიროა პირის დასაბუთებული განცხადება, რომელიც დადგენილი წესით უნდა განიხილოს სათანადო ორგანომ. აღნიშნული უფლების კანონიერი წარმომადგენლების თანხმობის გარეშე რეალიზების წინაპირობას წარმოადგენს პირის მიერ სრულწლოვანების მიღწევა, რადგან სწორედ სრულწლოვანების მიღწევისთანავე პირი იძენს ქმედუნარიანობას ანუ უნარს, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განხორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. შესაბამისად, მცირეწლოვანი ა., რომლის გვარის განსაზღვრა მისი მცირეწლოვნობიდან გამომდინარე დამოკიდე-

ბულია მშობელთა შეთანხმებაზე, ხოლო შეთანხმების არარსებობისას – სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, სრულწლოვანების მიღწევისას უფლებამოსილი იქნება თავად გადაწყვიტოს აღნიშნული საკითხი.

54. ამრიგად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორმა ვერ მიუთითა ისეთ გარემოებებზე, მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების ისეთ დარღვევაზე, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მცირეწლოვანი ა-ს საუკეთესო ინტერესებშია მის გვარად მამის გვარის განსაზღვრა და კასატორის საკასაციო პრეტენზია საფუძველს მოკლებულია.

55. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კასატორს დასაბუთებული პოზიცია არ წარმოუდგენია არც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან ან/და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან წინააღმდეგობის საფუძვლით, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი აღნიშნული საფუძვლით არ არის დასაშვები.

56. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი წინაპირობა, რომლის საფუძველზე საკასაციო სასამართლო დასაშვებად ცნობს წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს. შესაბამისად, უარყოფილია საკასაციო განაცხადის დასაშვებად ცნობა.

57. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 (სამასი) ლარის 70% – 210 (ორას ათი) ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. კ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარ-

ჩეს განუხილველი;

2. კასატორს ქ. კ-ს (პ/ნ:...) დაუბრუნდეს მის მიერ 2016 წლის 7 ნოემბერს №... საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის 70% – 210 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მამოზის გაუქმება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-85-81-2017

27 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაძური**

დავის საგანი: შვილთან და შვილიშვილთან ურთიერთობის წესის დადგენა (ძირითად სარჩელში), მამოზის გაუქმება, დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანა (შეგებებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელების/შეგებებული სარჩელის ავტორის მოთხოვნა და სარჩელის/შეგებებული სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. გ. და ნ. კ-ებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ხ. ა-ის მიმართ და მოითხოვეს 2013 წლის 13 ნოემბერს დაბადებულ არასრულწლოვან ე. კ-ესთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა, კერძოდ, გ. კ-ემ მოითხოვა უფლების მინიჭება, ყოველი კვირის სამშაბათს, ხუთშაბათსა და პარასკევს დღის 14:00 საათიდან 20:00 საათამდე, ხოლო ზაფხულის არდადეგებზე 1 აგვისტოდან 15 აგვისტოს ჩათვლით წაიყვანოს ბავშვი, ხოლო ნ. კ-ემ – ყოველი კვირის ორშაბათსა და ოთხშაბათს, დღის 14:00 საათიდან 20:00 საათამდე.

1.1.1. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2011 წლის 15 ოქტომბრიდან გ. კ-ე და ხ. ა-ი იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. თანაცხოვრების პერიოდში, 2013 წლის 13 ნოემბერს შეეძინათ შვილი – ე. კ-ე. 2014 წლის ნოემბრიდან მეუღლეები ფაქტობრივად ერთად აღარ ცხოვრობენ, ხოლო ბავშვი იმყოფება დედასთან. 2015 წლის 27 მარტიდან მოპასუხე უკრძალავს მამას – გ. კ-ეს შვილთან ურთიერთობას, ასევე, უარს აცხადებს ბებიამ – ნ. კ-ემ მოინახულოს და ურთიერთობა იქონიოს შვილიშვილთან. მოსარჩელებს განსაკუთრებულად თბილი ურთიერთობა აქვთ მცირეწლოვანთან, რომელიც ასევე, შერჩეულია მათთან ყოფნას. გ. კ-ე არის მზრუნველი მამა, ყურადღებას იჩენს მის მიმართ და ცდილობს უზრუნველყოს საჭირო საშუალებებით, ასევე ყურადღებით გამოიჩინოს ნ. კ-ე, რომელიც იჩენს მზრუნველობას შვილიშვილის მიმართ, უზრუნველყოფს მას საჭირო მატერიალური საშუალებებით, მიჰყავს ბავშვი ექიმთან და აძლევს მედიკამენტებს. ეს ფაქტობრივი გარემოებები დასტურდება მეუღლეთა სატელეფონო მიმონერითაც. მას შემდეგ, რაც მოპასუხე უკრძალავს მოსარჩელებს ბავშვთან ურთიერთობას, მის ამბებს იგებენ ძიძის მემშვეობით. ბავშვს ამჟამად ძირითადად მოპასუხის დედა უვლის, რომელსაც აქვს ჯანმრთელობის პრობლემები, გარდა ამისა, ხ. ა-ი დასაქმებულია შინაგან საქმეთა სამინისტროში და სამუშაო დღეებში 9:00 საათიდან 18:00 საათამდე ვერ ახერხებს შვილთან ურთიერთობას.

1.2. სასამართლოს შეგებებული სარჩელით მიმართა ხ. ა-მა გ. კ-ის მიმართ და მოითხოვა მამობის გაუქმება 2013 წლის 13 ნოემბერს დაბადებული ე. კ-ის მიმართ და შესაბამისი ცვლილების შეტანა ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში, კერძოდ ამოღებულ იქნეს ბავშვის მამის გრაფიდან მითითებული ჩანაწერი – გ. კ-ე, ხოლო ბავშვის გვარის გრაფაში, ნაცვლად კ-ისა, მიეთითოს – ა-ი.

1.2.1. შეგებებული სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2013 წლის 13 ნოემბერს დაბადებული ე. კ-ე არ არის მეუღლეთა საერთო შვილი, რაც კარგად იცის გ. კ-ემაც. სამშობიაროდან გამოყვანიდან შვიდი თვის განმავლობაში ბავშვი იყო დედის გვარზე, თუმცა იგი მოპასუხემ დაარწმუნა, რომ ბავშვისთვის უმჯობესი იქნებოდა გვარის შეცვლა. გ. კ-ეს ბავშვთან არავითარი ნათესაური კავშირი არ გააჩნია, მიუხედავად ამისა, ის დაჟინებით მოითხოვს მასთან ურთიერთობას, რაც ემსახურება მის სამომავლო მიზანს, მანიპულირება მოახდინოს ბავშვით შეგებებულ მოსარჩელეზე, რას აპირებს მომავალში

უცნობია, თუმცა ფაქტია, რომ მას ბავშვის სიყვარული და მასზე მზრუნველობის სურვილი არ ამოძრავებს.

2. მოპასუხეების/მესამე პირის პოზიცია:

2.1. ბ. ა-მა თავდაპირველი სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ გ. კ-ე არ არის არასრულწლოვნის ბიოლოგიური მამა, რაც თავადაც კარგად იცის, მხარეები სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე განქორწინდნენ, ამასთან, დიდი ხანია ერთ ოჯახად აღარ ცხოვრობენ. ამასთანავე, ბიოლოგიური ნათესაობა არ აკავშირებს ბავშვს მეორე მოსარჩელესთან. გ. კ-ე უარს აცხადებს, ჩაიტაროს ბიოლოგიური კვლევა, რითაც შეძლებს მამობის დადასტურებას და ბავშვთან ურთიერთობის მოთხოვნას კანონის ძალით, იგი მკურნალობდა უშვილობაზე. მოპასუხემ გამოხატა შეშფოთება, რომ მოსარჩელეს სურს მისი შვილის წაყვანა ბავშვისათვის საფრთხის შექმნის მიზნით. რაც შეეხება ყოფილ მეუღლეთა მიმონერას, იგი სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს არ ქმნის;

2.2. შეგებებული სარჩელი არ ცნო არც გ. კ-ემ და აღნიშნა, რომ ბავშვის სააქტო ჩანაწერში მამის მითითება კანონის მოთხოვნათა დაცვითაა განხორციელებული. იმ შემთხვევაში, თუ იგი არ წარმოადგენს ქორწინებაში დაბადებული ბავშვის ბიოლოგიური მშობელს, ამ ფაქტის მტკიცება ეკისრება შეგებებულ მოსარჩელეს, როელმაც უნდა დაასახელოს ბიოლოგიური მამის ვინაობა, გარდა ამისა, მოპასუხემ მიუთითა სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანის მოთხოვნის 1-წლიან ხანდაზმულობაზე.

2.3. ბავშვის კანონიერმა წარმომადგენლმა განმარტა, რომ არასრულწლოვანი ბავშვის ქეშმარიტი ინტერესიდან გამომდინარე, აუცილებელია, გაირკვეს ე. კ-ის ბიოლოგიური მამის ვინაობა და თუკი დადგინდება, რომ გ. კ-ე წარმომადგენს არასრულწლოვნის მამას, სწორედ აღნიშნულის შემდეგ უნდა განისაზღვროს მამასთან და ბებიასთან ურთიერთობის წესი. არასრულწლოვანი ე. კ-ის ურთიერთობის წესის დადგენა იმ პირობებთან, რომელთანაც არ აქვს ნათესაური კავშირი, არ შეესაბამება ბავშვის ინტერესებს და უსაფუძვლოდ ხელყოფს მის უფლებებს. არასრულწლოვანთან მიმართებით ნებისმიერი საკითხის გადწყვეტისას ამოსავალი წერტილი არის მისი საუკეთესო ინტერესები.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით გ. კ-ისა და ნ. კ-ის თავდაპირველი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ბ. ა-ის შე-

გებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გ. კ-ის მამობა არასრულწლოვან ე. კ-ის მიმართ, რის შესაბამისადაც დადგინდა ცვლილების შეტანა ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში, კერძოდ, ბავშვის მამის გრაფიდან ამოღებულ იქნა გ. კ-ე, ხოლო ბავშვის გვარის გრაფაში, ნაცვლად კ-ისა, მიეთითა ა-ი, ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერის სხვა მონაცემები დარჩა უცვლელად.

4. აპელანტების მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თავდაპირველმა მოსარჩევეებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მათი სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორების მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ნ. და გ. კ-ეებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება და მიიჩნევს, რომ გ. და ნ. კ-ეების მოთხოვნა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ:

1.1.1. გ. კ-ე და ხ. ა-ი 2011 წლის 15 ოქტომბრიდან იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში;

1.1.2. 2013 წლის 13 ნოემბერს დაიბადა ე. ა-ი, რომლის დაბადების მოწმობაში მამის გრაფაში მითითებულია გ. კ-ე, ხოლო დედის გრაფაში – ხ. ა-ი. ე. ა-ს შეეცვალა გვარი და მიენიჭა – კ-ე;

1.1.3. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის

თანახმად, ე. კ-ის დაბადების შემდგომ, გ. კ-ე და ხ. ა-ი ერთად აღარ ცხოვრობენ. 2014 წლის ნოემბრიდან გ. კ-ეს ბავშვი არ უნახავს და მას ურთიერთობა არ აქვს არასრულწლოვან ბავშვთან. ვინაიდან, ხ. ა-ის განცხადებით, ის ე. კ-ის ბიოლოგიური მამა არ არის, არასრულწლოვნის დედა წინააღმდეგია გ. კ-ესა და ნ. კ-ეს ურთიერთობა ჰქონდეთ ბავშვთან – ე. კ-ესთან;

1.1.4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით მეუღლეთა შორის ქორწინება შეწყდა;

1.1.5. ნ. კ-ე არის გ. კ-ის დედა;

1.1.6. ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის დასკვნის მიხედვით, გ. კ-ის ოჯახის საყოფაცხოვრებო პირობები დამაკმაყოფილებელია. ბინა არის სამოთახიანი, დაცულია ჰიგიენური პირობები და იდეალური სისუფთავეა. ოჯახში ცხოვრობს გ. კ-ე დედასთან, ნ. კ-ესთან ერთად. გ. კ-ე დასაქმებულია, მუშაობს „ჯ-ში“ მენეჯერად სახელფასო ანაზღაურებით 3 500 ლარი. ოჯახში არის ბავშვის განვითარებისათვის უსაფრთხო გარემო;

1.1.7. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 16 მარტის განჩინებით დაინიშნა სასამართლო-გენეტიკური ექსპერტიზა და ექსპერტს გადასაწყვეტად დაესვა შემდეგი კითხვა: არის თუ არა გ. კ-ე (დაბადებული ... წლის 10 სექტემბერს) 2013 წლის 13 ნოემბერს დაბადებული ე. კ-ის ბიოლოგიური მამა. ექსპერტიზაზე არ გამოცხადდა გ. კ-ე, მან საქმის სააპელაციო წესით განხილვისას ასევე უარი განაცხადა გენეტიკურ კვლევაზე.

1.1.8. სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ზემოხსენებული გარემოებები საკასაციო საჩივრით შედავებული არ არის, შესაბამისად, მათ წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ სავალდებულო ძალა გააჩნიათ, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილისა (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)).

1.2. საკასაციო განხილვის ფარგლებში:

კასატორები არ ეთანხმებიან გასაჩივრებული განჩინების დასკვნას იმის თაობაზე, რომ გ. კ-ე ვალდებული იყო, ჩაეტარებინა გენეტიკური კვლევა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიიჩნეოდა, რომ არ წარმოადგენდა არასრულწლოვნის ბიოლოგიურ მამას და არ გააჩნდა მასთან ურთიერთობის მოთხოვნის უფლება.

არსებითად ამავე პრეტენზიას გამოთქვამს მეორე კასატორი და საბოლოოდ, სადავოდ ხდიან სააპელაციო სასამართლოს მხრიდან, როგორც მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის გამოყენება-განმარტებას, ისე – შეჯიბრებითობის წარმართვასა და ამ მხრივ ცენტრალური საკითხის – მამობის ფაქტის კვლევის კანონიერებას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, (1) საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. (2) სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი. (3) საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი). ამდენად, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს, როგორც ძირითადი (მამისა და ბებუის მიერ არასრულწლოვანთან ურთიერთობის წესის დადგენა), ისე – შეგებებული სარჩელის (არასრულწლოვნის დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილებების შეტანა: მამის რეგისტრაციის გაუქმება და ზავშვის გვარის დედის გვარით განსაზღვრა) საფუძვლიანობა.

1.3. გამოსაყენებელი ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ნორმები:

1.3.1. სამოქალაქო კოდექსის 1187-ე, 1189-ე, 1195-ე (1), 1196-ე (1), 1197-ე, 1198-ე, 1200-ე, 1201-ე, 1202-ე და 1203-ე მუხლების თანახმად:

მშობლებისა და შვილების ურთიერთუფლება-მოვალეობებს საფუძვლად უდევს შვილების წარმოშობა, რაც დადასტურებულია კანონით დადგენილი წესით.

შვილის წარმოშობა დაქორწინებული მშობლებისაგან დასტურდება მეუღლეთა ერთობლივი ან ერთ-ერთი მათგანის განცხადებით, ზავშვის დაბადებისა და მშობელთა ქორწინების დადასტურებელი დოკუმენტებით.

შვილის გვარი განისაზღვრება მშობლების გვარის მიხედვით. თუ მშობლებს საერთო გვარი არა აქვთ, შვილს მიეკუთვნება დედის ან მამის გვარი, ან შეერთებული გვარი მშობლების შეთანხმებით.

მშობლებს შორის ქორწინების შეწყვეტა არ იწვევს შვილის გვარის გამოცვლას.

შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეო-

ბები აქვთ. ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში.

მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. მშობლებს აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება. მშობლებს უფლება აქვთ, განსაზღვრონ, თუ ვისთან და სად უნდა იცხოვროს შვილმა. მშობლებს ენიჭებათ უფლება და ეკისრებათ ვალდებულება, ჰქონდეთ ურთიერთობა თავიანთ შვილებთან, განსაზღვრონ თავიანთ შვილებთან მესამე პირთა ურთიერთობის უფლება. მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში.

თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება, გადაწყვიტოს, ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას იმის თაობაზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს.

შვილების აღზრდის ყველა საკითხს მშობლები ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ. მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში სადავო საკითხს წყვეტს სასამართლო მშობლების მონაწილეობით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს.

მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინებული არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ. მშობელს, რომელთანაც შვილი ცხოვრობს, უფლება არა აქვს, შეზღუდოს მეორე მშობლის უფლება-მოვალეობები.

პაპასა და ბებიას უფლება აქვთ, ურთიერთობა იქონიონ თა-

ვიანთ არასრულწლოვან შვილიშვილებთან მაშინაც, როცა ისინი უშუალოდ არ მონაწილეობენ შვილიშვილების აღზრდაში. თუ მშობლები ან მეურვე/მზრუნველი უარს ეუბნებიან პაპასა და ბებიას შვილიშვილებთან ურთიერთობაზე, სასამართლოს შეუძლია დაავალდებულოს მშობლები ან მეურვე/მზრუნველი, საშუალება მისცენ პაპასა და ბებიას, ურთიერთობა იქონიონ შვილიშვილებთან სასამართლოს მიერ დადგენილი წესით, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ეს ხელს არ შეუშლის ბავშვების ნორმალურ აღზრდას და ცუდ გავლენას არ მოახდენს მათზე.

1.3.2. „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის თანახმად, მამობის დადგენის სამოქალაქო აქტის ჩანაწერი ბათილად ჩაითვლება, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მამობის დადგენის სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მამად მითითებული პირი მისი მამა არ არის.

1.3.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე, 105-ე, 352-ე, 354-ე (1) მუხლების თანახმად:

სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზ-

რებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადანყვეტილებაში.

საქორწინო და საოჯახო საქმეების მიმართ გამოიყენება ამ კოდექსით დადგენილი წესები იმ დამატებებით, რაც ამ თავშია დადგენილი.

სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზე-დაც მხარეებს არ მიუთითებიათ.

1.3.4. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-3 (1), მე-5, მე-7, მე-8, მე-9 (1) (3), მე-18 (1) მუხლების თანახმად:

ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.

მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ მშობლების და, შესაბამის შემთხვევებში, გაფართოებული ოჯახის ან თემის წევრების, როგორც ეს გათვალისწინებულია ადგილობრივი წესჩვეულებებით, მეურვეების ან კანონით ბავშვისათვის პასუხისმგებელი სხვა პირების პასუხისმგებლობას, უფლებებსა და მოვალეობებს, რომ სათანადოდ მართავდნენ და ხელმძღვანელობდნენ ბავშვს მის მიერ წინამდებარე კონვენციით აღიარებული უფლებების განხორციელებაში და ამას აკეთებდნენ ბავშვის განვითარებადი უნარების შესაბამისად.

ბავშვი რეგისტრირდება დაბადებისთანავე და დაბადების მომენტიდან აქვს სახელის ... უფლება, აგრეთვე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უფლება, იცნობდეს თავის მშობლებს, და მათი მხრიდან ზრუნვის უფლება. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ამ უფლებების განხორციელებას თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად და თავიანთი ვალდებულებების შესრულებას ამ სფეროში შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტების თანახმად, კერძოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვაგვარად ბავშვს არ ექნებოდა მოქალაქეობა.

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ პატივი სცენ ბავშვის უფლებას შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალობა, მათ შორის ... სახელი და ოჯახური ურთიერთობა, როგორც გათვალისწინებულია კანონით, ამასთან არ დაუშვან კანონსაწინააღმდეგო ჩარევა. თუ ბავშვი უკანონოდ კარგავს თავის ინდივიდუალობის ნაწილს ან ყველა ელემენტს, მონაწილე

სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მას საჭირო დახმარებით და დაცვით მისი ინდივიდუალობის რაც შეიძლება სწრაფად აღდგენისათვის.

მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ განშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევების გარდა, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, განსაზღვრავენ სათანადო კანონისა და პროცედურების შესაბამისად, რომ ასეთი განშორება საჭიროა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის. ასეთი განსაზღვრა შეიძლება საჭირო გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, როცა მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს ან არ ზრუნავენ მასზე, ანდა, როცა მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ და საჭიროა გადაწყვეტილების მიღება ბავშვის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელთან განშორებული ბავშვის უფლებას, რეგულარულ საფუძველზე პირადი ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტები იქონიოს ორივე მშობელთან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება.

მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია.

1.3.5. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად:

ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმონერას. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

1.4. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.4.1. უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლო აღნიშ-

ნავს, რომ სრულად იზიარებს კასატორთა მოსაზრებას სასამართლოს მხრიდან მოთხოვნის მარეგულირებელი ნორმების, ასევე – მტკიცების საპროცესო წესებისა და საშუალებათა არასწორად გამოყენება-განმარტების თვალსაზრისით და მიიჩნევს, რომ მიღებული გადაწყვეტილება არასწორია, არ ემყარება საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივ კვლევას, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების სრულყოფილად დადგენასა და კოლიდირებულ ინტერესთა სწორ განსაზღვრა-კვალიფიკაციას. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, განიმარტოს, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა სწორად ვერ გამოიჯნეს შეპირისპირებული სამართლებრივი სიკეთეები, ვერ დაადგინეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც მიღებულ გადაწყვეტილებას გაუმართლებელს ხდის. როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა და ეს დასკვნა გაიზიარა სააპელაციო სასამართლომაც, მხოლოდ იმ საფუძველით, რომ მამამ უარი განაცხადა გენეტიკური კვლევის ჩატარებაზე, არსებობდა რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში დაბადებული ბავშვის საექტო ჩანაწერში მამის რეგისტრაციის გაუქმებისა და ბავშვისათვის გვარის შეცვლის წინაპირობა. ის გარემოება, რომ თავდაპირველი მოსარჩელე უარს აცხადებდა „დნმ-ის“ ტესტზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მამის მიმართ მტკიცების ტვირთის შებრუნებისა და შეგებებულ სარჩელში მითითებული გარემოების (გ. კ-ე არ იყო არასრულწლოვნის ბიოლოგიური მამა) უპირობოდ გაზიარების საფუძველად ჩათვალეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა, მათივე განმარტებით, რადგანაც არასრულწლოვანს არ ჰქონდა ფიზიკური კონტაქტი გ. კ-ესთან და არ იყო შეჩვეული მას, მამა-შვილის სამომავლო ურთიერთობა ბავშვის ინტერესებში არ შედიოდა, თავის მხრივ, ის ფაქტი, რომ გ. კ-ე არ წარმოადგენდა ბავშვის ბიოლოგიურ მშობელს, გამოორიცხავდა მასთან ურთიერთობის წესის დადგენის თაობაზე ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

1.4.2. საკასაციო პალატის მოსაზრებით, როგორც კვლევის ბიოლოგიური მეთოდი, ისე – მარეგულირებელი ნორმა სააპელაციო სასამართლოს მხრიდან არასწორად იქნა გამოყენებული, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლი ადგენს ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილების წარმოშობის დადგენას და ნორმაში მითითებული კვლევის მეთოდების გამოყენება, ასევე, იმ საპროცესო საშუალებათა განკარგვა (მტკიცების ტვირთის შებრუნება), რომლებიც მშობლისა და შვილის ბიოლოგიური კავშირის დადგენას ისახავს მიზნად, გა-

მართლებულია მაშინ, როდესაც ბავშვის მშობლები არ იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში, რაც განსხვავდება ამავე კოდექსის 1189-ე მუხლით მონესრიგებული შემთხვევისაგან, როდესაც ივარაუდება შვილის წარმოშობა დაქორწინებული მშობლებისაგან. ამ თვალსაზრით სასამართლო აღნიშნავს, რომ სრულად იზიარებს და ეთანხმება იმ ზოგად იდეას, რომ ბავშვს აქვს თვითგამორკვევის უფლება, რომელიც თავის თავში მოიაზრებს ასევე უფლებას, იცოდეს საკუთარი ბიოლოგიური წარმომავლობა. უფრო მეტიც, სასამართლო ემხრობა და არ უკარგავს არასრულწლოვანს უფლებას, სურვილის შემთხვევაში, გამოარკვიოს მამასთან ბიოლოგიური კავშირი, ასევე, არსებობის შემთხვევაში, დაადგინოს თუ ვინ არის მისი ბიოლოგიური მშობელი, თუმცა ეს საკითხი წინამდებარე დავის ფარგლებში შესაფასებელი არ არის. ამდენად, უდავოა, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა არასწორად იხელმძღვანელებს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის დებულებებით, რადგანაც სახეზე არ არის ამ ნორმის გამოყენების წინაპირობა, რამეთუ არასრულწლოვანი დაბადებულია რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში, რაც ძირითადი მოსარჩელის კანონიერ მამად აღიარების საფუძველს წარმოადგენს (ამ მხრივ პალატა ვერ გაიზიარებს კასატორთა პოზიციას შეგებებული სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე (სკ-ის 1190-ე მუხლის მე-7 ნაწილი), ვინაიდან, როგორც აღინიშნა, ნორმის მოქმედება განსახილველ საკითხზე არ ვრცელდება). საკასაციო პალატა ასევე იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების მითითებას პრეცედენტულ სამართალზე (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები: Mikulić v. Croatia, no. 53176/99 judgment of 07.02.2002; Krasicki v. Poland, no. 17254/11, § 83, 15 April 2014; Gnähore v. France, n. 40031/98, § 59, ECHR 2000-IX; Sahin v. Gernamy [GC], no.30943/96, §66, ECHR 003-VIII), თუმცა, განმარტავს, რომ მოხმობილი გადაწყვეტილებები იცავენ არასრულწლოვანის უფლებას, იცოდეს საკუთარი წარმომავლობა და ნაკლები შემხებლობა აქვთ განსახილველ საკითხთან.

1.4.3. საკასაციო პალატა უპირატესად შეაფასებს შეგებებული სარჩელის საფუძვლიანობას, ვინაიდან ქვემდგომი სასამართლოების დასკვნებიც სწორედ მასზეა ორიენტირებული და ბიოლოგიური კავშირის არარსებობაზე მითითებით სასამართლოებს ძირითადი სარჩელის საფუძვლიანობის ელემენტების განსაზღვრა არ განუხორციელებიათ. თავად შეგებებული სარჩელი ემყარება მხოლოდ იმ ფაქტზე მითითებას, რომ გ. კ-ე არ არის ბავშვის ბიოლოგიურ მშობელი, რაიმე მითითება არასრულ-

ნლოვნიის ბიოლოგიური მშობლის ვინაობაზე, მასთან ბავშვის ურთიერთობასა და სოციალურ ადაპტაციაზე საქმეში არ მოიპოვება. არასრულწლოვნიის დედა მამობის გაუქმების მეორე საფუძვლად, როგორც შეგებებულ სარჩელში, ისე – ძირითადი სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილ შესაგებებელში ასახელებს საკუთარ შიშს იმის თაობაზე, რომ შესაძლებელია, შეგებებულმა მოპასუხემ, რომელმაც იცის, რომ არ არის ბავშვის ბიოლოგიური მშობელი, ეს ფაქტორი გამოიყენოს დედაზე შურის საძიებლად. რეალური ფაქტობრივი გარემოება, რაც ამ შიშს გაამართლებდა, არც შეგებებულ მოსარჩელეს წარმოუდგენია და არც სასამართლოების მიერ დადგენილა, უფრო მეტიც, საქმეში არსებული, ხ. ა-ის მხრიდან შეუდავებელი მტკიცებულებებით (მიმონწერა ბავშვის მშობლებს შორის, რომელსაც ხ. ა-ი მხოლოდ საკმარისობის კუთხით ხდის სადავოდ) დასტურდება, რომ გ. კ. ე იჩენს ყურადღებას არასრულწლოვნიის მიმართ, უწევს მატერიალურ დახმარებას და ცდილობს ურთიერთობა იქონიოს ბავშვთან, თუმცა, ამის საშუალება მას ნაკლებად ეძლევა. მიმონწერით ირკვევა, რომ დედის სურვილის შემთხვევაში, მას ჰქონია კიდევაც ბავშვთან ურთიერთობა (საუბარია არასრულწლოვნიის ეზოში გასეირნებაზე).

1.4.4. ზემოხსენებული ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ნორმების ანალიზით ირკვევა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებს წარმოადგენს მათ შორის მისი ოჯახურ გარემოში აღზრდის შესაძლებლობა, სადაც ის იქნება ინტეგრირებული, თუნდაც განქორწინებულ მშობლებთან და სხვა ახლო ნათესავებთან, რადგანაც მას ინდივიდუალურად და შეძლებისდაგვარად შეეძლება კეთილსაიმედო გარემო საზოგადოების ღირსებულ წევრად, როგორც მორალური, ისე – ფიზიკური თვალსაზრისით აღზრდის მიზნით. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ არასრულწლოვნიის საუკეთესო ინტერესად არ შეიძლება განხილულ იქნას მდგომარეობა, როდესაც დედა მოითხოვს ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში მამის რეგისტრაციის გაუქმებას იმგვარად, რომ ბავშვის მამის ვინაობა არ იქნას ფიქსირებული და უფრო მეტიც, აცხადებს, რომ კანონიერი მამა არ წარმოადგენს ბიოლოგიურ მშობელს, ხოლო სასამართლოს არ წარმოუდგენს წონად ფაქტებსა და არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვანი ადაპტირებულია ბიოლოგიური მამის ოჯახურ გარემოში, იზრდება მასთან ერთად და გააჩნია „ოჯახური ცხოვრების“ დაცვის ინტერესი მასთან. ამდენად, პალატა ასკვნის, რომ ამგვარი მიდგომა არ იცავს არასრულწლოვნიის საუკეთესო ინტერესებს.

1.4.5. საკასაციო პალატა ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ არაერთ გადაწყვეტილებაში გაჟღერებულ იდეას, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები წარმოადგენს (იხ. მაგ: CASE OF S.L. AND J.L. v. CROATIA, განაცხადი №13712/11, 7 მაისი 2015 წელი, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ არსებობს სრული კონსენსუსი, მათ შორის, საერთაშორისო სამართალში, იმ იდეის მხარდასაჭერად, რომ ყველა გადაწყვეტილებაში, რომელიც ბავშვებს უკავშირდება, მათი საუკეთესო ინტერესები არის უპირატესი) და ამ კონცეფციის ფარგლებში ერთმანეთისგან გამიჯნავს შეპირისპირებულ სიკეთეებს, რომელთა კონკურენციაც წინამდებარე გადაწყვეტილების განსჯის საგანს წარმოადგენს, კერძოდ: ძირითადი და შეგებებული სარჩელების ფარგლებში შეპირისპირებულ სიკეთეებს წარმოადგენს: ა) მამის „ოჯახური ცხოვრების“ პატივისცემის უფლება; ბ) არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი; გ) დედის „პირადი ცხოვრების“ პატივისცემის უფლება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი ადგენს რა პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას, პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა განსაზღვრავს, რომ კანონიერი და ბიოლოგიური მშობლის სტატუსის სამართლებრივი დეკლარირების და ამ გზით დაცული ზემოხსენებული სიკეთეების გამიჯვნის თაობაზე არ არსებობს ერთიანი ევროპული კონსენსუსი, რის გამოც, კონვენციის წევრი სახელმწიფოებისათვის დადგენილია მიხედვლების შედარებით ფართო ზღვარი, თუმცა, ნებისმიერი ქმედება უნდა გამომდინარეობდეს ნორმის ტელეოლოგიური განმარტებიდან და არ უნდა არღვევდეს მის ნამდვილ არსს. ნორმის მე-2 ნაწილით დადგენილია სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება, დაცული სიკეთის უზრუნველყოფის ხელშეწყობის თვალსაზრისით და დასაშვებია მხოლოდ კვალიფიციური ჩარევა – კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულების, ასევე, ჩარევის მინიმალური შესაძლებლობიდან გამომდინარე, უფლების დარღვევა შეფასებას ექვემდებარება ე.წ. „პროპორციულობის – სამართლიანი წონასწორობის ტესტით“ (ე.წ. „მიხედვლების ზღვრის თეორიის“ თანახმად, ჩარევის პროპორციულობის დასადგენად შეფასებას ექვემდებარება სადავოდ ქცეული უფლების/თავისუფლების ბუნება; სუბიექტის მიმართ ამ უფლების მნიშვნელობა; ქმედების ხასიათი; ჩარევის გამართლების ხარისხი და ევროპის საბჭოს ქვეყნების მხრიდან სადავო საკითხზე აშკარა კონსენსუსის არსებობა). ქართული კანონ-

მდებლობა, მსგავსად ევროსაბჭოს წევრი არაერთი ქვეყნის კანონმდებლობისა, ადგენს კანონიერი მამობის პრეზუმფციას იმ ბავშვისა და მშობლის მიმართ, რომელიც რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში დაიბადა. ამასთანავე, „ოჯახური ცხოვრების“ უფლების დადგენის მიზნით პრეცედენტულ სამართალში განმარტებულია, რომ სახეზე უნდა იყოს მშობლისა და შვილის სოციალური ინტეგრაცია და შეჩვევის ინტენსიური ხასიათი, რაც ამავდროულად ემსახურება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს – იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში. ევროსასამართლომ არაერთგზის განმარტა, რომ „ოჯახური ცხოვრების“ უფლებით დაცულ სფეროს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვნის მშობლები იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში და კანონიერ მამას, თუნდაც ის არ იყოს ბიოლოგიური მშობელი, აქვს ბავშვის მიმართ სოციალური ერთობა. ამ გარემოებას არსებითად უთანაბრდება შემთხვევა, როდესაც ბავშვი ქორწინების გარეშეა დაბადებული და სახეზეა *de facto* „ოჯახური ცხოვრება“. საქმეები: *Ahrens v. Germany* (განაცხადი № 45071/09, 22 მარტი 2012) და *Kautzor v. Germany* (განაცხადი № 23338/09, 22 მარტი, 2012) ევროსასამართლომ განმიჯნა კანონიერი და ბიოლოგიური მამების უფლებები და განმარტა, რომ ბიოლოგიური მამის უფლება, რომელსაც არ გააჩნდა შვილთან ახლო პირადი ცხოვრება, ექვემდებარებოდა „პირადი ცხოვრებით“ დაცულ სფეროს, ხოლო კანონიერი მამის უფლება, რომელთანაც იზრდებოდა ბავშვი – „ოჯახური ცხოვრებით“ დაცულ სფეროს, ამასთანავე, კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად არ იქნა მიჩნეული ბიოლოგიური მამისათვის მამის სრულყოფილი სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ევროსასამართლოს განმარტებით, მართალია განმცხადებლების ინტერესს წარმოადგენდა მათი პირადი ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტის დადგენა და სამართლებრივი აღიარება, თუმცა, გერმანიის სასამართლოების გადაწყვეტილება ემსახურებოდა კანონმდებლის ნების შესრულებას, უპირატესობა მინიჭებოდა არსებულ ოჯახურ ურთიერთობას ბავშვსა და კანონიერ მამას შორის, რომელიც ყოველდღიურად უზრუნველყოფდა მას მშობლის მზრუნველობით. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ასევე, ევროსასამართლოს განმარტება საქმეზე *ANAYO v. GERMANY* (განაცხადი № 20578/07, 21 დეკემბერი, 2010 წელი), რომლის თანახმადაც, ბატონი ანაიოს მოთხოვნის არ დაკმაყოფილება შვილებთან ურთიერთობის თაობაზე წარმოადგენდა მე-8 მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევას. იმის გათვალისწინებით,

რომ მას არასდროს უცხოვრია ტყუპებთან და არც არასდროს შეხვედრია, მათ ურთიერთობას მართლაც არ ახასიათებდა საკმარისი სიხშირე, რომ მიჩნეულიყო „ოჯახურ ცხოვრებად“, თუმცა, სასამართლომ მანამდე დაადგინა, რომ ოჯახური ცხოვრების სურვილი შესაძლოა მოექცეს მე-8 მუხლის მოქმედების სფეროში, თუკი ოჯახური ცხოვრების არარსებობის ფაქტი არ უკავშირდება განმცხადებელს. ასეც მოხდა ბატონი ანაიოს შემთხვევაში, რომელსაც ტყუპებთან არანაირი ურთიერთობა არ ჰქონდა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი დედა და კანონიერი მამა უარს ეუბნებოდნენ მას თხოვნებზე. ბატონმა ანაიომ გამოავლინა ბავშვების მიმართ ნამდვილი ინტერესი სურვილის გამოხატვით, რომ მას სურდა მათთან ურთიერთობა, როგორც მათ დაბადებამდე, ისე დაბადების შემდგომ და მალევე წამოიწყო სამართალწარმოება სასამართლოებში ურთიერთობასთან დაკავშირებით. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ის და ქალბატონი B. არ ენეოდნენ თანაცხოვრებას, ბავშვები გაჩნდნენ იმ ურთიერთობის შედეგად, რომელიც ორი წლის მანძილზე გრძელდებოდა და არ იყო უბრალოდ შემთხვევით შეხვედრებზე აგებული. თუნდაც მიჩნეულიყო, რომ მისი ურთიერთობა ბავშვებთან არ ექცეოდა „ოჯახური ცხოვრების“ ცნებაში, ეს ურთიერთობა ბატონი ანაიოს იდენტობისა და მისი „პირადი ცხოვრების“ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა მე-8 მუხლის მნიშვნელობისთვის.

1.4.6. მოხმობილი განმარტებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აფასებს იმ ფაქტებს, რომელიც მხარეთა ქორწინებას, ბავშვის დაბადებას, განქორწინებასა და გ. კ-ის მცდელობას შეეხება, იქონიოს ურთიერთობა ბავშვთან, იზრუნოს მასზე და მიიჩნევს, რომ ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან მამობის რეგისტრაციის გაუქმება წარმოადგენს გ. კ-ის ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევას, რომლის გამართლება არ შეიძლება მოხდეს თუნდაც იმით, რომ იგი არ იტარებს გენეტიკურ კვლევას, რადგანაც მეორე მხრივ, ამ გარემოებას ვერ გადაწონის ხ. ა-ის „პირადი ცხოვრების“ პატივისცემის უფლება, რომელიც არ ასახელებს არასრულწლოვნის ბიოლოგიურ მშობელს და რაც უფრო მთავარია, არ იკვეთება არასრულწლოვნის შესაძლებლობა, იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, რომელიც, როგორც სააპელაციო პალატამ დაადგინა, არ ემყარება ბავშვისა და კანონიერი მამის მამა-შვილურ მიჯაჭვულობას, თუმცა, სასამართლოს მხრიდან შეფასება არ მისცემია იმ გარემოებას, თუ რატომ არ არსებობს მიჯაჭვულობა მამა-შვილს შორის. ამ მხრივ სრულიად გაურკვეველია არასრულწლოვნის კანონიერი წარმო-

მადგენლის (მესამე პირი) პოზიცია, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესს წარმოადგენს დაბადების სააქტო ჩანაწერში კანონიერი მამის რეგისტრაციის გაუქმება. სააგენტოს ეს პოზიცია არ ემყარება რაიმე კვლევას, რომელიც მამა-შვილის ურთიერთობის ნეგატიურ ასპექტს გამოკვეთავდა.

1.4.7. აქვე საკასაციო პალატა ხაზს კიდევ ერთხელ გაუსვამს იმ გარემოებას, რომ იგი არ უარყოფს მცირეწლოვანი ე-ის უფლებას, იცოდეს საკუთარი წარმომავლობის შესახებ, ასევე, მესამე პირის შესაძლებლობას, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, დაამტკიცოს საკუთარი მამობის ფაქტი, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, თუმცა, როგორც წინამდებარე საქმის ფაქტობრივი თავისებურების, ისე – შესაძლო სამომავლო დავის გადაწყვეტისას გათვალისწინებული უნდა იყოს უწინარესად ბავშვის ინტერესები (იხ. *MANDET v. France*, განაცხადის №30955/12, 14 იანვარი, 2016 წელი).

1.4.8. მამობის საკითხის განსაზღვრის კრიტიკული სიმწვავის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოიშველიებს ასევე ევროსასამართლოს მიდგომებს საქმეზე *NAZARENKO v. Russia* (საჩივარი №39438/13, 16 ივლისი, 2015 წელი), რომელიც შეეხებოდა ქორწინების განმავლობაში დაბადებული ბავშვისა და კანონიერი მამის უფლებას, როდესაც გენეტიკური კვლევის შედეგებმა უჩვენა, რომ იგი არ წარმოადგენდა ბიოლოგიურ მშობელს, ხოლო, მშობლების განქორწინების შემდგომ არასრულწლოვნის დედა ცხოვრობდა ახალ პარტნიორთან ერთად. ევროკონვენციის მე-8 მუხლის კონტექსტში ადამიანის უფლებათა სასამართლომ განმარტა, რომ პირველ რიგში უნდა შეფასდეს არსებობდა თუ არა პირადი ან ოჯახური ურთიერთობების მსგავსი ურთიერთობები მომჩივანს და ბავშვს შორის. „ოჯახური ცხოვრების“ ცნება, კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით, არ შემოიფარგლება მხოლოდ ქორწინებაზე დამყარებული ურთიერთობებით და ასევე შეიძლება მოიცავდეს სხვა *de facto* „ოჯახურ“ კავშირებს (იხ. *Anayo v. Germany*, no. 20578/07, § 55, 21 დეკემბერი 2010). „ოჯახური კავშირების“ არსებობა ან არსებობა კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისათვის არსებითად დამოკიდებულია ახლო პირადი კავშირების რეალურად არსებობის ფაქტზე. (იხ. *K. and T. v. Finland [GC]*, no. 25702/94, § 150, *ECHR* 2001-VII). მიუხედავად იმისა რომ კოჰაბიტაცია შეიძლება ასეთი ურთიერთობების მოთხოვნად იყოს მიჩნეული, სხვა გამოკვეთილი ფაქტორებიც არის საჭირო იმისთვის, რომ მოხდეს დემონსტრირება იმისა, რომ ურთიერთობები საკმარისად მყარია, რათა შექმნას დე ფაქტო „ოჯახური კავშირი“ (იხ. *Kroon and*

Others v. the Netherlands). ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ ბავშვი დაიბადა მომჩივნისა და ნ-ს ქორწინების პერიოდში და რეგისტრირებული იყო როგორც მისი ქალიშვილი. მომჩივანს არანაირი ეჭვი არ ჰქონია ა-ს მამობასთან დაკავშირებით ისე ზრდიდა და ზრუნავდა მასზე ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. როგორც ბავშვზე ზრუნვის ორგანომ და ექსპერტმა ფსიქოლოგებმა დაადგინეს, არსებობდა ახლო ემოციური კავშირი მომჩივანსა და ბავშვს შორის. იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანი და ბავშვი წლების განმავლობაში თავს მამად და ქალიშვილად მიიჩნევდნენ იქამდე, სანამ არ გამოაშკარავდა, რომ მომჩივანი არ იყო მისი ბიოლოგიური მამა, ასევე, მათ შორის არსებობდა ახლო პირადი კავშირები, სასამართლომ დაადგინა, რომ მათი ურთიერთობები წარმოადგენდა ოჯახურ ურთიერთობებს კონვენციის მე-8 მუხლის § 1-ის მიზნებისთვის. იქ სადაც ოჯახური კავშირების არსებობა დადგენილია, სახელმწიფომ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეს კავშირი შენარჩუნდეს. მშობლისა და შვილის მიერ ურთიერთობების ორმხრივად შენარჩუნება წარმოადგენს ოჯახური ცხოვრების ფუნდამენტურ ელემენტს და ეროვნული ღონისძიებები, რომლებიც ხელს უშლიან მსგავსი ურთიერთობების შენარჩუნებას წარმოადგენს კონვენციის მე-8-ე მუხლით დადგენილ უფლებებში ჩარევას (იხ. *monori Monory v. Romania and Hungary*, no. 71099/01, § 70, 5 აპრილი 2005, K. and T. v. Finland), მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-8 მუხლის პირველადი მიზანი არის დაიცვას ინდივიდი სახელმწიფო ორგანოების თვითნებური მოქმედებებისგან, ამასთანვე არსებობს ოჯახური ცხოვრების „პატივისცემის“ პოზიტიური ვალდებულება. ეს ვალდებულება შესაძლოა მოიცავდეს ისეთი მექანიზმების მიღებას, რომელიც უზრუნველყოფს ოჯახური ცხოვრების პატივისცემას ინდივიდებს შორის ურთიერთობისასაც კი, მათ შორის, ინდივიდის უფლებების სასამართლო რეგულირებისა და აღსრულების მექანიზმის დაცვისთვის საჭირო კონკრეტულ ნაბიჯებს (იხ. *Glaser v. the United Kingdom*, no. 32346/96, § 63, 19 სექტემბერი 2000). კონვენციის მე-8 მუხლი მოიცავს მშობლის უფლებას, მიიღოს ზომები საკუთარ შვილთან კავშირისა და ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით და სახელმწიფო ორგანოების ვალდებულებას, განახორციელონ მსგავსი მოქმედებები. ეს ასევე ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ურთიერთობის და ცხოვრების დაეები ბავშვებთან დაკავშირებით წარმოიშობა მშობლებს და/ან ოჯახის სხვა წევრებს შორის (იხ. *Manic v. Lithuania*, no. 46600/11, § 101, 13 იანვარი 2015). როგორც უარყოფითი ისე პოზიტიური ვალდებულების ფარგლებში გათ-

ვალისწინებული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსის დაცვა პირის სადავო ინტერესებსა და მთლიანად საზოგადოებას შორის; ორივე შემთხვევაში სახელმწიფო სარგებლობს თავისუფალი შეფასებით. მე-8 მუხლი მოითხოვს ეროვნული უწყებებისაგან დაცვან სამართლიანი ბალანსი ბავშვისა და მშობლის ინტერესებს შორის და დაბალანსების პროცესში უმნიშვნელოვანესია ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა, რომელიც მათი სერიოზულობისა და ბუნებიდან გამომდინარე შეიძლება უფრო უპირატესი იყოს, ვიდრე მშობლის (იხ. *Sahin v. Germany* [GC], no. 30943/96, § 66, ECHR 2003-VIII; *Plaza v. Poland*, no. 18830/07, § 71, 25 იანვარი 2011). მითითებულ საქმეზე სასამართლომ უფლების დარღვევად მიიჩნია გარემოება, როდესაც მომჩივანს მამის უფლება ჩამოერთვა და მისი სახელი ამოიშალა ბავშვის დაბადების მონობიდან მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ მისი ბიოლოგიური მამა არ იყო, ამის შემდგომ მომჩივანმა დაკარგა ბავშვთან კონტაქტის შესაძლებლობა, რადგან ამას ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა. სასამართლომ განმარტა, რომ კონვენციის ნევრი ქვეყნები ვალდებული იყვნენ, არასრულწლოვნის ინტერესების გათვალისწინებით, დაედგინათ ბავშვის კავშირის შესაძლებლობა პირთან, რომელსაც მოპოვებული ჰქონდა „ოჯახური ცხოვრების“ უფლება. ამასთანავე, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საქმის მასალებით მომჩივანის კონტაქტი ბავშვის მიმართ რომ საზიანო იყო, არ დასტურდებოდა, შესაბამისად, დადგინდა „ოჯახური ცხოვრების“ პატივისცემის უფლების დარღვევა, რადგანაც არ არსებობდა ამ უფლებაში ჩარევის „აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

1.5. შეგებებული სარჩელის მოთხოვნის ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღების დასაბუთება:

1.5.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

1.5.2. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ არასრულწლოვნის კანონიერი მამის „ოჯახური ცხოვრების“ უფლებაში ჩარევა ქვემდგომმა სასამართლოებმა ისე განახორციელეს, რომ შეგებებულ მოსარჩელეს არ გაუქარწყლებია სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლით დადგენილი პრეზუმცია ქორწინებაში დაბადებული ბავ-

შვის მამობის თაობაზე, მას არ მიუთითებია ბავშვის ბიოლოგიური მშობლის ვინაობა და სარწმუნოდ არ დაუდასტურებია ბავშვსა და ბიოლოგიურ მამას შორის მჭიდრო ემოციური კავშირის არსებობის ფაქტი. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ამგავრი მიდგომა არ გამომდინარეობს არასრულწლოვნის ოჯახურ გარემოში აღზრდისა და ორივე მშობელთან ურთიერთობის ქონის შესაძლებლობიდან. მით უფრო გასათვალისწინებელია, რომ ბავშვსა და მოპასუხეს (შეგებებულ სარჩელზე) შორის ურთიერთობის ნეგატიური ფაქტორები საქმის მასალებით დადგენილი არ არის, ხოლო საკასაციო პალატა არ უარყოფს მცირეწლოვნის სამომავლო შესაძლებლობას წარმოშობის თვალსაზრისით თვითგამორკვევის უფლებაზე. ამ გარემოებათა ანალიზის შედეგად პალატა თვლის, რომ გ. კ-ის ოჯახური ცხოვრების უფლებაში ჩარევა გაუმართლებლად მოხდა და არ არსებობს შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი წინაპირობები.

1.6. შვილთან/შვილიშვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის მოთხოვნის ნაწილში საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების დასაბუთება:

1.6.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ:

ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა;

ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

1.6.2. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წინამდებარე გადაწყვეტილებაში ასახული „ბავშვის საუკეთესო ინტერესებისა“ და „ოჯახური ცხოვრების“ კონცეფციის ფართო გაგებიდან გამომდინარე, არასრულწლოვნის ურთიერთობა ერთ-ერთ მშობელსა და ბებიასთან არ შეიძლება მხოლოდ კანონის ფორმალურ დანაწესზე იყოს დამყარებული (რომ ამ პირებს კანონი ანიჭებთ სრულ შესაძლებლობასა და ვალდებულებას, ზრუნავდნენ და მონაწილეობას იღებდნენ ბავშვის აღზრდაში, ხოლო მეორე მშობელს, რომელთანაც იმყოფება ბავშვი, არ აქვს ამ უფლებათა შეზღუდვის შესაძლებლობა), ასეთ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია სააპელაციო პალატის დასკვნა, რომლის თანახმა-

დაც ბავშვს ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ჰქონია კონტაქტი კასატორებთან და მისი ასაკის გათვალისწინებით არ არის ჩამოყალიბებული ემოციური კავშირი. საკითხის გადაწყვეტის მიზნით ქვემდგომ სასამართლოებს არ დაუდგენიათ ის ფსიქოლოგიური და ემოციური ფაქტორები, რაც ბავშვის ოჯახთან ინტეგრირებას შეუწყობს ხელს და არ არის დასახული გზები, ფსიქო-ემოციური გაუცხოების აღმოსაფხვრელად.

1.6.3. საკასაციო პალატა არ გამორიცხავს, რომ ბავშვის მამის/ბებულის გარემოში ადაპტაციის საკითხი შესაძლებელია ხანგრძლივი პერიოდის პერსპექტივაშიც იქნას შეფასებული, ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ საკმაო პერიოდი გასული დავის აღძვრიდან, რაც ბავშვის ასაკობრივ ზრდასა და მით უფრო გაუცხოების ფაქტორს ზრდის, შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლომ უნდა განკარგოს მათ შორის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ინკვიზიციურობის საპროცესო შესაძლებლობა და სპეციალისტთა ინტენსიური და ხანგრძლივი დაკვირვების გზით უნდა გადაჭრას ურთიერთობის აღდგენის საკითხი გონივრულობის პრინციპის გათვალისწინებით. ამ მხრივ სამუხაროა ის ფაქტორი, რომ მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, ქვემდგომმა სასამართლომ არ გამოიყენა დროებითი განკარგულების ინსტიტუტი, რამაც კიდევ გაზარდა მამა-შვილის, ასევე, სხვა ნათესავების გაუცხოება, თუმცა, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, არც სააპელაციო პალატის მხრიდან არ არის გამორიცხული ამ საშუალების გამოყენების შესაძლებლობა. ამასთანავე, ბავშვსა და მის ნათესავებს შორის გარკვეული ემოციური ურთიერთდამოკიდებულების ჩამოყალიბების შემდგომ, ეს კავშირი უნდა შეფასდეს ფსიქოლოგის არა ერთჯერადი დაკვირვების შედეგადაც.

1.6.4. საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს მოცემულ დავაში სოციალური მომსახურების სააგენტოს როლზე და აღნიშნავს, რომ განსახილველი კატეგორიის საქმეებზე მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს (სკ-ის 1200-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს როლის საკანონმდებლო აღიარების სწორი ანალიზი ამ ორგანოს მხრიდან მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სწორედ მას ეკისრება ვალდებულება, აქტიური მონაწილეობით ხელი შე-

უნყოს სასამართლოს იმის დადგენაში, თუ რა წარმოდგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ამ პროცესში წარმომადგენლობა პასიური ქმედებებით არ შემოიფარგლება და არ შეიძლება დამოკიდებული იყოს ჩასატარებელი სამუშაოს ფორმალურ შესრულებაზე. მან ეფექტური გზით, პროფესიული კეთილსინდისიერებითა და სრული პასუხისმგებლობით უნდა განიოს სათანადო მუშაობა დასახული მიზნის მიღწევისათვის. ამგვარად კი, ვერ იქნება განხილული საქმეში წარმოდგენილი ორი დასკვნა, რომლებიც ბავშვის მშობელთა საცხოვრისის ფორმალურ აღწერასა და მოდავე სუბიექტთა ერთჯერადი გამოკითხვის შედეგებს ემყარება.

1.6.5. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ ვინაიდან საქმის მასალებითა და გასაჩივრებული განჩინებით არ არის დადგენილი თავდაპირველი სარჩელის ფარგლებში შესაფასებელი არცერთი ფაქტობრივი გარემოება, ამ ნაწილში იგი მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს გადაწყვეტილება, რაც საქმის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების საფუძველია.

1.7. პროცესის ხარჯები:

1.7.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განუულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

1.7.2. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ (მოთხოვნის 1/2 ნაწილში) დაკმაყოფილდა, პალატა თვლის, რომ დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროპორციულად ხ. ა-ს გ. კ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი ბაჟის (150+300) ნახევარი – 225 ლარი, რაც შეეხება თავდაპირველ სარჩელსა და ამ მოთხოვნის პროპორციულად გაღებულ ხარჯს, ვინაიდან ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად უბრუნდება ქვემდგომ სასამართლოს, პალატა მიიჩნევს, რომ ამ ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე, 412-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. გ. და ნ. კ-ების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

3. ხ. ა-ის შეგებებული სარჩელი გ. კ-ის მიმართ მამობის რეგისტრაციის გაუქმებისა და დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილებების შეტანის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

4. შვილთან/შვილიშვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის მოთხოვნის ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

5. ხ. ა-ს (პ/№ ...) გ. კ-ის (პ/№ ...) სასარგებლოდ დაეკისროს 225 ლარის გადახდა.

6. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. მშობლის უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ

არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის
განსაზღვრა მშობლების განქორწინებისას

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-1167-1122-2016

26 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: აღმენთვის დაკისრება (თავდაპირველ სარჩელში), ბავშვის საცხოვრებელ ადგილად მამის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა (შეგებებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

1. ზ. ნ-ე (შემდეგში: მოსარჩელე ან ბავშვის დედა) და ბ. ბ-ი (შემდეგში: მოპასუხე, აპელანტი, კასატორი ან ბავშვის მამა) 2007 წლის 15 სექტემბრიდან იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში (იხ. ქორწინების მონმობა).

2. მოსარჩელესა და მოპასუხეს თანაცხოვრების პერიოდში, 2009 წლის 26 სექტემბერს, შეეძინათ შვილი – ბ. ბ-ი (შემდეგში: ბავშვი ან მცირეწლოვანი; დაბადების მონმობა).

3. 2014 წლის ოქტომბრიდან ბავშვის მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ. მცირეწლოვანი დედასთან ერთად ცხოვრობს.

4. დედა-შვილს აქვთ ტიპიური ურთიერთობა. ბავშვი მის გვერდით ხშირად ჩუმადაა და პასუხობს დედის მიერ დასმულ კითხვებს ან იცინის. მცირეწლოვანი დედასთან ერთად იცინის ხშირად არაადექვატურად, შეუსაბამოა სიცილის მიზეზი, ხანგრძლივობა და ფორმა, რომელიც არ ჯდება მსგავსი ემოციის გამოხატვის ბუნებრივ ფორმებში. მცირეწლოვანი დედის მიმართ ავლენს მიჯაჭვულობას. მამა-შვილის ურთიერთობა ჰგავს დიალოგს, სადაც ერთობლივად მიდიან დასკვნებამდე და თანხმდებიან აქტივობებზე. მაგრამ ხშირად მამა-შვილის საუბარი მიდის კონფლიქტისკენ, რა დროსაც საუბრის თემა მამასთან ნასვლაა ან მასთან ურთიერთობის სიმწირე; ბავშვი პროტეს-

ტის ნიშნად კითხულობს, თუ რატომ არ ნახულობდა მას მამა სხვადასხვა დღეებში. მამა-შვილს შორის არის მკვეთრად გამოხატული მიჯაჭვულობა. არასრულწლოვანი მიჯაჭვულია ორივე მშობელზე. მეტ მიჯაჭვულობას ავლენს მამის მიმართ. ბავშვს აღენიშნება მეხსიერების პრობლემა, რაც ამ ასაკში ხშირად დაკავშირებულია ტრავმატიზებასთან (იხ. ფსიქოლოგ გ. ჯ-ის 09.02.2015 წ. დასკვნა).

5. მამა-შვილს შორის მკვეთრად არის გამოხატული მიჯაჭვულობა; ბავშვი მამის გვერდით დაცულად გრძნობს თავს; ბავშვი დედის მიმართ გამოხატავს შიშსა და მორჩილებას; ბავშვი არის ფსიქოლოგიური ზენოლის ქვეშ; ბავშვი ემორჩილება დედის ბრძანებას. მასზე ზეგავლენას ახდენს დედის მიერ ტელეფონის მეშვეობითაც განხორციელებული მითითება, რომ ბავშვი დედასთან უნდა დაბრუნდეს სახლში; ბავშვს ესაჭიროება კვალიფიციური ფსიქოლოგის დახმარება, რათა მან არ დაკარგოს ინდივიდუალურობა, გამოვიდეს სტრესიდან, დაიბრუნოს მისი ასაკის ბავშვისათვის დამახასიათებელი ჩვევები, წინააღმდეგ შემთხვევაში, უარყოფითი და გამოუსწორებელი შედეგი შესაძლოა მცირე დროში დადგეს; ბავშვი მიდრეკილია აგრესიული ქმედებისაკენ, ბავშვმა არ იცის თხოვნა, იგი მოითხოვს; ბავშვი ემოციურად ტრავმულია (იხ. ფსიქოლოგ ქ. ჯ-ის 2016 წლის 11 აპრილის დასკვნა).

6. დედა-შვილის ურთიერთობა ხასიათდება სიმშვიდით, განონასწორებულობითა და ნდობით. ლაქტაციის (ძუძუს წოვა) პერიოდი გრძელდება თითქმის ორ წლამდე, რაც თავისთავად დედასთან მიჯაჭვულობის ხარისხს, მისდამი და ზოგადადაც ნდობას ზრდის. ოჯახური კონფლიქტი კონტრასტულია ლაქტაციის პერიოდის ე.წ. სიამოვნებების გამოცდილებასთან. ამიტომაც, ბავშვი შინაგან კონფლიქტში, წინააღმდეგობაში იმყოფება და ცდილობს ისევ დედას „დაუბრუნდეს“, „უსაფრთხოების“ უზრუნველსაყოფად (იხ. ფსიქოლოგიური კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრის 2016 წლის 21 აპრილის დასკვნა).

7. დედა ყურადღებიანია, გამოხატულ სითბოსა და ზრუნვას იჩენს ბავშვის მიმართ. დაკვირვებით მიღებული შთაბეჭდილებით იგი მზრუნველი და მოსიყვარულე დედაა. მან კარგად ითანამშრომლა ფსიქოლოგთან, მცირეწლოვანს აღენიშნება ფსიქოლოგიური ტრავმატიზების ნიშნები, რაც მის მშობლებს შორის არსებულ დაძაბულობას და დაპირისპირებას უკავშირდება; ბავშვს ორივე მშობელი უყვარს და ორივეს მიმართ ავლენს მიჯაჭვულობას. ამ ეტაპზე კი დედაზე უფრო მეტადაა მიჯაჭვული; მოცემულ ეტაპზე ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარე-

ობისათვის საფრთხეს წარმოადგენს ისევე და ისევე მშობლების დაპირისპირება და ამ დაპირისპირების მუდმივი შესხენება (იხ. თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის ფსიქოლოგ ლ. პ-ის 2016 წლის 30 ივნისის დასკვნა; იხ. 2016 წლის 7 ოქტომბრის სხდომის ოქმი, 16:05:02-16:17:17).

8. სარჩელის საფუძვლები

8.1. 2014 წლის 24 ოქტომბერს ბავშვის დედამ სარჩელით მიმართა სასამართლოს ბავშვის მამის წინააღმდეგ და მოითხოვა, მათ შორის რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტა, ბავშვის საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა და მოპასუხისათვის მცირეწლოვანის სასარგებლოდ ყოველთვიურად ალიმენტის – 400 (ოთხასი) ლარის დაკისრება.

8.2. მოსარჩელის განმარტებით, მეუღლეთა შორის არსებული კონფლიქტური და დაძაბული ურთიერთობა უშუალო ზიანს აყენებს მცირეწლოვანის ფსიქიკას. ბავშვის დედამ, შვილის ინტერესების გათვალისწინებით, ფაქტობრივად შეწყვიტა ქორწინება და ბავშვთან ერთად საცხოვრებლად მშობლების სახლში გადავიდა.

8.3. მოსარჩელეს და მის მშობლებს აქვთ მცირეწლოვანი ბავშვის აღზრდისათვის საჭირო საყოფაცხოვრებო პირობები, ამასთან, ბავშვის ასაკის გათვალისწინებით, მისი ნორმალური განვითარებისათვის დაუშვებელია დედისგან შორს ყოფნა და აუცილებელია უწყვეტი ურთიერთობა მზრუნველ დედასთან.

8.4. მოსარჩელეს მარტოოდენ მშობლების დახმარებით არ შეუძლია მცირეწლოვანი შვილის აღზრდისათვის ყველა საჭირო ღონისძიების გატარება. ბავშვის ღირსეულად აღზრდისათვის აუცილებელია ორივე მშობლის მატერიალური დახმარება, ამიტომ, ბავშვის მამას მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ყოველთვიური ალიმენტის გადახდა.

9. მოპასუხის შესაგებელი

9.1. მოპასუხემ მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი მხოლოდ განქორწინების ნაწილში ცნო და განაცხადა, რომ ბავშვი არ უნდა დარჩეს მოსარჩელის მამიდის სახლში, სადაც დამთრგუნველი გარემოა. მოპასუხეს არ გააჩნია დამოუკიდებელი შემოსავალი და დედის დახმარებით ირჩენს თავს, რის გამოც ალიმენტის გადახდას ვერ შეძლებს.

10. ბავშვის მამის შეგებებული სარჩელის საფუძვლები

10.1. 2014 წლის 7 ნოემბერს ბავშვის მამამ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მცირეწლოვანის საცხოვრებელ ადგილად მამის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა.

10.2. მოპასუხის განმარტებით, დედა ბავშვს არ აძლევს უფლებას ურთიერთობა იქონიოს მამასთან, ბებიასთან (მამის დედასთან) და მამის ახლობლებთან. დედამ მოტყუებით წაიყვანა ბავშვი მამის სახლიდან და სახლში აღარ დაბრუნებულან. ბავშვს მამასთან ურთიერთობის დეფიციტი აქვს, ის კარგად ეწყობა მამას. მოსარჩელე ცდილობს, თბილი მამაშვილური ურთიერთობა გააცვიფოს და შვილს მამა „მტრად“ წარმოუჩინოს.

11. ბავშვის დედის შესაგებელი შეგებებულ სარჩელზე

11.1. ბავშვის დედამ მოპასუხის მიერ წარდგენილი შეგებებული სარჩელი არ ცნო.

12. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს პოზიცია

12.1. მოსარჩელე მამიდის ოჯახთან ერთად ცხოვრობს მ-ის ქუჩაზე, კერძო სახლში, სადაც საკმაოდ კარგი საყოფაცხოვრებო პირობებია. ბავშვისათვის გამოყოფილია ორი ოთახი – ერთი საძინებელი და ერთი სათამაშო. ბავშვს აქვს სათამაშოები, საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთები. მოპასუხე თ-ის გამზირზე, კეთილმოწყობილ ოთხოთახიან ბინაში ცხოვრობს, სადაც ძალიან კარგი საყოფაცხოვრებო პირობებია. ბავშვს აქვს საკუთარი ოთახი და აღზრდა-განვითარებისათვის შესაფერისი გარემო. ორივე მშობელს აქვს შვილზე ზრუნვის და მისი საჭიროებების დაკმაყოფილების უნარი და შესაძლებლობა, გამოხატავენ სიბოძის და სიყვარულს შვილის მიმართ, შეუძლიათ ბავშვის ცხოვრებისა და განვითარებისათვის შესაფერისი გარემოს შექმნა (იხ. სოციალური მუშაკის დასკვნა).

12.2. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის მოსაზრებით, მცირეწლოვანის საცხოვრებელ ადგილად უნდა განისაზღვროს დედის საცხოვრებელი ადგილი, ვინაიდან საქმის განხილვისას არ გამოვლენილა რაიმე გარემოება, რომელიც განაპირობებდა ამ ასაკის ბავშვის დედისგან განცალკევებით ცხოვრების აუცილებლობას (იხ. 2015 წლის 11 ივნისის სხდომის ოქმი).

13. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

13.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით ბავშვის დედის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ხოლო მამის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა: მეუღლეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა; ბავშვის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის საცხოვრებელი ადგილი და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მცირეწლოვანი შვილის რჩენა-აღზრდისათვის ყოველთვიური ალიმენტის

– 150 (ას ორმოცდაათი) ლარის გადახდა 2014 წლის 24 ოქტომბრიდან შვილის სრულწლოვანებამდე.

13.2. საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 1122-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით, 1127-ე მუხლის მეორე ნაწილით, 1106-ე, 1197-ე, 1198-ე, 1201-ე, 1212-ე, 1213-ე, 1214-ე, 1234-ე მუხლებით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 208-ე მუხლის მესამე ნაწილით. საქალაქო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა განქორწინების ნაწილში დააკმაყოფილა, რადგან ამ ნაწილში მოპასუხემ ცნო სარჩელი.

13.3. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ როდესაც მშობლები ვერ თანხმდებიან, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს შვილი, სასამართლოს გააჩნია პრეროგატივა, გადაწყვიტოს განქორწინებულ მეუღლეთა შორის დავა არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რა დროსაც ორივე მშობლის თანასწორობის პრინციპი მოქმედებს, თუმცა, გადამწყვეტი თავად ბავშვის უპირატესი ინტერესებია. მოცემულ შემთხვევაში, ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით დანიშნული ფსიქოლოგიური კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მცირეწლოვანს აღენიშნება ფსიქოლოგიური ტრავმატიზმის ნიშნები, გამოხატულია ემოციური გაორება მშობლების მიმართ. უკმაყოფილებისას ბავშვი ავლენს აგრესიას ორივე მშობლის მიმართ, დედის მიმართ მუქარაც გამოვლინდა, რაც უფროსების მხრიდან ბავშვზე არასასურველი ზემოქმედების შედეგია. მცირეწლოვანს ორივე მშობლის მიმართ ძლიერი მიჯაჭვულობა აქვს. ამასთან, მცირედი უპირატესობა შეიმჩნევა მამასთან მიმართებით, რაც მშობლებს შორის განვითარებული კონფლიქტის ფონზე მამასთან ურთიერთობის დეფიციტით აიხსნება. ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას ფსიქოლოგმა ვერც ერთ მშობელს ვერ მიანიჭა უპირატესობა (იხ. ამ განჩინების მე-4 პუნქტი).

13.4. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მოსარჩელესთან შვილის ცხოვრების ხელისშემშლელი რაიმე ობიექტური გარემოება საქმის მასალებით არ გამოვლენილა და არც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მხრიდან არ გამოთქმულა. ამასთან, ბავშვის დედა ადასტურებს მამასთან ბავშვის ხშირი ურთიერთობის აუცილებლობას და მიზანშეწონილობას, რაც მნიშვნელოვანია მშობლების ცალ-ცალკე ცხოვრების პირობებში ბავშვის ჯანსაღი და სრულყოფილი განვითარებისათვის. აქედან გამომდინარე, სასამართლომ გაიზიარა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის მოსაზ-

რება მცირენლოვანის საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე.

13.5. სსკ-ის 1198-ე, 1212-ე, 1213-ე, 1214-ე მუხლებზე დაყრდნობით საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მესამე სასარჩელო მოთხოვნაც დასაბუთებული იყო და ნაწილობრივ დააკმაყოფილა იგი. თანხის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ალიმენტის ფორმალურ ხასიათს არ უნდა ატარებდეს და ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილებისაკენ უნდა იყოს მიმართული. ამასთან, შესაძლებლობის ფარგლებში, ბავშვს უნდა შეექმნას მაქსიმალურად საუკეთესო პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მის გონებრივ, ფიზიკურ და სულიერ განვითარებას და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას. ამგვარი პირობები მოიცავს როგორც შვილის სრულფასოვანი კვებით, ჰიგიენით, საჭიროებისას მკურნალობით, დასვენებით უზრუნველყოფას, ისე – მის განათლებას და ა.შ. თუმცა, თანხის ოდენობა იმგვარად უნდა განისაზღვროს, რომ არც ალიმენტვალდებულ პირი აღმოჩნდეს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში.

14. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

14.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მისი ნაწილობრივ გაუქმება, არასრულწლოვანი სათვის საცხოვრებელ ადგილად მამის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა და დაკისრებული ალიმენტის გაუქმება შემდეგ არგუმენტებზე მითითებით მოითხოვა:

14.2. სასამართლომ არ შეაფასა ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მოსარჩელეს მატყუარა ადამიანად ახასიათებდნენ, რადგან ამ უკანასკნელმა ვერ უპასუხა კითხვას, თუ რატომ არ მიმართა დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გაცემის თხოვნით სასამართლოს, თუ მოპასუხე მასზე ფიზიკურ ძალადობას ახორციელებდა, ასევე – სასამართლო პროცესზე აშკარა გახდა, რომ მოსარჩელემ მეუღლეს უღალატა.

14.3. აპელანტის განმარტებით, მოსარჩელემ არასწორად მიუთითა, რომ საცხოვრებლად გადავიდა მშობლების სახლში. ბავშვს აქვს მოთხოვნილება იცხოვროს მამასთან ერთად, სახლში სადაც დაიბადა და გაიზარდა, თუმცა სასამართლომ ეს გარემოებაც არ გაიზიარა და უპირატესობა მიანიჭა არა ბავშვის, არამედ – მოსარჩელის ინტერესებს.

14.4. აპელანტის აზრით, სასამართლო არ შეიძლება დაეყრდნოს სოციალური მუშაკის მოსაზრებას, მით უმეტეს ისეთ პირობებში, როდესაც ეს უკანასკნელი ვერაფრით ასაბუთებს

თავის სუბიექტურ მოსაზრებას, თუ ვისთან უნდა იცხოვროს არასრულწლოვანმა.

14.5. ფსიქოლოგის დასკვნა კი მიუთითებს, რომ მოსარჩელე არ ახდენს დადებით ზემოქმედებას ბავშვზე, რომელიც მამასთან ურთიერთობისას ადეკვატურია, არ არის აგრესიული და მას თბილი სიტყვებით მიმართავს.

14.6. სასამართლომ დაარღვია მშობლების თანასწორობის პრინციპი და ბავშვის ინტერესების საინინალმდეგოდ მიიღო გადაწყვეტილება.

14.7. აპელანტმა ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის მძიმე ხასიათზე, მიუღებელ ქცევებზე და სამეტყველო ლექსიკაზე, რაც ბავშვზე ცუდ გავლენას ახდენს.

14.8. ალიმენტის დაკისრებასთან დაკავშირებით აპელანტმა განმარტა, იქედან გამომდინარე, რომ ბავშვის საცხოვრებელ ადგილად მამის საცხოვრებელი ადგილი უნდა განისაზღვროს, ალიმენტის გადახდა მამას არ უნდა დაეკისროს.

15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

15.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

15.2. სააპელაციო სასამართლომ შეაფასა საქმეში წარდგენილი ფსიქოლოგების დასკვნები, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, ასევე – სოციალური სააგენტოს წარმომადგენელთა პოზიციები და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განსაზღვრა მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილი ბავშვის საცხოვრებლად. სასამართლომ იმსჯელა მშობლებისადმი ბავშვის მიჯაჭვულობის ხარისხზე და განმარტა, რომ აღნიშნულის მეტ-ნაკლები დოზით გამოხატულება ერთი ან მეორე მშობლის მიმართ ვერ იქნებოდა გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი საფუძველი ერთ-ერთი მშობლის სასარგებლოდ. ფაქტია, რომ ბავშვს ორივე მშობელი უყვარს და მას ორივე მშობელთან უნდა ჰქონდეს თბილი და ჰარმონიული ურთიერთობა. შესაბამისად, საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ბავშვის უპირატესი ინტერესები, სასამართლოს გადაწყვეტილება ნაკლებად მატრამვირებული უნდა იყოს მცირეწლოვანისათვის.

15.3. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ამ განჩინების მე-5 პუნქტში მითითებულ ფსიქოლოგის დასკვნაში დაფიქსი-

რებული მოსაზრება იმ დასაბუთებით, რომ ფსიქოლოგს პირადად არ ჰქონია შეხვედრა დედასთან, არ დაკვირვებია, არ შეუსწავლია დედა-შვილის ურთიერთობა, ვიზიტებზე მხოლოდ მამა-შვილი იმყოფებოდნენ, ხოლო ზემოხსენებული დასკვნა დედასთან მიმართებით მხოლოდ სატელეფონო საუბრის შედეგად მომზადდა.

15.4. სასამართლომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის განმარტების საფუძველზე დაასკვნა, რომ მცირეწლოვანს ამ ეტაპზე, მისი ასაკისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, უფრო მეტად დედის სიტბოსა და მზრუნველობის გარემოში ყოფნა ესაჭიროებოდა და ამ კავშირის განწყვეტა უარყოფითად აისახებოდა ბავშვის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე.

15.5. სააპელაციო სასამართლომ „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-3, მე-5, მე-8, მე-9 მუხლებზე, სსკ-ის 1197-ე, 1198-ე, 1201-ე მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის მიჯაჭვულობას ერთ-ერთ მშობელთან და იმას, თუ რომელი მშობლის მიმართ განიცდის უფრო მეტ სიმპათიას ბავშვი, ასევე რომელთან დარჩენა უფრო სასარგებლო იქნება მისი ფსიქიკური განვითარებისათვის. ბავშვის მშობელთან დამოკიდებულებას არ გააჩნია გადაწყვეტი მნიშვნელობა, მაგრამ აღნიშნული სხვა კრიტერიუმებთან ერთად შესაბამის კვლევას მოითხოვს.

15.6. ამ განჩინების მე-7 პუნქტში მოხმობილი დასკვნის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ არასრულწლოვანის საცხოვრებლად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა წარმოადგენდა ბავშვის ინტერესების შესაბამის გადამწყვეტილებას, რადგან ბავშვი დედას უნდა დაშორდეს მხოლოდ ისეთი გამოწვევების შემთხვევაში, როდესაც ასეთი კავშირი მიმართულია ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების საწინააღმდეგოდ, რასაც განსახილველ შემთხვევაში არ გამოკვეთილა.

15.7. სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 1212-ე, 1213-ე, 1214-ე და 1198-ე მუხლებით, ასევე „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 27-ე მუხლით და აღნიშნა, რომ საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში უპირატესი ყურადღება ეთმობა ბავშვის უფლების სათანადოდ დაცვას. შესაბამისად, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას უპირატესია ბავშვის უფლება, მიიღოს ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელი მატერიალური სახსრები. დადგენილია მშობელთა ვალდებულება, არჩინონ თავიანთი შვილები, რომელიც უპირობო ხასიათს ატარებს და არ არის დამოკიდებული მშობლის ფინანსურ მდგომარეობაზე.

მარეობაზე და იმის გამო, თუ შრომისუნარიან მშობელს არ გააჩნია სტაბილური მატერიალური შემოსავალი, არ შეიძლება იგი გათავისუფლდეს შვილის რჩენის ვალდებულებისგან. ამასთან, სასამართლოს მიერ ალიმენტის დაკისრება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს და ალიმენტი რეალურად უნდა უზრუნველყოფდეს სარჩენი პირისათვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნას. შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა ბავშვის საცხოვრებლად მამის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისა და ალიმენტის გაუქმების თაობაზე.

16. საკასაციო საჩივრის საფუძვლები

16.1. სააპელაციო სასამართლოს განჩინება, საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება, სააპელაციო საჩივრის იდენტურ გარემოებებზე მითითებით, მოითხოვა.

16.2. კასატორმა დამატებით აღნიშნა, რომ სახლი, რომელშიც ბავშვთან ერთად ცხოვრობს მოსარჩელე, ამ უკანასკნელის მამიდას ეკუთვნის და მისი წილი იპოთეკითაა დატვირთული. ეს გარემოება, კი მოსარჩელის უსაფრთხოდ და უზრუნველად ცხოვრების ფაქტს აქარსყლებს.

16.3. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა ფსიქოლოგების 2015 წლის 9 თებერვლისა და 2016 წლის 11 აპრილის დასკვნები, რომლებითაც უპირატესობა ცალსახად მამას ენიჭება და დედის საქციელი უარყოფითად არის შეფასებული (იხ. ამ განჩინების მე-4 და მე-5 პუნქტები).

16.4. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას აუდიო-ვიდო მტკიცებულებების მიუღებლობასთან დაკავშირებით, რადგან ამ მტკიცებულებებით ნათლად დასტურდებოდა, თუ როგორ იქცევა დედა ბავშვის თანდასწრებით და როგორ რეაგირებს ბავშვი ამაზე.

16.5. ბავშვის მამა აკრიტიკებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ლაქტაციის პერიოდთან დაკავშირებით, რადგან ეს ბიოლოგიური პროცესია და არანაირი კავშირი არ აქვს ბავშვის ქეშმარიტ ინტერესებთან.

16.6. კასატორის განმარტებით, ბავშვის დედა არ ასრულებს სასამართლოს დროებით განკარგულებას და მამას შვილის ნახვის შესაძლებლობას არ აძლევს.

17. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

17.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი, სსსკ-ის 391-ე მუხლის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე, დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და მათი ერთობლივად შეჯერების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

18. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი პუნქტით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); კასატორს ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

19. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ დავაში მოპასუხემ სადავოდ გახადა ბავშვის საცხოვრებლად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვის ფაქტი. ბავშვის მამას მიაჩნია, რომ აღნიშნული საზიანოა მცირეწლოვანის ინტერესებისათვის; ასევე, სადავოა, მოპასუხისათვის აღიმენცის დაკისრების მართლზომიერება.

20. საკასაციო სასამართლომ მოპასუხის საკასაციო პრეტენზიის არსებითი განხილვის ეტაპზე, სსსკ-ის 354-ე მუხლით დადგენილი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იმსჯელა გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობასა და კანონიერებაზე, რომელიც, უნინარესად, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობს („ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-3 მუხლი) და აღნიშნავს, რომ სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე გამოკვლეული მტკიცებულებების, სოციალური მუშაკის დასკვნის, ფსიქოლოგების დასკვნებისა და განმარტებების, მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოკვლეულია ბავშვის საუკეთესო

სო ინტერესების დასადგენად სამართლებრივად მნიშვნელოვანი ყველა ფაქტობრივი გარემოება, რაც საფუძვლად დაედო სააპელაციო სასამართლოს მიერ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების უცვლელად დატოვებას და ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის დადგინდა, რომ მის საცხოვრებლად დედის საცხოვრებელი ადგილი განისაზღვრა და მამას შვილის რჩენისათვის ალიმენტის გადახდა დაეკისრა.

21. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადანყვეტილებების მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც, რაც ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. მართალია, საერთაშორისოდ აღიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს, თუმცა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტები თავადვე იძლევიან ჩარევის ლეგიტიმურ დეფინიციას და განსაზღვრვენ, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამონეწეულია დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით, ამასთან, ჩარევის სტანდარტად გამოყენებულ უნდა იქნას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ცალსახადაა ასახული „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“. მოხმობილი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს ანებსებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს, ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს, აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირ-

თადი ზრუნვის საგანია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლით დადგენილია მშობლების თანასწორუფლებიანობის პრინციპი შვილების მიმართ. მშობლები უფლებამოსილნი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით (სსკ-ის 1198.1 მუხლი). მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს (სსკ-ის 1199-ე მუხლი). მითითებული საკანონმდებლო დანაწესების ანალიზი იძლევა ცალსახა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მშობელთა უპირველესი მოვალეობა ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება, ოჯახური გარემოს შექმნა და ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადაწყვეტილებისას, უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ენიჭება, შესაბამისად, ჩარევის პროპორციულობის დასაშვები ზღვარი იმისი უალტერნატივოდ დადგენაა, რომ ამგვარი ჩარევა წარმოადგენს ერთადერთ სწორ და მისაღებ გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის/მცირეწლოვნის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულუფლებიანი და ღირსეული წევრის, განვითარებაში (იხ. სუსგ №ას-458-440-2016, 15.07.2016წ.).

22. სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასთან და საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებული თითოეული საქმის განხილვისა და ინდივიდუალური შეფასებისას, რათა ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, იქ, სადაც საქმე ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მშობლისა და ბავშვის უფლებებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადაწყვეტილების მიღება (იხ. ელსჰოლცი გერმანიის წინააღმდეგ – *Elsholz v. Germany*, # 25735/94, 31.07.2000, პარ. 52 და TK და KM გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – *TK and KM v. UK*, №28945/95, 10.05.2001, პარ.72) – შდრ. ასევე, სუსგ №ას-967-916-2015, 25.02.2016წ.

23. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული ოჯახური ცხოვრების პატივისცემაში იგულისხმება არა მხოლოდ ერთად მცხოვრები ოჯახის წევრების უფლებების დაცვა

და პატივისცემა, არამედ, ცალ-ცალკე მცხოვრები ოჯახის წევრებს შორის კავშირის შენარჩუნებაც და ოჯახური გარემოს დაცვის ვალდებულება ისეთ შემთხვევებშიც, როგორც ეს განსახილველ საქმეშია. ეროვნული სასამართლო ვალდებულია, ხელი შეუწყოს ოჯახური კავშირის აღდგენასა და განმტკიცებას, რაც, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის ჭეშმარიტი და საუკეთესო ინტერესითაა განპირობებული. ოჯახის გაერთიანების ცნების ქვეშ ნაგულისხმევია არა მხოლოდ ერთ ჭერქვეშ ცხოვრება, არამედ, მშობლისა და შვილის მჭიდრო კავშირი, რასაც ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი სასამართლომ, თუკი არ იკვეთება ბავშვის საუკეთესო ინტერესის სანინააღმდეგო წინაპირობა, რადგან მშობლისა და ბავშვის ინტერესთა ბალანსის დაცვის პროცესში, სწორედ ბავშვის ინტერესია ამოსავალი და სახელმძღვანელო სასამართლოსა და ყველა ადმინისტრაციული თუ სხვა ორგანოსათვის, რაც უმეტესწილად გადაწონის მშობლის ინტერესს.

24. საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 1201-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად უნდა გადანყვიტოს დავა იმის თაობაზე თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს ბავშვი, ამისათვის საკასაციო სასამართლო დეტალურად გაეცნო საქმის მასალებს, მათ შორის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 7 ოქტომბრის სხდომის ოქმს, საიდანაც იკვეთება, რომ ფსიქოლოგთა დასკვნებით არაა შეფასებული, თუ კონკრეტულად ვისი ბრალია ბავშვის ტრავმატიზება და რომელ მშობელზე უფრო მეტადაა მიჯაჭვული ბავშვი. აპელანტის მოსაზრებით, სასამართლომ უნდა შეაფასოს ყველა დასკვნა და ყველაზე უფრო დასაბუთებულს უნდა დაეყრდნოს, მას მიაჩნია, რომ CD-ით ნათლად დასტურდება ბავშვის ტრავმატიზების ფაქტი. მოსარჩელის წარმომადგენელმა CD ჩანაწერები გააკრიტიკა და განმარტა, რომ ის ბავშვის ინტერესს ეწინააღმდეგება. ფსიქოლოგის მოსაზრებით, ასეთი ფორმით ჩანაწერების გაკეთება არამართებულია და შესაძლოა რეალობას არც ასახავდეს (იხ. დასახელებული სხდომის ოქმი 15:57:19). ამავ სხდომაზე ფსიქოლოგი ლ. პ-ი განმარტავს: „მამასთან შეხვედრა იყო არა 30 წუთი, არამედ საათზე მეტხანს, რაც საკმარისია მშობელი-შვილის ურთიერთობაზე დასაკვირვებლად. დედის თანდასწრებით ვიმუშავეთ იმიტომ, რომ ბავშვს არ უნდოდა ფსიქოლოგთან მარტო დარჩენა. დედაზე 1 საათი დაკვირვება საკმარისია, ხოლო ბავშვთან მუშაობას დაეთმო დანარჩენი დრო. კონფლიქტი მშობლებს შორის, მიჯაჭვულობა მშობლებისადმი, სიყვარული, დაცულობა, უსაფრთხოება, სტაბილურობა, მშობელთა შორის წინააღმდეგობა არის გადამწყვეტი ფაქტორი ბავშვისათვის. დედისადმი მორჩილების ფაქტორს

ამჯერად ვერ შევაფასებ. ბავშვს ნორმალური დამოკიდებულება აქვს დედისადმი. მარტო რომ დარჩენილიყო ბავშვი ფსიქოლოგთან უკეთესი იქნებოდა, ასეთ ვითარებაში ინტერვიუს ვარჩიე ქცევაზე დაკვირვება, რომელიც უფრო ობიექტური და გავლენებისაგან თავისუფალია. ბავშვს აქვს უნდობლობა უცხო ადამიანებთან, სხვა ფსიქოლოგებმაც აღნიშნეს ეს. ყველა შეხვედრაზე ვცდილობდი ბავშვის ნდობის მოპოვებას, თუმცა, ეს გადამწყვეტი ფაქტორია, ქცევაზე დაკვირვება ამ დროს უპირატესია (იხ. დასახელებული სხდომის ოქმი 16:05:02).

25. „როდესაც საქმე არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასა და ცალ-ცალკე მცხოვრებ მშობლებთან ურთიერთობის მოწესრიგებას ეხება, განსაკუთრებული სიფრთხილით შეფასებას მოითხოვს არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე პირებისა თუ შესაბამისი სპეციალისტების (ფსიქოლოგის) მიერ გაკეთებული დასკვნები“ (იხ. სუსგ №ას-53-51-2016, 06.07.2016წ.). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების, მხარეთა და ფსიქოლოგთა განმარტებების საფუძველზე არ დასტურდება არც ერთი განმაპირობებელი ფაქტორი იმისა, რომ მცირეწლოვანის, რომელიც დედასთან ერთად ცხოვრობს, საცხოვრებლად უპირიანი, მამის საცხოვრებელი ადგილი განისაზღვროს. საქმეში წარმოდგენილია ოთხი დასკვნა, აქედან ორი მათგანი შედარებით მცირე უპირატესობას, ბავშვის მიჯაჭვულობის თვალსაზრისით, მამას ანიჭებს (ამ განჩინების მე-4 და მე-5 პუნქტები) და ორი დასკვნა – უპირატესობას დედას ანიჭებს (ამ განჩინების მე-6 და მე-7 პუნქტები). საქმეში, ასევე, წარმოდგენილია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მცირეწლოვანის საცხოვრებლად დედის საცხოვრებელი ადგილი უნდა განისაზღვროს. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ 2015 წლის 9 თებერვლისა და 2016 წლის 11 აპრილის დასკვნები წარმოდგენილია მოპასუხის მიერ, ამასთან, 2016 წლის 11 აპრილის დასკვნა შედგენილია დედასთან სატელეფონო გასაუბრების შედეგად, ფსიქოლოგი დედა-შვილის ურთიერთობას უშუალოდ არ დაკვირვებია, ფსიქოლოგთან მხოლოდ მამა-შვილი იმყოფებოდნენ. 2016 წლის 21 აპრილის დასკვნა მოსარჩელემ წარმოადგინა, ხოლო იმავე წლის 30 ივნისის დასკვნა სააპელაციო სასამართლოს ინიციატივით დადგენილი დამატებითი კვლევის შედეგად მომზადდა. „ამასთან ერთად, უნდა შეჯერდეს ბავშვთან დაკავშირებული რისკები, რომლებიც ერთ შემთხვევაში, ეხება ბავშვის საცხოვრებელი ადგილისა და გარემოს შეცვლას და, მე-

ორე შემთხვევაში, დედასთან დაშორებას. ამასთან ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისათვის აუცილებელია ისეთი კრიტერიუმების შესწავლა, როგორცაა: ბავშვის მიჯაჭვულობა ერთ-ერთ მშობელთან, ბავშვის ასაკი, მშობლების ზნეობრივი და სხვა პირადი თვისებები, ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობა, ბავშვის აღზრდა-განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნის შესაძლებლობა, ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების ოჯახური მდგომარეობა“... „ამდენად, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის მიჯაჭვულობას ერთ-ერთ მშობელთან. სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს ფსიქო-პედაგოგიური ექსპერტიზის მიხედვით, თუ რომელი მშობლის მიმართ განიცდის უფრო მეტ სიმპათიას ბავშვი და რომელთან დარჩენა უფრო სასარგებლო იქნება მისი ფსიქიკური განვითარებისათვის. რა თქმა უნდა, ბავშვის მშობელთან დამოკიდებულებას არ გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა, მაგრამ აღნიშნული კრიტერიუმი სხვა კრიტერიუმებთან ერთად მოითხოვს შესაბამის კვლევას“ (იხ. სუსგ №ას-1062-996-2012, 22.01.2013წ.).

26. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და ფსიქოლოგთა მოსაზრებას, რომ ამ განჩინების 24-ე პუნქტში დასახელებული ჩანაწერები, რომლებითაც მოპასუხე ცდილობს სასამართლო წინაშე წარმოაჩინოს, თუ როგორ ცუდ გავლენას ახდენს დედა შვილზე, მცირეწლოვანის ზედმეტ ტრავმატიზებას იწვევს და მისი რაიმე ფაქტის დასამტკიცებლად გამოყენება მიზანშეუწონელია.

27. ალიმენტის დაკისრების ნაწილში საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომელიც ამ განჩინების 15.7 ქვეპუნქტშია ასახული.

28. საკასაციო სასამართლო საქმის არსებითი განხილვის ეტაპზეც ვერ დარწმუნდა მოპასუხის საკასაციო პრეტენზიების დასაბუთებულობაში, რაც საკასაციო საჩივრის უარყოფისა და სააპელაციო სასამართლოს განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

29. საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გამო არ არსებობს, სსსკ-ის 53-ე მუხლით გათვალისწინებული, სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების წინაპირობა. შესაბამისად, კასატორის მიერ გადახდილი ბაჟი დარჩება სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ბ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 31 ოქტომბრის განჩინება;
3. კასატორის მიერ გადახდილი ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-1139-1095-2016

25 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: მცირეწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ი. ხ-მა (შემდგომში – „მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში ჯ. გ-ის (შემდგომში – „მოპასუხე“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“) მიმართ და მოითხოვა მცირეწლოვანი შვილის – ა-ე გ-ის საცხოვრებელ ადგილად დედის (მოსარჩელის) საცხოვრებელი ადგილის – ოზურგეთი, სოფელი ..., განსაზღვრა, აგრეთვე, მოპასუხისათვის 2011 წლის 02 ივლისს დაბადებული ა-ე გ-ისა და 2013 წლის 28 აგვისტოს დაბადებული მ. გ-ის სასარგებლოდ ალიმენტის, ყოველთვიურად 200 ლარის (ერთ ბავშვზე – 100 ლარი), დაკისრება ბავშვების სრულწლოვანებამდე შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

2. მოსარჩელე 2010 წლიდან ფაქტობრივ ქორწინებაში იმყოფებოდა მოპასუხესთან, რომელთან თანაცხოვრების პერიოდში შეეძინა ორი შვილი: ა-ე გ-ე, დაბადებული 2011 წლის 2 ივლისს და მ. გ-ე, დაბადებული 2013 წლის 28 აგვისტოს.

3. მოპასუხე მეუღლესთან ხუთწლიანი თანაცხოვრების პერიოდში ხშირად იღებდა ალკოჰოლურ სასმელს და მოსარჩელეს, შვილებისა და მშობლების თანდასწრებით, სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა, რის შედეგადაც მათი მცირეწლოვანი შვილები დათრგუნულები და შეშინებულები იყვნენ, არ ჰქონდათ აღზრდა-განათლებისათვის შესაფერისი პირობები. მორიგი ინციდენტის შემდეგ, მოსარჩელემ განცხადებით მიმართა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის პოლიციას. უბნის ინსპექტორ-გამომძიებელმა შეადგინა შემაკავებელი ორდერი, რომელიც 2015 წლის 5 დეკემბერს დაამტკიცა ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ. მოპასუხეს ერთი თვით აეკრძალა მიახლოება მსხვერპლთან და მის ადგილსამყოფელთან.

4. მოსარჩელემ დატოვა ოჯახი და მცირეწლოვან მ-თან ერთად დაბრუნდა ოზურგეთის რაიონ სოფელ შ-ში, მამის ოჯახში.

5. რაც შეეხება უფროს შვილს – ა-ე გ-ეს, მოსარჩელემ ვერ მოახერხა მისი წაყვანა მეუღლისა და მისი მშობლების წინააღმდეგობის გამო, შესაბამისად, ითხოვს მის საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას.

6. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ქორწინების შემდეგ მოსარჩელემ გამოავლინა ისეთი თვისებები, რომლებიც აუტანელს ხდიდა მასთან ცხოვრებას, იგი ხშირად ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა შვილებს, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ უფროს შვილს – ა-ეს დაუზიანა ყბა და მამამ იგი ტურნაზიანებული მიიყვანა საბავშვო ბაღში.

7. მოპასუხის განმარტებით, 2015 წლის 7 დეკემბერს ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე მოსარჩელემ დატოვა მისი ოჯახი და ორივე შვილთან ერთად წავიდა მშობლებთან. რამდენიმე დღის შემდეგ იგი დაბრუნდა შვილებთან ერთად, ნებაყოფლობით დატოვა უფროსი შვილი, უმცროსი – კი წაიყვანა.

8. მოპასუხის განმარტებით, იგი მოსარჩელესთან შეთანხმდა, რომ უფროსი შვილი იცხოვრებდა მამასთან, ხოლო უმცროსი შვილი – დედასთან. მოსარჩელის მოთხოვნა შვილის აღსაზრდელად გადაცემის შესახებ არ გამომდინარეობს ბავშვის ინტერესებიდან, რადგან ა-ე 2014 წლის 01 ოქტომბრიდან ხარაგაულის რაიონის სოფელ ...ის საბავშვო ბაღის აღსაზრდელია. იგი შეგუებულია საბავშვო ბაღში არსებულ გარემოს და მისგან განშორება უარყოფითად იმოქმედებს მის ფსიქიკაზე.

9. ალიმენტის დაკისრების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, მოპასუხემ მიიჩნია, რომ იგი უსაფუძვლოა, რადგან ერთი შვილი დედასთან ცხოვრობს, მეორე კი – მამასთან. გარდა ამისა, მოპასუხემ აღნიშნა, რომ იგი უმუშევარია.

10. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 5 თებერვლის განჩინებით მშობლების – მოსარჩელისა და მოპასუხის უფლებები, შვილის – ა-ე გ-ის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე აღძრულ დავასთან მიმართებით შეჩერდა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი საქმეში ჩაერთო მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე და მას დაევალა მცირეწლოვანი ბავშვისთვის – ა-ე გ-ისთვის, წარმომადგენლის დანიშვნა, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს დაიცავდა ბავშვის ინტერესებს. ამასთან, მას დაევალა მოსარჩელის საცხოვრებელი პირობების შესწავლა, არამართო მატერიალური, საბინაო, საყოფაცხოვრებო პირობების გათვალისწინებით, არამედ – ბავშვის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და აღზრდის ნორმალური პირობების შექმნის გათვალისწინებით და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა.

11. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 2 მარტის განჩინებით მოპასუხის საცხოვრებელი პირობების შესწავლა და დასკვნის წარმოდგენა დაევალა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხარაგაულის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრს (შემდგომში – „ხარაგაულის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი“), მოპასუხის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილსამყოფელის მიხედვით.

12. 2016 წლის 21 მარტის სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელემ ალიმენტის ნაწილში სარჩელი გაიხმო და ოზურგეთის რაიონული სასამართლოს განჩინებით აღნიშნული მოთხოვნა დარჩა განუხილველი.

13. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. ბავშვის – ა-ე გ-ის საცხოვრებელი ადგილი განისაზღვრა დედის – მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით – ოზურგეთი, სოფელი

14. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

15. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით სააპელა-

ციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება.

16. სააპელაციო სასამართლოს გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

17. მოსარჩელე და მოპასუხე იმყოფებოდნენ ფაქტობრივ ქორწინებაში.

18. 2011 წლის 2 ივლისს დაიბადა ა-ე გ-ე.

19. 2013 წლის 28 აგვისტოს დაიბადა მ. გ-ე.

20. 2015 წლის 4 დეკემბერს გამოცემულია შემაკავებელი ორდერი №... . ჯ. გ-ის მიმართ, რაც დამტკიცებულია ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ 2015 წლის 5 დეკემბერს.

21. სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის სამხარეო ცენტრის 2016 წლის 15 თებერვლის დასკვნიდან ირკვევა, რომ მოსარჩელე შვილთან, მ. გ-ესთან, ერთად ცხოვრობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ...-ში დედასთან, მამასთან და ძმასთან ერთად. ოჯახი არ არის რეგისტრირებული სოციალურად დაუცველთა ბაზაში. ოჯახის მატერიალური და ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ოჯახის წევრები ერთმანეთს სიყვარულით და სითბოთი მოიხსენიებენ. ოჯახში არ არის ისეთი კონფლიქტი, რაც გავლენას მოახდენს ბავშვზე. მეზობლების განმარტებით, ოჯახის წევრებს ხმამაღალი სიტყვაც კი არასოდეს უთქვამთ ერთმანეთისთვის. მოსარჩელეს შეუძლია სულიერად, მატერიალურად უზრუნველყოს ბავშვის აღზრდა-განვითარება და განათლება, ბავშვს შეუქმნას უსაფრთხო გარემო. ოჯახის მატერიალური მდგომარეობა არის დამაკმაყოფილებელი.

22. საქმეშია სოციალური მომსახურების სააგენტოს ხარაგაულის რაიონული განყოფილების 2016 წლის 21 მარტის დასკვნა, რომლის თანახმად, მოპასუხის განმარტებიდან გამომდინარე, მეუღლეებს შორის კონფლიქტები გახშირდა მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა მისი მეუღლის სატელეფონო საუბრების შესახებ უცნობ მამაკაცთან. მოსარჩელემ მასთან შეთანხმების გარეშე დატოვა საცხოვრებელი სახლი და გადავიდა მშობლების ოჯახში. მოპასუხემ შესთავაზა მეუღლეს შერიგება, მაგრამ ასეთი არ მოხდა. დღეის მდგომარეობით მოპასუხესთან ცხოვრობს შვილი – ა-ე გ-ე და მისი ბებია – ჟ. კ. მოპასუხე სავალდებულო სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ საოჯახო მეურნეობას ეწევა სოფელში, სეზონურად მუშაობს კერძო სამუშაოზე. დასკვნის თანახმად, სახლში არის აუცილებელი მოთხოვნილებების საყოფაცხოვრებო ნივთები, მაგრამ

სახლი არის მენყერსაშიმ ზონაში და იგეგმება რაიონის ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა ოჯახისათვის ფინანსური დახმარების მიზნით. მოსარჩელის ოჯახიდან წასვლის შემდეგ ჭიათურის რაიონის ჩავიდა ბავშვის ბებია და ისიც ეხმარება მოპასუხეს ბავშვის მოვლაში. მოპასუხის განმარტებით, ბავშვი არ გამოხატავს მიჯაჭვულობას დედის მიმართ. დასკვნის თანახმად, ბავშვების კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე, უმჯობესია, დამა ერთად იზრდებოდეს ორივე მშობლის გარემოცვაში.

23. სააპელაციო სასამართლომ დამატებით დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

24. მოპასუხე ასრულებს კერძო სამუშაოებს და ა-ეს ფაქტიურად ზრდის მოპასუხის ბებია.

25. ორივე სოციალურ დასკვნაში (როგორც გურიის, ისე ხარაგაულის მომსახურების ცენტრების დასკვნები) მითითებულია შემდეგი გარემოება: მცირეწლოვან ა-ე გ-ეს ფაქტიურად ზრდის მოპასუხის ბებია და მოპასუხის სახლი მდებარეობს მენყერსაშიმ ზონაში.

26. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1198-ე, 1197-ე, 1199-ე, 1200-ე, 1201-ე მუხლები, „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-9, მე-3 მუხლები, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი და სწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის მუხლები.

27. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული შემდეგი სასამართლებრივი შეფასებები:

28. ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტისას სასამართლომ უტყუარად და სარწმუნოდ უნდა დაადგინოს მიღებული გადაწყვეტილების ბავშვის ინტერესებთან შესაბამისობის საკითხი.

29. მხარეები რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებოდნენ. მათ ჰყავთ ორი შვილი, ერთი შვილი – ა-ე გ-ე ცხოვრობს მამის – მოპასუხის ოჯახში, ხარაგაულის რაიონის სოფელ ...ში.

30. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება, გადაწყვიტოს, ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი და განმარტა, რომ ამ შემთხვევაში საკმაოდ დიდი

მნიშვნელობა ენიჭება „ბავშვის ინტერესების“ განსაზღვრას, სასამართლო პრაქტიკისა და საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკის გათვალისწინებით.

31. პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებით, ბავშვის ასაკის გათვალისწინებას სხვა გარემოებებთან ერთად გააჩნია მნიშვნელობა ბავშვის მოთხოვნების განსაზღვრაში, მისი საცხოვრებელი ადგილის (დედასა თუ მამასთან) პრიორიტეტების დადგენაში. მცირეწლოვანი ბავშვისთვის ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მშობლის ზრუნვა, სწორ ფასეულობათა სისტემის ჩამოყალიბება, ბავშვის ნორმალური სოციალიზაცია. ასაკთან ერთად სხვა საკითხებთან ერთობლიობაში ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისთვის (მამასთან თუ დედასთან) ასევე მნიშვნელობა აქვს ბავშვის სქესს. სწორედ არსებულ ეტაპზე ეყრება საფუძველი ბავშვის პიროვნულ ჩამოყალიბებას, რა დროსაც დედის ავტორიტეტის შელახვა და მასთან არასაკმარისი სიახლოვე დამლუპველი იქნება და უარყოფითად იმოქმედებს ინდივიდის ცხოვრების ფორმირებაზე.

32. პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებით, ბავშვი დედას უნდა დაშორდეს მხოლოდ ისეთ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც ბავშვსა და მშობელს შორის კავშირი მემარტულია ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების საწინააღმდეგოდ, რასაც, სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ, ამასთან ერთად აუცილებლად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული ის გარემოებაც, რომ ბავშვის მამის ოჯახში დარჩენის შემთხვევაში ბავშვი აღსაზრდელად ფაქტობრივად გადაეცემოდა მამის ბებიას, რადგან მამა მუშაობდა. იგი დღის განმავლობაში ბავშვთან არ იყო, გასული იყო ოჯახიდან სამუშაოდ და შვილს უტოვებს მის ბებიას. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში იგი არ აკნინებდა ბების როლს ბავშვის აღზრდაში, მაგრამ აღნიშნული ვერანაირად ვერ შეცვლიდა დედასთან შვილების ურთიერთობის აუცილებლობას.

33. მოცემულ შემთხვევაში საქმეზე დადგენილი გარემოებების, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს პოზიციის გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ გაანალიზა რა ბავშვთან დაკავშირებული რისკები, რომლებიც ერთ შემთხვევაში ენებოდა ბავშვის საცხოვრებელი ადგილისა და გარემოს შეცვლას და, მეორე შემთხვევაში – დედასთან დაშორებას, ასევე გაითვალისწინა რა ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა: ბავშვის ასაკი, ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობა, ბავშვის აღზრდა-განვითარებისათვის შესაბამისი პირობების

შექმნის შესაძლებლობა, ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების ოჯახური მდგომარეობა, მიიჩნია, რომ დედის მიერ ბავშვის დაცოვების მიზეზი გამოწვეული იყო დაძაბული სიტუაციით და ამ სიტუაციის სიმძიმემ განაპირობა ბავშვთან სრულყოფილი ურთიერთობის აღდგენის შეფერხება, რაც უნდა გამოსწორებულიყო და მცირეწლოვანი ა-ე გ-ის საცხოვრებელ ადგილად უნდა განსაზღვრულიყო დედის – მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილი – ოზურგეთის რაიონი, სოფელი

34. სააპელაციო პალატამ დამატებით მიუთითა „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-9 მუხლის პირველ და მე-3 ნაწილებზე, რომლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს. ეს შეიძლება აუცილებელი გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, როცა მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს და არ ზრუნავენ მასზე ან როცა მშობლები ცხოვრობენ ცალ-ცალკე და აუცილებელია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის თაობაზე გადამწყვეტილების მიღება. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელს დაცილებული ბავშვის უფლებას, რეგულარული პირადი ურთიერთობები და პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეს ორივე მშობელთან, იმ შემთხვევის გარდა, როცა ეს ეწინააღმდეგება ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესებს.

35. სააპელაციო პალატამ დადგინილი ფაქტობრივი გარემოებების გაზიარებით და სამოქალაქო კოდექსის 1197-ე, 1198-ე და 1201-ე მუხლებზე მითითებით განმარტა, რომ ბავშვის „ჭეშმარიტი ინტერესი“ მოცემულ შემთხვევაში იყო ის ფაქტი, რომ ა-ე გ-ეს ორივე მშობელთან ერთნაირი ურთიერთობა უნდა ჰქონოდა და ამასთან მათთან ურთიერთობის დროს არ უნდა ყოფილიყო დარღვეული მისი, როგორც ბავშვის უფლებები და საკითხი უნდა გადამწყვეტილიყო მისი უპირატესი ინტერესის გათვალისწინებით. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როცა მცირეწლოვანი ა-ე გ-ე იმყოფებოდა მამის ოჯახში, სადაც მასზე მზრუნველობდა, მამაზე მეტად, მამის ბებია, ასევე მამის სახლი იმყოფებოდა მენყერსაშიმ ზონაში, ხოლო დედასთან არსებობდა ყოველგვარი პირობა, რათა ბავშვი აღზრდილიყო საზოგადოების სრულფასოვან და ღირსეულ მოქალაქედ, მასზე იზრუნებდა თვით დედა (მშობელი) და, რაც მთავარია,

იგი იცხოვრებდა და გაიზრდებოდა თავის დედამამიშვილთან ერთად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განსაზღვრა მცირენლოვანი ა-ე გ-ის საცხოვრებელ ადგილად დედის – მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილი, ოზურგეთის რაიონი, სოფელი

36. სააპელაციო პალატამ დამატებით მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ მყარ პრაქტიკაზე, რომლის თანახმად, ბავშვის აღზრდისათვის გარემოს შესაბამისობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დეტალურად და დამაჯერებლად უნდა შემოწმდეს. ამ მიმართებით გადამწყვეტი მნიშვნელობა მორალურ და არა მატერიალურ მხარეს უნდა მიენიჭოს. ამასთან, არასრულწლოვანი და-ძმის დაცვილება დასაშვებია მაშინ, როდესაც ეს აუცილებლობით არის გამოწვეული და მშობელს, რომელთანაც ბავშვი იზრდება, არ აქვს შესაძლებლობა, შეუქმნას მას აღზრდის ნორმალური პირობები.

37. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ოქტომბრის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში.

38. საკასაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ კასატორი ასრულებს კერძო სამუშაოებს და ა-ე გ-ეს ფაქტობრივად კასატორის ბებია ზრდის. მისი განმარტებით, აღნიშნული სიმართლეს არ შეესაბამება და ბავშვს თავად ზრდის.

39. კასატორმა მიუთითა „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-9 მუხლზე, რომლის თანახმად, „სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ“. კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო და პირველი ინსტანციის სასამართლოებმა ისე განსაზღვრეს ბავშვის ადგილსამყოფელი, რომ არ გაითვალისწინეს ბავშვის სურვილი, რომელიც 2014 წლის ოქტომბრის თვიდან ... საბავშვო ბაღის აღსაზრდელია და შეგუებულია არსებულ გარემოს, ამასთან, ადგილისა და გარემოს შეცვლა აუცილებლობით არ არის გამოწვეული და მისი შეცვლა უარყოფითად იმოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე, რაც სააპელაციო სასამართლომ სათანადო შეფასების გარეშე დატოვა.

40. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 დეკემბრის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხ-

ლის მიხედვით დასაშვებობის შესამონმებლად.

41. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 25 მაისის განჩინებით დადგინდა მოპასუხის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვა მხარეთა დასწრებით.

42. საკასაციო სასამართლომ 2017 წლის 2 ივნისის საოქმო განჩინებით არასრულწლოვანთა კანონიერ წარმომადგენელს – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრს დაავალა სასამართლოსთვის არასრულწლოვანი ა-ე გ-ის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესახებ ფსიქოლოგის დასკვნისა და ასევე თითოეული მშობლის მიმართ შვილის დამოკიდებულების ამსახველი შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა.

43. 2017 წლის 26 ივლისს მოსარჩელემ წარმოადგინა შუამდგომლობა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 355-ე მუხლის თანახმად, დროებითი განკარგულების მიღების მოთხოვნით, შვილთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად და მისთვის ბავშვის აღსაზრდელად გადასაცემად. მოსარჩელემ მიუთითა, რომ გამომდინარე იქედან, რომ სასამართლოში ჯერ კიდევ არ იყო წარმოდგენილი ფსიქოლოგის დასკვნა, ამასთან, ბავშვი იყო სასკოლო ასაკის და ის დაფიქსირებული იყო სკოლის მოსწავლედ დედის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (სოფელი ...) არსებულ საჯარო სკოლაში, მიზანშეწონილი იქნებოდა, ბავშვი დროებით, 2017 წლის აგვისტოსთვის ბოლომდე, გადასცემოდა დედას.

44. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ივლისის დროებითი განკარგულებით მოსარჩელის განცხადება ბავშვთან ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით დროებითი განკარგულების მიღების თაობაზე დაკმაყოფილდა და მიღებულ იქნა დროებითი განკარგულება შემდეგი პირობებით: მოსარჩელეს მიეცა შესაძლებლობა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილიდან თავის საცხოვრებელ ადგილას წაეყვანა შვილი – 2011 წლის 2 ივლისს დაბადებული ა-ე გ-ე – 2017 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით; აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მამის საცხოვრებელ ადგილზე ბავშვის დაბრუნებას უზრუნველყოფდა დედა – მოსარჩელე. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრს დაევალა წინამდებარე დროებითი განკარგულების აღსრულების ზედამხედველობა.

45. 2017 წლის 2 ივნისს, 13 სექტემბერსა და 25 სექტემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მოპასუხის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკით-

ხის განხილვის მიზნით გამართა ზეპირი მოსმენა.

სამოტივაციო ნაწილი:

46. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემონმების შედეგად, მიიჩნევს, რომ ჯ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

47. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულთა სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

48. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

49. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს მცირეწლოვანი ა. გ-ის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის კანონიერების შემონმება წარმოადგენს.

50. კასატორი სააპელაციო სასამართლოს განჩინებას ასა-

ჩივრებს იმ საფუძვლით, რომ ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას სასამართლომ არ გაითვალისწინა ბავშვის სურვილი, ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ მცირეწლოვან ა. გ-ეს ფაქტობრივად ზრდის კასატორის ბებია.

51. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის დასაშვებობისა და დასაბუთებულობის შემოწმებამდე, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს განსახილველი კატეგორიის საქმეებზე გადანყვეტილების მიღებისას სასამართლოსათვის სახელმძღვანელო რამდენიმე მნიშვნელოვან და პრინციპულ საკითხზე:

52. საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, მათ შორის, „ბავშვის უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის კონვენციით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციითა და საქართველოს შიდასაკანონმდებლო აქტებით აღიარებულია მშობლების თანასწორუფლებიანობის პრინციპი შვილების მიმართ და ბავშვის უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში.

53. ბავშვისა და მშობლების ურთიერთობის უფლება შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს მხოლოდ მაშინ, თუ ეს აუცილებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის.

54. „ბავშვის უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის კონვენციის მე-9 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ განშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევების გარდა, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადანყვეტილების თანახმად, განსაზღვრავენ სათანადო კანონისა და პროცედურების შესაბამისად, რომ ასეთი განშორება საჭიროა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის. ასეთი განსაზღვრა შეიძლება საჭირო გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, როცა მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს ან არ ზრუნავენ მასზე, ანდა, როცა მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ და საჭიროა გადანყვეტილების მიღება ბავშვის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით. ამასთან, მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელთაგან განშორებული ბავშვის უფლებას, რეგულარულ საფუძველზე პირადი ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტები იქონიოს ორივე მშობელთან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება. ამავე კონვენციის მე-18 მუხლის პირ-

ველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან, შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია.

55. ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობა დადგენილია, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით.

56. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც (სუსგ №ას-1112-1047-2015, 2016 წლის 4 მარტი).

57. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მშობლების ბავშვთან ურთიერთობასთან დაკავშირებულ დავებზე არაერთხელ აღნიშნა, რომ ბავშვის ინტერესები არის განსაკუთრებული მნიშვნელობის (*Krasicki v. Poland*, no. 17254/11, § 83, 15 April 2014). ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს უპირველესი საზრუნავი (*Gnahore v. France*, n. 40031/98, § 59, ECHR 2000-IX) და შესაძლებელია, თავისი შინაარსიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, გადასწონოს მშობლების ინტერესი (*Sahin v. Germany [GC]*, no. 30943/96, § 66, ECHR 2003-VIII). კერძოდ, კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, მშობელს არა აქვს ისეთი ღონისძიებების მოთხოვნის უფლება, რომელთა განხორციელებამ შესაძლებელია ზიანი მიაყენოს ბავშვის ჯანმრთელობას და განვითარებას (*Krasicki v. Poland*, no. 17254/11, § 83, 15 April 2014, *Scozzari and Giunta v. Italy [GC]*, nos. 39211/98 and 41963/98, § 169, ECHR 2000-VIII, and *P., C. And S. v. The United Kingdom*, no. 56547/00, § 177, ECHR 2002-VI).

58. აღნიშნულმა პრინციპმა საქართველოს შიდა ნორმატიულ აქტებშიც ჰპოვა ასახვა. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც გან-

საზღვრავს განქორწინებული ან ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების უფლებებსა და მოვალეობებს შვილების მიმართ, მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინებული არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ. ამავე კოდექსის 1199-ე მუხლის თანახმად, მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს.

59. ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზი იძლევა ცალსახა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მშობელთა უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება, ოჯახური გარემოს შექმნა, ხოლო ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადაწყვეტილებისას უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ენიჭება.

60. ბავშვისა და მშობლების ურთიერთობის უფლების შეზღუდვის ან გამორიცხვის საკითხის განხილვისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს შემდეგი გარემოებები: (ა) არსებობს თუ არა საკითხის გადანყვეტის უფრო ნაკლებად შემზღუდავი საშუალება; (ბ) არის თუ არა უფლების შესაძლო შეზღუდვა ან გამორიცხვა პროპორციული ზომა, და (გ) არის თუ არა უფლების შეზღუდვის ან გამორიცხვის აუცილებლობა სათანადოდ დასაბუთებული. (სუსგ №ას-888-838-2015, 2016 წლის 14 მარტი).

61. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ არასრულწლოვანის უპირატესი ინტერესის დაცვისას დაუშვებელია სახელმწიფოს მხრიდან არა მხოლოდ ნეგატიური ჩარევა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ არ უნდა დაარღვიოს არასრულწლოვანისათვის კანონით მინიჭებული უფლებები, არამედ სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება – განახორციელოს აქტიური მოქმედებები არასრულწლოვანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესის დაცვისათვის. სახელმწიფოს სახელით გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება არასრულწლოვანის ინტერესებს, არის სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულების ყველაზე ნათელი მაგალითი.

62. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება გამოხატვას ჰპოვებს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის საპროცესო რეალიზაციის წესშიც.

63. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, მართალია, საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები განეკუთვნება კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების სფეროს, მაგრამ ამ ურთიერთობების განვითარებითა და სიმტკიცით დაინტერესებულია

მთელი საზოგადოება. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სასამართლო ინარჩუნებს უფლებას, დაადგინოს ის გარემოება, რომელიც აუცილებლობა განაპირობებს არასრულწლოვანის ინტერესებისათვის ყველაზე კეთილსაიმედო გადაწყვეტილების მიღებას (სუსგ №ას-53-51-2016, 2016 წლის 6 ივლისი). კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საოჯახო საქმეთა განხილვისას სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.

64. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ საქმეში საკასაციო სასამართლოს შემოწმების საგანს წარმოადგენს, არის თუ არა მცირეწლოვანი ა-ე გ-ის საუკეთესო ინტერესებში მის საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა.

65. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის განხილვისას საკასაციო პალატა ხელმძღვანელობს სწორედ საოჯახო დავების განხილვისთვის დამახასიათებელი ინკვიზიციურობის პრინციპით და კასატორის მიერ წამოყენებული საკასაციო პრეტენზიის დასაშვებობისა და დასაბუთებულობის შემოწმებას ახორციელებს როგორც სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, ასევე, საკასაციო პალატის 2017 წლის 2 ივნისის საოქმო განჩინებით არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრისთვის მიცემული დავალეების საფუძველზე, 2017 წლის 13 სექტემბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოდგენილი რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის ფსიქოლოგის დასკვნაზე დაყრდნობით.

66. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებია, რომ მოსარჩელე და მოპასუხე იმყოფებოდნენ ფაქტობრივ ქორწინებაში; 2011 წლის 2 ივლისს დაიბადა ა. გ-ე; 2013 წლის 28 აგვისტოს დაიბადა მ. გ-ე; მოსარჩელე შეილთან – მ. გ-ესთან ერთად ცხოვრობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში დედასთან, მამასთან და ძმასთან ერთად. ა. გ-ე იზრდება მოპასუხესთან; მოპასუხე ასრულებს კერძო სამუშაოებს და ა-ს ფაქტიურად ზრდის მოპასუხის ბებია.

67. კასატორის პირველი პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას სააპე-

ლაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ბავშვის სურვილი.

68. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღიარებს, რომ ბავშვის სურვილები და გრძნობები მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მშობელთან ურთიერთობის საკითხის გადანყვეტისას (Sahin v. Germany [GC], no. 30943/96, § 73, ECHR 2003-VIII).

69. „ბავშვის უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის კონვენციის მე-12 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოხატოს ეს შეხედულებანი ბავშვთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, ამასთან ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა ბავშვის ასაკისა და მონიჭულობის შესაბამისად.

70. გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ზოგად კომენტარში №12 (2009), რომელიც ეხება ბავშვის უფლებას, იქნეს მოსმენილი, მითითებულია, რომ ბავშვის მიერ საკუთარი შეხედულებების თავისუფლად გამოხატვა ნიშნავს იმას, რომ არ უნდა მოხდეს ბავშვის მანიპულირება ან ბავშვი არ უნდა დაექვემდებაროს ზემოქმედებას ან ზენოლას. ამასთან ერთად, „თავისუფლად“ თავისთავად დაკავშირებულია ბავშვის „საკუთარ“ შეხედულებებთან: ბავშვს გააჩნია უფლება გამოხატოს თავისი შეხედულებები და არა – სხვების შეხედულებები.

71. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული დავის განხილვისას, კასატორის პრეტენზიის საფუძვლიანობის შესასწავლად, მნიშვნელოვანია შეფასდეს მცირეწლოვანი ა. გ-ის დამოკიდებულება დედის მიმართ. რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის ფსიქოლოგის დასკვნის თანახმად, „პირველ და მეორე ვიზიტებზე ბავშვს ვთხოვე გაეხსენებინა რაიმე დედის შესახებ. ციტირება ბავშვის მონათხრობიდან: „დედა მიბრაზდებოდა, მცემდა, მე არ მინდა დედასთან, კიდე გამლახავს, არც ის არ მინდა დედა სახლში რომ დაბრუნდეს“, მაგრამ ეს ყველაფერი ბავშვმა მანამდე თქვა სანამდე დედას დაინახავდა. როცა ბავშვთან მესამე ვიზიტზე დედა ავიყვანე, ა. დივანზე იჯდა... ბავშვი აივნიდან მალულად იცქირებოდა, რომ დედა დაენახა და სახეზე ხელებაფარებული ჩუმად ილიმებოდა. როცა ოთახში შევედი, ბავშვი ჩაეხუტა დედას, მან გამოართვა მისთვის განკუთვნილი საჩუქრები, რომელიც ქალბატონმა ი-მ ბავშვს მიუტანა. გახალისდა და თავს ბედნიერად გრძნობდა. ერთი საათის განმავლობაში მქონდა საშუალება დაკვირვება მომეხდინა დედა-შვილის ურთიერთობასა და

ემოციურ მიჯაჭვულობაზე. ქალბატონი ც-ი ცდილობდა მარტო არ დავეტოვებინეთ, ამიტომ მივუთითე ამის შესახებ. დედასთან ურთიერთობის შედეგ, ბავშვს მარტო გავესაუბრე, ციტირება ბავშვის მონათხრობიდან: „მე მინდა დედასთან და მ-თან, მამამ და ბებია მ-სე მითხრეს, დედასთან თუ წახვალ, აქ აღარასდროს დაგაბრუნებსო ... ა. გ-ის მძაფრი, დაძაბული ემოციური ფონის მითითებით და ბებია-შვილიშვილისა და მამა-შვილის ურთიერთობის შინაარსის გათვალისწინებით ბავშვი არის ემოციური ძალადობის მსხვერპლი... ზემოთ აღნიშნული ა-ე გ-ის ფსიქოლოგიური მახასიათებლების მიხედვით, ბავშვის მძიმე ოჯახური სოციალური და ემოციური გარემოებების გათვალისწინებით და ბავშვის დედის მიმართ ძლიერი ემოციური მიჯაჭვულობის ფონზე მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი და ძლიერი სურვილი და მოთხოვნა, იცხოვროს დედასთან ერთად, რაც გამოვლინდა სატესტო ვალეებში“.

72. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ფსიქოლოგის მიერ გამოკვლეული ბავშვის ფსიქიკური მდგომარეობა უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებსაც გააჩნია იურიდიული მნიშვნელობა (სუსგ №ას-1062-996-2012, 2013 წლის 22 იანვარი).

73. მოცემული დასკვნიდან ნათლად ჩანს, რომ დედის მიმართ წინააღმდეგობის სურვილი არის ბავშვზე ემოციური ძალადობის შედეგი. პირიქით, ბავშვს დედის მიმართ გააჩნია ძლიერი ემოციური მიჯაჭვულობა, სურს დედასთან ურთიერთობა და სწორედ აღნიშნული წარმოადგენს მის საკუთარ შეხედულებას. შესაბამისად, დაუსაბუთებელია კასატორის მითითება, რომ სააპელაციო სასამართლომ ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას არ გაითვალისწინა მისი სურვილი.

74. რაც შეეხება კასატორის მეორე პრეტენზიას, მისი მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ მცირეწლოვან ა. გ-ეს ფაქტობრივად ზრდის კასატორის ბებია.

75. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მოპასუხე ასრულებს კერძო სამუშაოებს და ა-ს ფაქტიურად ზრდის მოპასუხის ბებია.

76. 2017 წლის 11 სექტემბრის რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის ფსიქოლოგის დასკვნაშიც იგივეა მითითებული: „ბატონი ჯ. გ-ე ოჯახიდან უმეტესწილად წასულია თბილისში სამუშაოდ. როგორც მისგან

მივიღე ინფორმაცია, ის კერძო საქმით არის დაკავებული. ა-ე კი ოჯახში ფაქტიურად ცხოვრობს ბებიასთან და დიდ ბებიასთან“. საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულებები კი მოპასუხეს არ წარმოუდგენია და მისი საკასაციო პრეტენზია, რომ ის თავად ზრდის შვილს, ეფუძნება მხოლოდ მის ახსნა-განმარტებას.

77. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მას არ სურს დააკენინოს ბებია-პაპის როლი ბავშვის აღზრდაში, მაგრამ აღნიშნული ვერანაირად ვერ შეცვლის დედასთან შვილების ურთიერთობის აუცილებლობას. მითითებულის საკომპენსაციო ვერ იქნება ვერც მამასთან გატარებული დღის მცირედი ნაწილი (სუსგ №ას-211-204-2012, 2012 წლის 19 ივლისი).

78. ამრიგად, კასატორი ვერ უთითებს მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების ისეთ დარღვევაზე, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

79. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მოცემული დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელობის მქონე სხვა დამატებით გარემოებებზე, რომლებსაც ყურადღება უნდა მიექცეს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი მყარი პრაქტიკის შესაბამისად.

80. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბავშვი დედას უნდა დაშორდეს მხოლოდ ისეთი გამონაკლისების შემთხვევაში, როდესაც ასეთი კავშირი მიმართულია ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების საწინააღმდეგოდ. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში ბავშვის ასაკს უდიდესი მნიშვნელობა აქვს (სუსგ №ას-1062-996-2012, 2013 წლის 22 იანვარი). კერძოდ, ბავშვი არის მცირეწლოვანი, სწორედ არსებულ ეტაპზე ეყრება საფუძველი მის პიროვნულ ჩამოყალიბებას, რა დროსაც დედასთან არასაკმარისი სიახლოვე, შესაძლოა, უარყოფითად აისახოს ბავშვის, როგორც ინდივიდის, შემდგომ ფორმირებაზე. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ა-ე გ-ისთვის დედის მზრუნველობა, მისი ასაკის გათვალისწინებით, შეუცვლელია (სუსგ-ები №ას-211-204-2012, 2012 წლის 19 ივლისი; №ას-1062-996-2012, 2013 წლის 22 იანვარი).

81. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბავშვი რამდენიმე წელი იზრდებოდა დედასთან და მამასთან ერთად, შესაბამისად, დედასთან განრიდება წარმოადგენს ბავშვის მიერ მიღებულ სტრესს, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ემოციური სირთულეები გამოიწვიოს (სუსგ №ას-1062-996-2012, 2013 წლის 22 იანვარი). 2017 წლის 11 სექტემბრის რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის სოციალური მომსა-

ხურების სამხარეო ცენტრის ფსიქოლოგის დასკვნაშიც მითითებულია, რომ ბავშვს აღნიშნება ტრავმული განცდების მიმანიშნებელი სიმპტომები და დარღვევები ემოციურ სფეროში, ასევე დარღვევა ქცევის დონეზე.

82. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ზემოაღნიშნული დასკვნის იმ ნაწილსაც, რომელშიც ფსიქოლოგი აღწერს არასასიამოვნო ფაქტს, კერძოდ, „ქალბატონ ი-ს ყოფილმა მეუღლემ, ბატონმა ჯ-მ და ყოფილმა დედამთილმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, ბატონი ჯ. მას სახლიდან აგდებდა. ეს მოხდა ბავშვის დასწრებით, რამაც ა-ე ძალიან გააღიზიანა“. ფსიქოლოგის დასკვნის ეს ნაწილი უკვე მიუთითებს იმაზე, რომ ბავშვის მამის ოჯახში დატოვების შემთხვევაში დედა-შვილის ურთიერთობის აღდგენა-დაახლოება საკმაოდ დიდ პრობლემას უკავშირდება (სუსგ №ას-1062-996-2012, 2013 წლის 22 იანვარი). სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მშობელს, რომელთანაც შვილი ცხოვრობს, უფლება არა აქვს, შეზღუდოს მეორე მშობლის უფლება-მოვალეობები. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ბავშვის ერთ-ერთი მშობლისთვის მიკუთვნების შემთხვევაში, მას უნდა მიეცეს მეორე მშობელთან ურთიერთობის შესაძლებლობა, რაც მოცემულ შემთხვევაში ვერ იქნება უზრუნველყოფილი.

83. საკასაციო პალატა დამატებით ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტობრივ გარემოებაზეც, რომ მცირეწლოვანი ა-ე გ-ის და – მ-ი იზრდება დედასთან, ფაქტობრივად და-ძმა იზრდება განცალკევებით. „საქმეზე – „MUSTAFA AND ARMADAN AKIN v. TURKEY“ ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული სასამართლოს გადანყვევტილება ბავშვების განცალკევების თაობაზე წარმოადგენდა მომჩივნების ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას, რადგან აღნიშნული გადანყვევტილება და-ძმას უკრძალავდა ერთმანეთის ნახვას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მცირეწლოვანი და-ძმის განცალკევებით აღზრდა უარყოფითად იმოქმედებს მათ ფსიქიკაზე. არასრულწლოვანი და-ძმის დაცილება დასაშვებია მაშინ, როდესაც ეს აუცილებლობითაა გამონვეული და მშობელს, რომელთანაც ბავშვი იზრდება, არ აქვს შესაძლებლობა, შეუქმნას მას აღზრდის ნორმალური პირობები (სუსგ №ას-904-944-2011, 2011 წლის 18 ოქტომბერი).

84. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიიჩნია, რომ მცირეწლოვანი ა. გ-ის საუკეთესო ინტერესებშია მის საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასა-

მართლოს განჩინება არ ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებულ პრაქტიკას და კასატორის საკასაციო პრეტენზია საფუძველს მოკლებულია.

85. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორს დასაბუთებული პოზიცია არ წარმოუდგენია არც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან ან/და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან წინააღმდეგობის საფუძველით, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი აღნიშნული საფუძველით არ არის დასაშვები.

86. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი წინაპირობა, რომლის საფუძველზე საკასაციო სასამართლო დასაშვებად ცნობს წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს. შესაბამისად, უარყოფილია საკასაციო განაცხადის დასაშვებად ცნობა.

87. კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ჯ. გ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველი;

2. კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შვილის ნახვის დღეების განსაზღვრა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1122-1078-2016

1 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაძე

დავის საგანი: შვილის ნახვის დღეების განსაზღვრა

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი სა-
ფუძვლები:

1.1. რ. ფ-მ (შემდგომში – მოსარჩელე, მეორე აპელანტი, მო-
წინააღმდეგე მხარე ან არასრულწლოვნის მამა) სარჩელი აღ-
ძრა სასამართლოში ნ. ე-ის (შემდგომში – მოპასუხე, პირველი
აპელანტი, კასატორი ან არასრულწლოვნის დედა) მიმართ 2012
წლის 22 ნოემბერს დაბადებული არასრულწლოვანი შვილის ნახ-
ვის დღეების განსაზღვრის მოთხოვნით, კერძოდ, მოსარჩელემ
მოითხოვა, ნება დაერთოს ყოველ შაბათ-კვირას, დღის 10:00
საათიდან ღამის 20:00 საათამდე, ნაიყვანოს ბავშვი ღამით დარ-
ჩენის უფლებით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:
2012 წლის 13 იანვრიდან მხარეები იმყოფებოდნენ რეგისტრი-
რებულ ქორწინებაში, რომელიც, თბილისის საქალაქო სასამარ-
თლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 მარტის
გადანყვეტილებით შეწყდა განქორწინებით. თანაცხოვრების
პერიოდში, 2012 წლის 22 ნოემბერს, მათ შეეძინათ შვილი. მხარე-
თა ქორწინების ფაქტობრივად შეწყვეტის მომენტიდან მო-
პასუხემ დატოვა მოსარჩელის საცხოვრებელი სახლი და ნაიყ-
ვანა შვილი. განქორწინების შესახებ გადანყვეტილებით სასა-
მართლომ მოსარჩელეს არასრულწლოვანი შვილის სასარგებ-
ლოდ დააკისრა აღიშნული ყოველთვიურად 100 ლარის ოდენო-
ბით, რომელიც მამის მოთხოვნის საფუძველზე შეიცვალა და
საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 ოქტომბრის გადანყვე-
ტილებით განისაზღვრა 90 ლარით. მიუხედავად მამის მცდე-
ლობისა, მოპასუხე არ აძლევს შესაძლებლობას, ურთიერთობა

იქონიოს შვილთან, მონაწილეობა მიიღოს მის აღზრდაში და იზრუნოს მასზე.

2. მოპასუხისა და არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის პოზიცია:

2.1. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითა შემდეგი: მოსარჩელეს ორი წელია არ უნახავს საკუთარი შვილი, მან ბავშვთან ურთიერთობის სურვილი მხოლოდ 2015 წლის სექტემბერში გამოთქვა და ითხოვდა, დროის ნებისმიერ მონაკვეთში, მათ შორის ღამის საათებში მოენახულებინა ბავშვი, რასაც არ ეთანხმება არასრულწლოვნის დედა იმ საფუძვლით, რომ მუშაობს და არ აქვს თავისუფალი გრაფიკი. მოპასუხემ მოსარჩელეს აჩვენა კიდევ შვილი, ხოლო მამა შეეცადა არასრულწლოვანი უარყოფითად განეწყო დედის მიმართ. სარჩელში არ არის მითითებული იმ მიზეზების თაობაზე, რამაც განაპირობა მოპასუხისა და შვილის წამოსვლა მამის ოჯახიდან, მამა არის გაუნონასწორებელი ფსიქიკის მქონე, იღებს ფსიქოტროპულ ნივთიერებებს, რაც უარყოფითად აისახება ბავშვის ჯანმრთელობაზე, გარდა ამისა, მოპასუხე გამოთქვამს ვარაუდს, რომ მამასთან ბავშვის ხანგრძლივად დატოვებით, ის შვილს დედის მიმართ ცუდად განაწყობს. მოსარჩელე ამტკიცებს, რომ არის სოციალურად დაუცველი და არ გააჩნია შემოსავალი, თუმცა, როგორ უნდა მოუაროს შვილს, ან ვინ იზრუნებს მასზე სარჩელში არ არის მითითებული.

2.2. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელმა განმარტა, რომ არასრულწლოვანი ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია, მას ურთიერთობა ჰქონდეს როგორც დედასთან, ისე – მამასთან. ბიოლოგიურ მშობლებთან ურთიერთობა დადებითად იმოქმედებს ბავშვის ფსიქო-ემოციურ, კოგნიტიურ და ფიზიკურ განვითარებაზე. ვინაიდან ამ ეტაპზე მოსარჩელესა და ბავშვს შორის არის გაუცხოება, მიზანშეწონილია, მიჩვევის მიზნით, მამასა და შვილს შორის ურთიერთობას ხელი შეეწყოს ეტაპობრივად და თანდათან გაიზარდოს მოსარჩელის არასრულწლოვანთან ურთიერთობისათვის დადგენილი დრო.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი წამოიწვიო და დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს 2012 წლის 22 ნოემბერს დაბადებულ არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობა განესაზღვრა შემდეგნაირად:

ა) თავდაპირველად, მიჩვევის მიზნით, ორი თვის განმავლობაში მოსარჩელემ ურთიერთობა უნდა იქონიოს შვილთან ყოველი კვირის შაბათ დღეს, დღის 12 საათიდან იმავე დღის 13:30 საათამდე, ხოლო სამშაბათს ან ოთხშაბათს დღის 18:30 საათიდან იმავე დღის 19:30 საათამდე წაყვანის და უკან დედასთან დაბრუნების უფლებით. ურთიერთობისათვის სამშაბათი ან ოთხშაბათი დღის პრიორიტეტის შერჩევა მოხდება დედის მიერ, რის შესახებაც არა ნაკლებ 10-12 საათით ადრე ტელეფონით ან სხვა საშუალებით მხარეთა შეთანხმებით აცნობებს მამას. შეტყობინება განხორციელდება სატელეფონო სმს-ის საშუალებით. მიჩვევის მიზნით, ბავშვთან თავდაპირველი ურთიერთობა განხორციელდება დედის ან ამ უკანასკნელის მიერ ნდობით აღჭურვილი პირის თანდასწრებით. მიჩვევის მიზნით, მამა-შვილს შორის შეხვედრა შედგება ბავშვის საცხოვრებელი ადგილის / ეზო, პარკი, ქუჩა/ მიმდებარე ტერიტორიაზე ან საბავშვო გასართობ ან სავაჭრო ცენტრში დედის მითითებისამებრ. შეხვედრის ადგილის შესახებ არა ნაკლებ 7-6 საათით ადრე დედა აცნობებს მოსარჩელეს ტელეფონის ან სმს-ის საშუალებით. მიჩვევის პერიოდი გაგრძელდება მანამ ვიდრე არასრულწლოვნის სრული მიჩვევა არ განხორციელდება მამასთან;

ბ) ორი თვის /ანუ მიჩვევის/ შემდგომ მამა-შვილის ურთიერთობა 3 თვის ვადით განისაზღვრა შემდეგნაირად:

ბ.ა) ყოველი კვირის შაბათი დღის 11:00 საათიდან იმავე დღის 15:00 საათამდე, ხოლო ოთხშაბათი დღის 17-18 საათიდან ან სწავლის შემთხვევაში, სასწავლებელში სასწავლო პროცესის დასრულებიდან დღის 20:00 საათამდე ბავშვის წაყვანისა და უკან დედასთან დაბრუნების უფლებით. იმ შემთხვევაში, თუ მამა ვერ შეძლებს განსაზღვრულ დროს შვილთან ურთიერთობას ამის შესახებ ეს უკანასკნელი წინასწარ, არანაკლებ 5-6 საათით ადრე, აცნობებს /ტელეფონით ან სატელეფონო სმს-ის საშუალებით/ დედას;

გ) სამი თვის შემდგომ მამა-შვილის ურთიერთობა განისაზღვრა შემდეგნაირად:

გ.ა) ოთხშაბათი დღის 17-18 საათიდან ან სასწავლებელში სასწავლო პროცესის დასრულებიდან დღის 20 საათამდე ბავშვის წაყვანისა და უკან დედასთან დაბრუნების უფლებით. შაბათი დღის 11:00 საათიდან იმავე დღის 18-19 საათამდე ბავშვის წაყვანისა და უკან დედასთან დაბრუნების უფლებით;

დ) არასრულწლოვნის მიერ 6 წლის ასაკის მიღწევიდან მამა-შვილის ურთიერთობა განისაზღვრა შემდეგნაირად:

დ.ა) ოთხშაბათი დღის 17-18 საათიდან ან სასწავლებელში

სასწავლო პროცესის დასრულებიდან იმავე დღის 19-20 საათამდე ბავშვის წაყვანისა და უკან დედასთან დაბრუნების უფლებით, ხოლო პარასკევ დღის 17-18 საათიდან ან სასწავლო პროცესის დასრულებიდან შაბათი დღის 19-20 საათამდე ბავშვის წაყვანისა და უკან დედასთან დაბრუნების უფლებით. იმ შემთხვევაში, თუ მამა ვერ მოახერხებს შვილთან დადგენილი წესით განსაზღვრულ პერიოდში ურთიერთობას, ამის შესახებ იგი შეატყობინებს მოპასუხეს ტელეფონის, სატელეფონო სმს-ის საშუალებით არანაკლებ 5-6 საათით ადრე;

ე) მამა-შვილის ურთიერთობის პერიოდში მოსარჩელეს მუდმივმოქმედ რეჟიმში ჩართული უნდა ჰქონდეს სატელეფონო საშუალება ან სხვა რამ მხარეთა შეთანხმებით მოსარჩელისათვის შვილზე ინფორმაციის მიღების მიზნით;

ვ) ერთ-ერთი მშობლის მიერ შვილის ქალაქგარეთ გაყვანის შემთხვევაში აღნიშნული ინფორმაცია ეცნობება მეორე მშობელს სატელეფონო საშუალებით ან სატელეფონო სმს-ით;

ზ) მამა-შვილის ურთიერთობა უნდა განხორციელდეს არალკოჰოლურ – ფხიზელ მდგომარეობაში ყოფნისას;

თ) მამა-შვილს შორის ურთიერთობის წესის განხორციელება შედგება ბავშვის სურვილის გათვალისწინებით.

4. აპელანტების მოთხოვნა:

4.1. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ (პირველი აპელანტი), მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა;

4.2. ამავე გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელემაც (მეორე აპელანტი), მისი გაუქმებისა და სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით პირველი აპელანტის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მეორე აპელანტის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს შვილთან ურთიერთობის წესი განესაზღვრა შემდგენაირად: მას მიეცა 2012 წლის 22 ნოემბერს დაბადებული შვილის წაყვანის უფლება ყოველ შაბათ დღეს 12:00 საათიდან 20:00 საათამდე პერიოდში.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წე-

სით გაასაჩივრა პირველმა აპელანტმა, მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ მოისმინა მხარეთა განმარტებები, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს არასრულწლოვნის მშობელთან ურთიერთობის საკითხი წარმოადგენს. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს და მიიჩნევს, რომ სასამართლოს სრულყოფილად არ გამოუკვლევიან დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, შესაბამისად, მიღებული გადაწყვეტილება არ შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

1.2. საკასაციო შედაგებათა დასაბუთებულობის შემონმებამდე, პალატა ყურადღებას გაამახვილებს განსახილველი კატეგორიის საქმეებზე გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოსათვის სახელმძღვანელო რამდენიმე პრინციპზე:

1.2.1. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც, რაც ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის ბოლო წინდადების თანახმად, ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. მართალია, საერთაშორისოდ აღიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს, თუმცა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტი თავადვე იძლევა ჩარევის ლეგიტიმური საფუძვლის დეფინიციას და განსაზღვრავს, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამოწვეულია დემოკრატიულ სა-

ზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით, ამასთან, ჩარევის სტანდარტად, გამოყენებულ უნდა იქნას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ცალსახადაა ასახული „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“.

1.2.2. მოხმობილი კონვენცია ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს აწესებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლით დადგენილია მშობლების თანასწორუფლებიანობის პრინციპი შვილების მიმართ. მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით (სკ-ის 1198.1 მუხლი). მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიაღგეს ბავშვის ინტერესებს (სკ-ის 1199-ე მუხლი). მითითებული საკანონმდებლო დანაწესების ანალიზი იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მშობელთა უპირველესი მოვალეობა ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება, ოჯახური გარემოს შექმნაა და ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადანყვეტილებისას უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ენიჭება, შესაბამისად, ჩარევის პროპორციულობის დასაშვები ზღვარი იმისი უალტერნატივოდ დადგენაა, რომ ამგვარი ჩარევა წარმოადგენს ერთადერთ სწორ და მისაღებ გადანყვეტილებას არასრულწლოვნის/მცირეწლოვნის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულუფლებიანი და ღირსეული წევრის, განვითარებაში. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნებისმიერი საკითხის გადანყვეტისას, როდესაც იგი არასრულწლოვნის უფლებებს შეეხება, მიუხედავად კანონით რეგლამენტირებული ორივე მშობლის თანასწორობის პრინციპისა, ამოსავალი დებულება ყოველ-

თვის ბავშვის საუკეთესო ინტერესია, რომლის უზრუნველყოფის მიზნით დაიშვება, როგორც ერთ-ერთი, ისე – ორივე მშობლის უფლების შეზღუდვა, თუკი მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი დასახული მიზნის მიღწევა.

1.2.3. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის საპროცესო რეალიზაციის ნესზეც. სამოქალაქო სამართალწარმოებით განსახილველ სხვა კატეგორიის საქმეთაგან განსხვავებით, საოჯახო სამართლებრივი დავების განხილვა ინკვიზიციური ელემენტებითაა გაჯერებული და საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლით კანონმდებელი შესაძლებლად მიიჩნევს საქმის გარემოების დადგენას სამართლოს ინიციატივითაც. ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. მითითებული საპროცესო ნების გამოყენება სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე მით უფრო გამართლებულია, რამდენადაც სააპელაციო სამართლო, როგორც სამართალწარმოების მეორე ინსტანცია, დავის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლოა და ამავდროულად კოდექსის 380-ე მუხლით მას ახალ მტკიცებულებათა მიღების შესაძლებლობაც გააჩნია. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, როდესაც საკითხი სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს პოზიტიურ ვალდებულებას შეეხება, სასამართლომ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ზედმიწევნით სწორად დაადგინოს არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესები. ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას (ბავშვის უფლებათა კონვენციის 3.1 მუხლი). ბავშვი არ უნდა განშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევების გარდა, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, განსაზღვრავენ სათანადო კანონისა და პროცედურების შესაბამისად, რომ ასეთი განშორება საჭიროა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელთან განშორებული ბავშვის უფლებას, რეგულარულ საფუძველზე პირადი ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტები იქონიოს ორივე მშობელ-

თან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება (ამავე კონვენციის 9.1. და 9.3. მუხლები).

1.3. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ:

1.3.1. ერთად ცხოვრების პერიოდში, 2012 წლის 22 ნოემბერს მხარეებს შეეძინათ შვილი – ნ. ფ-ე;

1.3.2. მეუღლეებს შეწყვეტილი აქვთ თანაცხოვრება 2013 წლის აპრილის თვიდან და ცხოვრობენ ცალკე ოჯახებად. არასრულწლოვანი ცხოვრობს დედასთან ერთად;

1.3.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ნ. ე-ის სარჩელი მოპასუხე რ. ფ-ის მიმართ და ამ უკანასკნელს არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის სახით ყოველთვიურად 100 ლარის გადახდა სარჩელის აღძვრიდან (2013 წლის 20 ნოემბრიდან) მის სრულწლოვანების მიღწევამდე ან სხვა გარემოებების შეცვლამდე. ამავე გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა რ. ფ-ის სარჩელი ნ. ე-ის მიმართ და შეწყდა 2012 წლის 13 იანვარს რეგისტრირებული ქორწინება;

1.3.4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა რ. ფ-ის სარჩელი ნ. ე-ის მიმართ: რ. ფ-ს არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტი 100 ლარი შეუმცირდა 10 ლარით და მისი ოდენობა განისაზღვრა ყოველთვიურად 90 ლარით, სარჩელის აღძვრის მომენტიდან (2014 წლის 23 სექტემბრიდან) შვილის სრულწლოვანებამდე;

1.3.5. მოსარჩელე ცხოვრობს დედასთან, ე. ფ-სთან ერთად, რომელსაც დანიშნული აქვს ასაკობრივი პენსია. ოჯახის საკუთრებაში არსებული ბინა მონყობილია საჭირო ავეჯითა და ელექტროტექნიკით. საცხოვრებლის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ისინი რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში;

1.3.6. მოპასუხე არის ფარმაცევტი, მუშაობს აფთიაქ „ფ-ში“ დილის 09:00 საათიდან 16:00 საათამდე. მოპასუხე ისვენებს ყოველ მესამე დღეს;

1.3.7. მოპასუხე შვილსა და დედასთან – ნ. ნ-თან ერთად ცხოვრობს ნაქირავებ ბინაში. სახლში სუფევს წესრიგი და სისუფთავე, დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, იკვეთე-

ბა ბავშვის კუთხე აღჭურვილი ინდივიდუალური განვითარების ნივთებითა და ასაკობრივი სათამაშოებით. ოჯახში არის შექმნილი კეთილსაიმედო გარემო ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. არასრულწლოვანსა და დედას შორის ჩამოყალიბებულია პოზიტიური მიჯაჭვულობა. ბავშვი დადის საბავშვო ბაღ „ც-ში“.

1.4. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.5. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის პოზიციას სასამართლოს მხრიდან არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გამორკვევის მიზნით ყველა საპროცესო საშუალების გამოყენებლობის თაობაზე და ყურადღებას გაამახვილებს მოსარჩელის პოზიციაზე, რომლითაც იგი ეჭვქვეშ აყენებს ბავშვის ბიოლოგიურ წარმომავლობას. საკასაციო პასუხში რ. ფ-ე საკუთარ ამ პოზიციას ასაბუთებს იმით, რომ იგი, როგორც დემოკრატიულ ქვეყანაში მცხოვრები თავისუფალი მოქალაქე, იცავს საკუთარ უფლებებს და გამოთქვამს ეჭვს ბავშვთან ბიოლოგიური კავშირის თაობაზე. ამ ეჭვს კი, უკავშირებს იმას, რომ ბავშვის დედა აპროტესტებს მამა-შვილის ურთიერთობას, ასევე, მიუთითებს ლალატის შედეგად ოჯახის დანგრევის ფაქტზე, გარდა ამისა, მან საკასაციო სასამართლოს ახსნა-განმარტების ეტაპზე დაუდასტურა ფაქტი იმის თაობაზე, რომ ეჭვქვეშ აყენებდა ბავშვის ბიოლოგიურ წარმომავლობას და გენეტიკურ კვლევას (ექსპერტიზას) არ მიმართავს მატერიალური სახსრების არარსებობის გამო (იხ. საკასაციო სასამართლოს სხდომის ოქმები: 10.01.2017წ.; 23.02.2017წ.). მართალია, 2017 წლის 1 მარტის სხდომაზე კასატორის მოწინააღმდეგე მხარემ უარყო მის მიერ გამოთქმული ზემოხსენებული ეჭვი და ეს გარემოება დაასაბუთა იმით, რომ ვინაიდან მოსარჩელის ადვოკატი სადავოდ ხდიდა მამის ფსიქიკურ ჯანმრთელობას, ბავშვის წარმომავლობაში ეჭვის შეტანა მამის მხრიდან საპასუხო სტრატეგიული სვლა იყო, რომლის მიზანსაც მოპასუხისათვის ფსი-

ქოლოგიური დარტყმის მიყენება წარმოადგენდა (იხ: სხდომის ოქმი), თუმცა, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მხარის ეს განმარტებები, მათ შორის ოჯახის დანგრევის ფაქტობრივ საფუძველსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებაში ასახულ გარემოებებზე აპელირება საჭიროებს სათანადო ფსიქოლოგიურ კვლევას, რათა მამის მხრიდან ბავშვისა და დედის მიმართ ამგვარი დამოკიდებულებით ზიანი არ მიადგენს ბავშვის ინტერესებს. საკასაციო პალატა ასევე სრულად იზიარებს კასატორის პოზიციას სააპელაციო სასამართლოს მიერ იმ საკითხის შეუსწავლელობის თაობაზე, არის თუ არა მოსარჩელე ფსოქოტროპული ნივთიერებების მომხმარებელი და ეს გარემოება ხომ არ ახდენს გავლენას მშობლისა და შვილის პოზიტიურ ურთიერთობაზე. ამ მხრივ მოპასუხე პრეტენზიას აცხადებს მამის ფსიქიკურ არამდგრადობაზე. ის გარემოება, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მოსარჩელე გარკვეული პერიოდის მანძილზე მართლაც მოიხმარდა ფსიქოტროპულ ნივთიერებებს, მან თავად დაუდასტურა საკასაციო სასამართლოს 2017 წლის 10 იანვრის სხდომაზე. კასატორის მონიშნულმდეგე მხარემ ამ ნივთიერებათა მოხმარების საფუძვლად დაასახელა, როგორც ფიზიკური, ისე – სულიერი მდგომარეობა, კერძოდ, განმარტა, რომ აქვს ე.წ „გალიზიანებული ნაწლავის სინდრომი“, ასევე, ოჯახის დანგრევის გამო იყო განერვიულებული, რამაც განაპირობა 3-4 თვის განმავლობაში პრეპარატის მოხმარება (იხ: სხდომის ოქმი). რაც შეეხება ქვემდგომი სასამართლოს პოზიციას, მან პირველი აპელანტის მტკიცება მოსარჩელის მიერ ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარებისა და არასრულწლოვანზე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენის თაობაზე იმ დასაბუთებით არ გაიზიარა, რომ მოპასუხე, როგორც ფაქტის მიმთითებელი მხარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებული იყო, ეს გარემოება სათანადო მტკიცებულებების წარდგენით დაედასტურებინა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ პირობებშიც კი, თუ ამ ფაქტის მტკიცების ვალდებულებას დავაკისრებდით მოპასუხეს, მაინც არ იარსებებდა სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნების გაზიარების წინაპირობა, რადგანაც მოპასუხეს დაუწესდებოდა მტკიცების იმგვარად მაღალი სტანდარტი, რომლის დაძლევისაც იგი ვერ შეძლებდა. ამ თვალსაზრისით საკასაციო სასამართლო მოიშველიებს „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტსა და 27-ე მუხლს და განმარტავს, რომ

ინფორმაცია პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ წარმოადგენს კონფიდენციალურს და მისი მოპოვება მოპასუხისათვის არ არის ხელმისაწვდომი. ამ მსჯელობის პარალელურად, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საოჯახო დავათა განხილვისას კანონმდებლის მიერ დაშვებულ ინკვიზიციას (იხ. ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.2.3. პუნქტი) და მიიჩნევს, რომ სასამართლოს მხრიდან ამ წესის უგულებელყოფა არ გამომდინარეობს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დადგენის მიზნებიდან. მხედველობაშია მისაღები გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხარისხის შეფასებისათვის ევროსასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი, რომელიც მოითხოვს იმის დადგენას, ჰქონდა თუ არა შიდა სასამართლოების გადაწყვეტილებას საკმარისი მტკიცებულებითი საფუძველი (რაც მოიცავს, მოწმეთა ჩვენებებს, კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოთა დასკვნებს, ფსიქოლოგისა და სხვა ექსპერტის შეფასებებს და სამედიცინო ცნობებს); აგრეთვე, დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის ბავშვებს, მიეცათ თუ არა საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა (Havelka and Others v. the Czech Republic, საჩ. ნომ. 23499/06, § 62, 2007 წლის 21 ივნისი; Haase v. Germany, საჩ. ნომ. 11057/02, § 97, ECHR 2004-III (extracts)).

1.6. გარდა ზემოხსენებულისა, პალატა ასევე ეთანხმება კასატორის მოსაზრებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული შესაძლო პრობლემების თაობაზე. მხარეთა შორის სადავო არაა მოსარჩელის მიმართ მოპასუხის ოჯახის წევრთა დაძაბული დამოკიდებულება, სასამართლოს კი, სათანადოდ არ დაუსაბუთებია გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოცემული სახით ძალაში შესვლის შემთხვევაში, როგორ და რა ვითარებაში უნდა განხორციელდეს მამაშვილის შეხვედრა იმგვარად, რომ ამან არ მიიღოს კონფლიქტური სახე და უარყოფითად არ იმოქმედოს არასრულწლოვანზე. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათი (სსსკ-ის 266-ე მუხლი) ვლინდება არა მხოლოდ სასამართლო პროცედურების დასრულებაში, არამედ, მიღებული გადაწყვეტილება დარღვეული/სადავო უფლების ეფექტიანი დაცვის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, რათა გადაწყვეტილებით საბოლოოდ აღმოიფხვრას სამართლებრივი ურთიერთობის ხარვეზი და მიღებული სიკეთე ეფექტური და ხელმისაწვდომი იყოს მისი სუბიექტებისათვის. სხვაგვარად სამართალწარმოების მიზანი ვერ იქნება განხორციელებული, ხოლო დარღვეული უფლება – აღდგენილი.

1.7. საკასაციო სასამართლო, ბუნებრივია, წინამდებარე გან-

ჩინებით არ ცდილობს რაიმე ფორმით შეზღუდოს სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლით აღიარებული რომელიმე მშობლის ინტერესი, უფრო მეტიც, პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ოჯახური ცხოვრების პატივისცემის მრავლისმომცველ უფლებაზე, თუმცა მიიჩნევს, რომ ყოველგვარი რისკი, რომელიც არასრულწლოვნის ნორმალურ განვითარებას შეიძლება შეეხოს, უნდა იქნას გამორიცხული. ამ მხრივ სასამართლოს მხედველობაში აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა: ერთ-ერთ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ (*Johansen v. Norway*) აღნიშნა, რომ ბავშვთან გაერთიანების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას, მშობლის ინტერესსა და ბავშვის ინტერესს შორის უნდა იქნეს დაცული ბალანსი. აღნიშნული ბალანსის ძიებისას სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ბავშვის ინტერესებს, რომლებსაც შეიძლება, ჰქონდეს პრიორიტეტული მნიშვნელობა მშობლის ინტერესებთან მიმართებით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გაერთიანების საკითხის გადაწყვეტისას ანგარიშგასწავლვ ფაქტორებს წარმოადგენს ოჯახური ცხოვრება, მშობლებთან თანაბარი ურთიერთობის შესაძლებლობა და სხვა ისეთი ფაქტორები, რომლებიც არასრულწლოვნის სრულფასოვან აღზრდა-განვითარებას შეუწყობს ხელს. ასეთ სიტუაციაში შეძლებისდაგვარად უნდა იქნას გათვალისწინებული სუბიექტური ფაქტორებიც – ბავშვის მიერ არსებული სიტუაციის აღქმა, რაც შესაბამისი დაკვირვება-გამოკვლევის გზითაა შესაძლებელი. ევროსასამართლოს განმარტებით, მშობლებსა და ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვებს შორის კავშირი, კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პარაგრაფის ფარგლებში წარმოადგენს ოჯახურ ცხოვრებას. მსგავსი ბუნებრივი ოჯახური ურთიერთობები არ წყდება იმ საფუძვლით, რომ მშობლები დაშორდნენ ან განქორწინდნენ, როდესაც ამ მიზეზით ბავშვი ან ერთ მშობელთან ცხოვრობს ან მეორესთან (*Ciliz v. the Netherlands*). ერთ-ერთ საქმეზე სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში ოჯახური ცხოვრება სახეზე იყო იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც მშობლების განქორწინებამდე ერთად, ერთ სახლში ცხოვრობდნენ (*inter alia, Olsson v. Sweden* (no. 1), 24 March 1988, § 81, Series A no. 130). კონვენციის მე-8 მუხლის ძირითადი მიზანია, ინდივიდების დაცვა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების თვითნებური ქმედებებისგან. ოჯახური ცხოვრების „პატივისცემის“ უფლება, აგრეთვე, მოიცავს დამატებით პოზიტიურ ვალდებულებებს, თუმცა, სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს

შორის არსებული ზღვარი ზუსტ განსაზღვრებას არ ექვემდებარება. მათ მიმართ გამოყენებადი პრინციპები იდენტურია: ორივე კონტექსტში ყურადღება უნდა გამახვილდეს სამართლიან ბალანსზე, რაც დაცული უნდა იქნას შეპირისპირებულ ინტერესებს შორის. გარდა ამისა, ორივე კონტექსტში სახელმწიფო სარგებლობს შეფასების ფართო ზღვარით (*Tuquabo-Tekle and Others v. the Netherlands*, 2005 წლის პირველი დეკემბერი). კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, მშობლისა და ბავშვის მიერ მათი ერთად ყოფნით სიამოვნების მიღება ქმნის ოჯახური ცხოვრების ფუნდამენტურ ელემენტს. ამ კონტექსტში, მე-8 მუხლის არსებითი მიზანია პირის დაცვა საჯარო ხელისუფლების მხრიდან დისკრეციული ქმედებისაგან. გარდა ამისა, ოჯახური ცხოვრების ეფექტურ „პატივისცემას“ ახასიათებს პოზიტიური ხასიათის ვალდებულებები. მე-8 მუხლი მოიცავს მშობელთა უფლებას, მიიღონ ზომები, რაც საშუალებას მისცემს მათ, ხელახლა გაერთიანდნენ თავიანთ შვილებთან, და ეროვნული ხელისუფლების ვალდებულებას, განახორციელონ შესაბამისი ქმედებები. ეს ასევე ეხება იმ შემთხვევებს, სადაც ბავშვებთან კონტაქტთან და საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული დავები წარმოიშობა მშობლებსა და/ან ბავშვების ოჯახის სხვა წევრებს შორის. თუმცა, ეროვნული ხელისუფლების ვალდებულება, განახორციელოს ღონისძიებები ოჯახის გაერთიანების ხელშეწყობის მიზნით, არ არის აბსოლუტური ხასიათის. მშობლის იმ ბავშვთან ხელახალი გაერთიანება, რომელიც გარკვეული პერიოდი ცხოვრობს სხვა პირებთან ერთად, შეიძლება ვერ მოხდეს დაუყოვნებლივ და ამ მიზნის მისაღწევად შესაძლოა საჭირო გახდეს მოსამზადებელი ღონისძიებების გატარება. ამგვარი მომზადების ხასიათი და მასშტაბი დამოკიდებულია თითოეული შემთხვევის გარემოებებზე, თუმცა, ყველა დაინტერესებული მხარის გაგება და თანამშრომლობა ყოველთვის იქნება ამ პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტი. ეროვნულმა ხელისუფლებამ მაქსიმალური ძალისხმევა უნდა მიმართოს ამგვარი თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, ამ სფეროში ძალდატანების გამოყენების ნებისმიერი ვალდებულება უნდა შეიზღუდოს, რადგან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესები, ასევე, უფლებები და თავისუფლება და, განსაკუთრებით, ბავშვის საუკეთესო ინტერესები და მისი უფლებები. თუკი მშობელთან კონტაქტი საფრთხეს უქმნის ამ ინტერესებს ან აბრკოლებს ამ უფლებების განხორციელებას, ეროვნული ხელისუფლება პასუხისმგებელია შექმნას სამართლიანი ბალანსი. ბავშვის

საუკეთესო ინტერესები უნდა წარმოადგენდეს უმთავრეს განხილვის საგანს და, მისი ბუნებიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, შეიძლება აჭარბებდეს მშობლების ინტერესებს (იხ. „ნ. ნ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“). ამ უკანასკნელ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არასრულწლოვანთა მიმართ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად მიიჩნია მათი მამისათვის გადაცემა იმ პირობებში, როდესაც დედის გარდაცვალების შემდეგ არასრულწლოვნები ცხოვრობდნენ დეიდასთან და მათ, მტრული დამოკიდებულების გამო, არ ჰქონდათ სურვილი მამასთან საცხოვრებლად გადასვლის, რომელმაც მოიხადა სასჯელი (პირობითი მსჯავრი, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა), ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისაგან თავის დასაღწევად ჩართული იყო ე.წ. „მეტადონის პროგრამაში“, ასევე აღარ აღენიშნებოდა პიროვნული აშლილობის ნიშნები.

1.8. საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს სამოქალაქო კოდექსის 1200-ე მუხლის დისპოზიციაზე, რომლის მე-2 ნაწილის თანახმადაც, ბავშვის აღზრდის საკითხზე მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში სადავო საკითხს წყვეტს სასამართლო მშობლების მონაწილეობით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს როლის საკანონმდებლო აღიარების სწორი აღქმა ამ ორგანოს მხრიდან მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სწორედ მას ეკისრება ვალდებულება, აქტიური მონაწილეობით ხელი შეუწყოს სასამართლოს იმის დადგენაში, თუ რა წარმოადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ამ პროცესში წარმომადგენლობა პასიური ქმედებებით არ შემოიფარგლება და არ შეიძლება დამოკიდებული იყოს ჩასატარებელი სამუშაოს ფორმალურ შესრულებაზე. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ უნდა გააცნობიეროს „ბავშვის უფლებათა კონვენციით“ დაკისრებული მოვალეობანი. მან ეფექტური გზით უნდა განიოს სათანადო მუშაობა დასახული მიზნის მიღწევისათვის. ამგვარად კი, ვერ იქნება განხილული წინამდებარე საქმეზე სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებული ქმედებები, კერძოდ: საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვის ეტაპზე წარმოდგენილია ორი დასკვნა, რომელთაგან ერთი შეეხება დედის, ხოლო მეორე – მამის საცხოვრებელი

გარემოს შემონახვას, დასკვნაში ასახულია მხოლოდ ფაქტობრივად არსებული სიტუაცია და გადმოცემულია უზოგადესი ხასიათის რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვნის ჰარმონიული განვითარებისათვის სასურველია მისი ორივე მშობელთან ურთიერთობა. საქმის განხილვის ხანგრძლივობის მიუხედავად, მხოლოდ საკასაციო სასამართლოს დროებითი განკარგულების საფუძველზე იქნა წარმოდგენილი დამატებითი დასკვნა, რომელიც მამა-შვილის შეხვედრის დეტალებს აღწერს, საკასაციო სასამართლოს მომდევნო სხდომაზე სოციალური სამსახურის წარმომადგენელმა ითხოვა დროებითი განკარგულებით დაკისრებული მოვალეობისაგან გათავისუფლება, რაც არ დაკმაყოფილდა, ხოლო მესამე სხდომაზე წარმომადგენელი საერთოდ არ გამოცხადდა, წერილობით აცნობა სასამართლოს ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვლების თაობაზე, თუმცა, ამის დამადასტურებელი მტკიცებულება წარმოდგენილი არ ყოფილა (იხ. 01.03.2017წ. სხდომის ოქმი). საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სოციალურმა სამსახურმა, როგორც არასრულწლოვნის კანონიერმა წარმომადგენელმა არ გაატარა ეფექტური ღონისძიებები სადავო საკითხის სწორად განწყვეტის ხელშესაწყობად, საქმეში არ მოიპოვება ფსიქოლოგის დასკვნა, რომელიც დინამიკაში დააკვირდებოდა მამა-შვილის ურთიერთობას და სრულყოფილ სურათს მისცემდა სასამართლოს იმისა, თუ რამდენად პოზიტიურად აისახება ბავშვის განვითარებაზე მამასთან ურთიერთობა, თავის მხრივ, ეს საკითხი არ გამხდარა ქვემდგომი სასამართლოების კვლევის საგანიც, რაც გადანწყვეტილების არასაკმარის დასაბუთებაზე მეტყველებს. საკასაციო პალატა აქვე განმარტავს, რომ მამა-შვილის ურთიერთობის ფსიქოლოგიურ მახასიათებლად ვერ გამოდგება და კომპეტენტური ფსიქოლოგის დასკვნას ვერ ჩაანაცვლებს ვერც მათი ერთ-ერთი შეხვედრის ამსახველი ფორმალური ხასიათის დასკვნა და ვერც ამ შეხვედრისას ერთ-ერთი მხარის წარმომადგენლის მიერ განხორციელებული ფარული დაკვირვება ან მეორე მხარის მიერ განხორციელებული ფოტოგადაღება. საქმეზე „ნ. ნ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სოციალური მომსახურების სააგენტოს ამგვარი წარმომადგენლობა შეაფასა უარყოფითად, ევროსასამართლოს განმარტებით, სამსახური ფორმალურად ჩაერთო სამართალწარმოებაში მხოლოდ სააპელაციო ეტაპიდან, გამოტოვა რა – გაურკვეველი მიზეზების გამო – პირველ ინსტანციაში საქმის მთლიანი განხილვა. სააპელაციო სამართალწარმოებაში მისი ჩართვის შემდეგ, სოცი-

ალური მომსახურების სააგენტომ და მისმა შესაბამისმა რაიონულმა განყოფილებამ მიიღო „დაინტერესებული მხარის“ სტატუსი, თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს რაიმე დებულებას „დაინტერესებული მხარის“ სტატუსთან და/ან მის შემდგომ საპროცესო უფლებებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, გაურკვეველი რჩება, თუ როგორ შეძლო სოციალური მომსახურების სააგენტომ ეფექტურად წარმოედგინა ბავშვების ინტერესები, როცა მას არ გააჩნდა ფორმალური პროცედურული როლი ამ საქმეში. ბავშვების ინტერესების წარდგენის მიზნით მოხდა სოციალური მომსახურების სააგენტოსა და მისი შესაბამისი რაიონული განყოფილების დანიშვნა, სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1200-ის §2-ის შესაბამისად. მაგრამ ისევ გაურკვეველი რჩება, თუ ზუსტად რას გულისხმობს წარმომადგენლობის ეს ტიპი. პრაქტიკულად, სამართალწარმოების ორ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში, სოციალური მომსახურების სააგენტოს სხვადასხვა წარმომადგენელი ბიჭებს მხოლოდ რამდენიმეჯერ შეხვდა ერთადერთი მიზნით, მოემზადებინათ რამდენიმე ანგარიში ბიჭების საცხოვრებელ პირობებთან და მათ ემოციურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ბიჭების მონიტორინგისა და მათთან სანდო ურთიერთობის დამყარების მიზნით ადგილი არ ჰქონია რეგულარულ და ხშირ კონტაქტს ბიჭებთან. ამ კონტექსტში გათვალისწინებულ უნდა იქნას ევროპული კონვენცია ბავშვთა უფლებების განხორციელების შესახებ, რომელიც არ არის რატიფიცირებული საქართველოს მიერ, მაგრამ წარმოადგენს შესაბამისი პრინციპების ინტერპრეტაციის სასარგებლო ინსტრუმენტს. ზემოთხსენებული კონვენციის მე-10 მუხლი განსაზღვრავს, რომ წარმომადგენლის მოვალეობაა, იმოქმედოს სათანადო წესით ბავშვის სახელით, რაც გულისხმობს ბავშვისთვის ინფორმაციისა და განმარტებების მიწოდებას, ბავშვის შეხედულებების დადგენას და სასამართლო ხელისუფლების წინაშე მათ წარდგენას.

1.9. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნქტის თანახმად, გა-

დანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულიად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას შეამოწმოს გასაჩივრებული გადანყვეტილების კანონიერება, ვიდრე საქმეზე ობიექტურად არ დადგინდება დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

2. საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული დროებითი განკარგულება:

2.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 იანვრის დროებითი განკარგულებით მოსარჩელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და რ. ფ-ს მიეცა შესაძლებლობა, მოცემული საქმის არსებითად გადანყვეტამდე იქონიოს შვილთან – 2012 წლის 24 ნოემბერს დაბადებულ ნ. ფ-სთან ურთიერთობა შემდეგი წესით:

ა) ბავშვისა და მამის შეხვედრა განხორციელდეს დედის საცხოვრებელ ადგილას – ქ. თბილისში, ი-ა №39ა-ში;

ბ) შეხვედრის დრო განისაზღვროს ყოველი კვირის შაბათ დღეს 12:00 საათიდან 15:00 საათამდე;

გ) შეხვედრა განხორციელდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით;

დ) სააგენტოს წარმომადგენელმა უზრუნველყოს საკონტაქტო მონაცემების გადაცემა მხარეებისათვის;

ე) ბავშვის მამისათვის გადაცემას განხორციელებს დედა – ნ. ე-ე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლის მეშვეობით, ხოლო მის დაბრუნებას დედის საცხოვრებელ ადგილას – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის წარმომადგენელი.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა დროებითი განკარგულების მოქმედების პერიოდში წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა.

2.2. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს დროებითი ღონისძიების გაუქმების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 355-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის კონტექსტში, დავის განხილვის პროცესში არ უნდა შეიზღუდოს მამის უფლება შვილის მიმართ, ამასთან, სახელმწიფოს უფლებამოსილი

წარმომადგენლის მონაწილეობისა და დაკვირვების შედეგად წარმომადგენელი შესაბამისი დასკვნების საფუძველზე, ქვემდგომი სასამართლო შეძლებს სწორად განსაზღვროს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი.

3. სასამართლო ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეუღია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ნ. ე-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 იანვრის დროებითი განკარგულება დარჩეს უცვლელად საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.
4. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

არასრულწლოვანი შვილის დაბრუნების მოთხოვნის უფლება

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-604-563-2017

13 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: მშობლის უფლების შეზღუდვა, მეურვედ და
მზრუნველად დანიშვნა (სარჩელით), ბავშვის დაბრუნება (შე-
გებებული სარჩელით)

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. ლ-ა (შემდეგში – მოსარჩელე, აპელანტი, აღმზრდელი ან კასატორი) და ე. კ-ა (შემდეგში – მოსარჩელის მეუღლე) 2009 წლიდან ცხოვრობენ ერთად. ისინი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 2014 წლის 15 აპრილიდან, თუმცა, არ ეყოლათ შვილი, რის გამოც მიიღეს გადაწყვეტილება შვილის აყვანის თაობაზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში: სსკ, 1239.1 მუხლი).

2. ა. ფ-ე (შემდეგში – მოპასუხე, შეგებებული სარჩელით მოსარჩელე, ბავშვის ბიოლოგიური დედა) მშობლებთან ერთად ცხოვრობდა ქ. ხონში. 2013 წელს, იგი 17 წლის ასაკში დაფეხმძიმდა ქორწინების გარეშე. ეს ფაქტი მიუღებელი აღმოჩნდა მისი მშობლებისათვის, რის გამოც 2014 წლის თებერვლიდან მოპასუხე დროებით საცხოვრებლად გადავიდა ქ. ზუგდიდში, მოსარჩელისა და მისი მეუღლის საცხოვრებელ სახლში.

2.1. 2014 წლის 15 მაისს მოპასუხეს შეეძინა შვილი – გ. ფ-ე (შემდეგში – ბავშვი, მცირეწლოვანი).

3. ზუგდიდის სოციალური მომსახურების ცენტრს 23.06.2014 წელს ერთობლივი განცხადებით მიმართეს მოსარჩელემ და მოპასუხემ. ამ უკანასკნელმა გამოთქვა სურვილი ბავშვის გაშვილებისა და მიტოვების შესახებ და სასურველ კანდიდატად დაასახელა მოსარჩელე, ხოლო მოსარჩელემ თანხმობა გამოთქვა ბავშვის შვილად აყვანაზე.

3.1. მცირეწლოვანი დაბადებიდანვე აღსაზრდელად დარჩა მოსარჩელის ოჯახში.

4. თანხმობის გაცემიდან რამდენიმე თვეში, 2014 წლის 2 სექტემბერს, ბავშვის ბიოლოგიურმა დედამ განცხადებით მიმართა ხონის რაიონულ განყოფილებას და მოითხოვა შვილის დაბრუნება. მან მიუთითა, რომ ბავშვის დაბადების მომენტი სათვის არ იმყოფებოდა ქორწინებაში, ამის გამო სერიოზული პრობლემები შეექმნა მშობლებთან. ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ ყოფნის დროს შეავსო განცხადება შვილის გაშვილების თაობაზე. გარკვეული დროის გასვლის შემდგომ გააანალიზა რა თავისი მოქმედება, ითხოვდა შვილის დაბრუნებას.

4.1. აღნიშნული განცხადების საფუძველზე ზუგდიდის სოციალური მომსახურების ცენტრის მიერ შეჩერდა მოსარჩელისთვის ბავშვის მიშვილების პროცედურები.

5. ბავშვის ბიოლოგიურმა დედამ (მოპასუხემ) 2014 წლის 30 სექტემბერს, 20 ოქტომბერს და 18 ნოემბერს განცხადებებით მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს ხონის რაიონულ განყოფილებას დედათა და ბავშვთა თავშესაფარში ჩარიცხვის მოთხოვნით. მისი განმარტებით, მან ვერ შეძლო ახლოლებში თავშესაფრის მოძებნა და ითხოვდა დედათა და ბავშვთა თავშესაფარში ჩარიცხვას, ან შვილის გადაუდებელი მინდობით აღზრდაში გადაყვანას, რათა მისცემოდა შვილის ნახვისა და მასთან ურთიერთობის უფლება.

5.1. ზუგდიდის სოციალური მომსახურების ცენტრის 28.01.2015 წლის №04-09-01/445 წერილის თანახმად, მოპასუხის მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდა, რადგან ბავშვის გამოყვანა მოსარჩელის (აღმზრდელის) ოჯახიდან ვერ მოხერხდა, ხოლო რეგულარულ მინდობით აღზრდაში დარეგისტრირებულმა მიმღებმა მშობელმა უარი განაცხადა ბავშვის მასთან განთავსებაზე.

5.2. ბიოლოგიურმა დედამ (მოპასუხემ) 2016 წლის 26 იანვარს კვლავ მიმართა განცხადებით სოციალური მომსახურების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ცენტრს და მოსარჩელის ოჯახისაგან ბავშვის გამოყვანის პროცესში დახმარება მოითხოვა.

5.2.1. ზემოხსენებული სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურმა მუშაკმა შსს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად განახორციელა ვიზიტი მოსარჩელის საცხოვრებელ სახლში, თუმცა, მისი ოჯახის წევრების წინააღმდეგობის გამო ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა ვერ მოხერხდა. სოციალურმა მუშაკმა მიიჩნია, რომ ბავშვის იძულებით გამოყ-

ვანა ბავშვის ფსიქიკას ზიანს მიაყენებდა, რის გამოც მცირეწლოვანი აღმზრდელის ოჯახში დარჩა.

6. სარჩელის საფუძვლები

6.1. აღმზრდელმა 2016 წლის 2 ივლისს სარჩელი აღძრა სასამართლოში მცირეწლოვანის ბიოლოგიური დედის (მოპასუხის) წინააღმდეგ და მშობლის უფლების შეზღუდვა და ბავშვზე მეურვედ (7 წლის შემდგომ – მზრუნველად) დანიშვნა მოითხოვა. მოსარჩელემ მიუთითა წინამდებარე განჩინების 1-3 პუნქტებში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებზე და განმარტა, რომ მოპასუხე ფეხმძიმობის დროს, თვეების მანძილზე ცხოვრობდა მასთან. ის და მისი მეუღლე ზრუნავდნენ მასზე, აკონტროლებდნენ მის ჯანმრთელობას და კვებას. ბავშვის დაბადების შემდეგ მოსარჩელემ და მოპასუხემ ერთობლივად მიმართეს შესაბამის ორგანოს და გამოხატეს თანხმობა ბავშვის მოსარჩელისთვის მიშვილების თაობაზე. მოგვიანებით ბიოლოგიურმა დედამ შეიცვალა პოზიცია და ბავშვის დაბრუნება მოითხოვა, რაც მოსარჩელის მოსაზრებით, ბავშვისთვის საზიანო იქნება, რადგან მცირეწლოვანს ახლო ემოციური კავშირი გააჩნია მასთან და მის მეუღლესთან;

6.2. აღნიშნულის გამო, მოსარჩელემ მოითხოვა ბიოლოგიური დედისათვის (მოპასუხისთვის) მშობლის უფლების შეზღუდვა, ხოლო აღმზრდელის დანიშვნა ბავშვის მეურვედ (იხ. სასარჩელო განცხადება):

7. მოპასუხის შესაგებელი სარჩელზე და ამ უკანასკნელის მიერ წარდგენილი შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა

7.1. მოპასუხემ (ბიოლოგიურმა დედამ) სარჩელი არ ცნო, მიუთითა წინამდებარე განჩინების 2-5 პუნქტებზე და განმარტა, რომ არ არსებობდა მისთვის მშობლის უფლების შეზღუდვის არც ერთი სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლო იყო (იხ. შესაგებელი).

7.2. მცირეწლოვანის ბიოლოგიურმა დედამ 2016 წლის 14 ივლისს შეგებებული სარჩელი აღძრა აღმზრდელის წინააღმდეგ და წინამდებარე განჩინების 2-5 პუნქტებში ასახულ გარემოებებზე მითითებით მცირეწლოვანის ბიოლოგიურ დედასთან დაბრუნება მოითხოვა.

7.3. შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ აგრეთვე იშუამდგომლა, რომ საქმეში მესამე პირის სტატუსით ჩართულიყო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი (იხ. შეგებებული სარჩელი).

7.4. სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრმა, რომე-

ლიც ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 18 ივლისის განჩინებით საქმეში მესამე პირის სტატუსით ჩაერთო, მხარი დაუჭირა ბიოლოგიური დედის შეგებებულ სარჩელს და არ დაეთანხმა თავდაპირველ სასარჩელო მოთხოვნას.

8. შეგებებული სარჩელით მოპასუხის შესაგებელი

8.1. შეგებებული სარჩელი არ ცნო აღმზრდელმა და წერილობითი შესაგებლით განმარტა, რომ ბიოლოგიური დედის მოთხოვნა იყო უსაფუძვლო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო (იხ. შეგებებული სარჩელით მოპასუხის შესაგებელი).

9. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები:

9.1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, თავდაპირველი სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა; მოპასუხის (ბიოლოგიური დედის) შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, დედას დაუბრუნდა 2014 წლის 15 მაისს დაბადებული გ. ფ-ე [პირადი № 5..].

9.2. სასამართლომ, საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, გამოიკვლია და დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-5 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები და დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 1197-ე-1198-ე და 1204-ე მუხლები, ბავშვის უფლებების დაცვის კონვენციის მე-9 და მე-19 მუხლები, აგრეთვე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსს) მე-8, 53-ე, 55-ე, 243-ე-244-ე, 249-ე, 257¹-ე, 364-ე და 369-ე მუხლები.

9.3. წინამდებარე განჩინების მე-6 პუნქტში ასახულ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა:

9.3.1. ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას. საქმეში – ბუგანემი საფრანგეთის წინააღმდეგ (Boughanemi v. France), ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ოჯახური ცხოვრების კონცეფციის მნიშვნელობაზე და განმარტა, რომ აღნიშნული კონცეფცია, რომელზედაც დაფუძნებულია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი, გულისხმობს მშობელსა და შვილს შორის კავშირის არსებობას და იგი ოჯახური ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტია. ოჯახურ ურთიერთობებზე სპეციალურ ნორმებია ასახული სსკ-შიც, კერძოდ, 1197-ე მუხლის მიხედვით, ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. ამავე კოდექსის 1198-ე მუხლის თანახმად, მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური,

გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. მშობლებს უფლება აქვთ, განსაზღვრონ, თუ ვისთან და სად უნდა იცხოვროს შვილმა. მშობლებს ენიჭებათ უფლება და ეკისრებათ ვალდებულება, ჰქონდეთ ურთიერთობა თავიანთ შვილებთან, ხოლო იმავე კოდექსის 1199-ე მუხლის თანახმად, მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს. ბავშვის უფლებების დაცვის კონვენციის მე-9 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და ემსახურება ბავშვის ინტერესებს.

9.3.2. მშობლის უფლების შეზღუდვის სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით სასამართლომ განმარტა, რომ საამისოდ უნდა არსებობდეს კონკრეტული ობიექტური გარემოებები, რაც საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დგინდებოდა. სასამართლომ აგრეთვე არ გაიზიარა თავდაპირველი სარჩელის არგუმენტაცია, რომ დედისთვის ბავშვის დაბრუნება მის ფსიქიკაზე უარყოფითად იმოქმედებდა. სასამართლომ მიუთითა საქმეში წარდგენილ ფსიქოლოგის დასკვნებზე და აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც ბავშვს პოზიტიური დამოკიდებულება გააჩნია დედის მიმართ, ამ უკანასკნელს კი სურვილი აქვს დაიბრუნოს და აღზარდოს შვილი, აღმზრდელის მითითება ბავშვის ფსიქიკაზე შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის თაობაზე, დაუსაბუთებელი იყო. სასამართლოს განმარტებით, ბავშვის დედასთან დაბრუნების აუცილებლობის ფაქტობრივ საფუძველს დამატებით იძლეოდა ასევე ის გარემოებები, რომ მოპასუხე იმყოფება არარეგისტრირებულ ქორწინებაში ნ. კ-თან, მათი საცხოვრებელი პირობები დამაკმაყოფილებელია, ბავშვის ბიოლოგიური დედა (მოპასუხე) დასაქმებულია, მის მეუღლესაც ასევე პერიოდულად უწევს საზღვარგარეთ გამგზავრება სამუშაოდ და მზად არის, რომ იზრუნოს მოპასუხის შვილზე.

9.3.3. სასამართლომ ერთობლივად შეაფასა საქმეში არსებული და სასამართლო სხდომაზე მოპოვებული მტკიცებულებები და დადგინილი გარემოებები და დაასკვნა, რომ არსებობდა შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილების საფუძველი. ამკარა იყო ისიც, რომ თავდაპირველი მოსარჩელის მხრი-

დან კანონიერი საფუძვლის არარსებობის გამო, შეგებებულ მოსარჩელეს უფლება ჰქონდა, მოეთხოვა ბავშვის დაბრუნება, რაც მცირეწლოვანის ინტერესებს ემსახურება (იხ. გადაწყვეტილება).

10. თავდაპირველი მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი

10.1. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თავდაპირველმა მოსარჩელემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მისი სარჩელის დაკმაყოფილება (იხ. ამ განჩინების 6.1-6.2 ქვეპუნქტები), ხოლო შეგებებული სარჩელის (იხ. ამ განჩინების 7.2 ქვეპუნქტი) უარყოფა მოითხოვა შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით:

10.1.1. სასამართლომ არასწორად არ მიიჩნია საქმისათვის მნიშვნელობის მქონედ ის ფაქტი, რომ თავად ბიოლოგიურ დედას (მოპასუხეს) სურდა მოსარჩელეზე გაეშვილებინა ბავშვი. შვილად აყვანამდე პოლიციაში დაიკითხა მოპასუხე, რომელსაც მასზე განხორციელებული რაიმე სახის ზეწოლა და იძულება არ დაუფიქსირებია;

10.2.1. სასამართლომ არ შეაფასა სისპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სამეგრელო ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის სოციალური მუშაკის, ნ. ბ-ს 2016 წლის 17 მარტის №742 დასკვნა, რომლის თანახმადაც, ბავშვის დაშორება აღმზრდელ მშობლებთან ბავშვის ფსიქიკას დიდ ზიანს მიაყენებდა, ვინაიდან მათ შორის ჩამოყალიბებულია ემოციური კავშირი და მიჯაჭვულობა. სწორედ ამ გარემოების გამო ვერ მოახერხა სოციალურმა მუშაკმა ბავშვის გამოყვანა აღმზრდელის ოჯახიდან;

10.2.2. სასამართლომ არასწორად დაადგინა, თითქოსდა ბავშვმა მოპასუხე აღიქვა, როგორც მშობელი დედა. სასამართლო სხდომაზე ფსიქოლოგი ზოგადად საუბრობდა ბავშვის დადებით ემოციურ დამოკიდებულებაზე მოპასუხის მიმართ და არა დეტალურად – როგორც დედის მიმართ;

10.2.3. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მოწმის სახით დაკითხულმა, მოპასუხის არარეგისტრირებულმა მეუღლემ გამოთქვა მზაობა, მზრუნველობა გაუწიოს მცირეწლოვანს; სინამდვილეში, მას ამის მზაობა არ გააჩნია.

11. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება და დასკვნები

11.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 23 თებერვლის განჩინებით აღმზრდელის (ძირითადი მოსარჩელის) სააპელაციო საჩივარი არ დაკმა-

ყოფილდა, უცვლელად დარჩა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

11.2. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მითითებულია წინამდებარე განჩინების 1-5 პუნქტებში, სამართლებრივი შეფასებები (იხ. ამ განჩინების მე-9 პუნქტი) და დამატებით განმარტა:

11.2.1. დაბადების მონმობის მიხედვით, მცირეწლოვანის დედა არის ძირითადი სარჩელის მოპასუხე და მას მშობლის უფლება შეჩერებული, შეზღუდული ან ჩამორთმეული არ აქვს. პირველი ინსტანციის სასამართლოში მონმის სახით დაკითხულმა პირებმა დაადასტურეს, რომ მოსარჩელესთან საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ და სამშობიაროში ყოფნის დროსაც ბიოლოგიურმა დედამ (მოპასუხემ) რამდენჯერმე განაცხადა უარი ბავშვის დათმობაზე, თუმცა, მასზე იმ გარემოებამ იქონია ზემოქმედება, რომ მშობლები ბავშვთან ერთად არ მიიღებდნენ და გაშვილებას დაეთანხმა. პირველი ინსტანციის სასამართლოში მონმემ დაადასტურა, რომ ბავშვის დაბადების შემდეგ, ბიოლოგიური დედა 10-ჯერ მაინც იყო მოსარჩელესთან მისული ბავშვის სანახავად. აღნიშნული ფაქტი თავად აღმზრდელმაც დაადასტურა;

11.2.2. სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ბიოლოგიური დედისათვის ბავშვის დაბრუნებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს წარმოადგენდა საქმეში წარდგენილი სოციალური მუშაკის ის დასკვნები, რომლებზეც აპელანტი მიუთითებდა და სადაც დაფიქსირებულია, რომ ბავშვი თავს დაცულად და უსაფრთხოდ მხოლოდ აღმზრდელისა და მისი მეუღლის გარემოში გრძნობს და მათთან დაშორება მცირეწლოვანის ფსიქიკას ზიანს მიაყენებს. სააპელაციო სასამართლომ, აღნიშნულ დასკვნებთან დაკავშირებით, გამოკითხა ზემოხსენებული სოციალური მუშაკი, რომელმაც განმარტა, რომ მას ფსიქოლოგიური განათლება არ გააჩნია. დასკვნაში ასახული მსჯელობა, რომ მცირეწლოვანის დაშორება აღმზრდელთან ბავშვის ფსიქიკას ზიანს მიაყენებდა, განაპირობა აღმზრდელის ოჯახში ვიზიტისას ბავშვის ქცევამ. სოციალურმა მუშაკმა აღნიშნა, ბავშვის ფსიქიკის გამოსაკვლევეად რაიმე სახის სამეცნიერო მეთოდები არ გამოუყენებია და ზოგადი დაკვირვების საფუძველზე მიიღო შესაბამისი დასკვნა. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მონვეულმა ფსიქოლოგმა – ლ. ც-მ, მის მიერ შედგენილ დასკვნებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ფსიქოლოგიური კვლევა ჩაატარა სამეცნიერო წესებისა და მეთოდების

დების გამოყენებით;

11.2.3. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კვლევის შედეგად მიღებული შეფასებები გაამყარა სააპელაციო სასამართლოში ბავშვთან მონყობილმა შეხვედრამაც, რა დროსაც მცირეწლოვანმა მარტივად დაამყარა კომუნიკაცია ბიოლოგიურ დედასთან, მის მიმართ გაუცხოება არ გამოუხატავს, რაც ადასტურებდა, რომ ბავშვს აქვს დადებითი ემოციური, მჭიდრო კავშირი ბიოლოგიურ დედასთან. მისი ბიოლოგიურ დედასთან უმტკივნეულოდ გადაყვანა დამოკიდებული იყო გამზრდელ მშობლებზე, თუ როგორ დაეხმარებიან ბავშვს პოზიტიურად მიიღოს ბიოლოგიური დედა (იხ. სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი – 15.02.2017 წ.).

11.2.4. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი მსჯელობა და აპელანტის მოთხოვნასთან დაკავშირებით დამატებით განმარტა: დავის სწორად გადაწყვეტისა და აპელანტის პრეტენზიის მართებულობის შესამოწმებლად, მნიშვნელოვანია გაირკვეს: 1) მიაყენებს თუ არა ზიანს მცირეწლოვანის ჯანმრთელობასა და მის ფსიქიკურ მდგომარეობას ბიოლოგიურ დედასთან დაბრუნება; 2) არსებობს თუ არა მოპასუხისთვის მშობლის უფლებების შეზღუდვის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები; სსკ-ის 1199-ე და 1204-ე მუხლების შესაბამისად, მშობლების უფლებები უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი არ მიადგეს ბავშვის ინტერესებს. მშობლებს უფლება აქვთ, მოითხოვონ არასრულწლოვანი შვილის დაბრუნება იმ პირისაგან, რომელიც მას თავისთან ამყოფებს კანონიერი საფუძვლის გარეშე. მითითებული ნორმის განმარტებიდან გამომდინარე სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია უარი განაცხადოს ასეთ მოთხოვნაზე, თუ მოთხოვნა არ შედის ბავშვის ინტერესებში. ამავე კოდექსის 1256-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე მშობელს (მშობლებს), მშვილებელსა და 10 წელს მიღწეულ შვილად ასაყვანს უფლება აქვთ, უარი განაცხადონ თავიანთ თანხმობაზე „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოპასუხემ შვილის გაშვილებაზე თანხმობის მიცემიდან (23.06.2015წ.) ორ თვეში – 2014 წლის 2 სექტემბერს წერილობით განაცხადა უარი ბავშვის გაშვილებაზე, რის გამოც, მცირეწლოვანის შვილად აყვანა ველარ განხორციელდა.

11.2.5. გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებების კონვენციის მე-3 და მე-9 მუხლების თანახმად, ბავშვის მიმართ ნების-

მიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს. ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას სრულად უნდა იქნეს დაცული ბავშვის ქვეყნობის ინტერესები. იმ შემთხვევაში კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადაწყვეტილების მიღება (იხ. ელსჰოლცი გერმანიის წინააღმდეგ – *Elsholz v. Germany*, № 25735/94, 31.07.2000). ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი ასევე მოიცავს მშობელთა უფლებას – მიიღონ ზომები, რაც საშუალებას მისცემს მათ, გაერთიანდნენ თავიანთ შვილებთან, და ეროვნული ხელისუფლების ვალდებულებას – განახორციელონ შესაბამისი ქმედებები (იხ. ოლსონი შვედეთის წინააღმდეგ (No. 2), 1992 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია A, No. 250, გვ. 35-36, § 90;).

11.2.6. განსახილველ შემთხვევაში, საქმეში განთავსებული წერილობითი მტკიცებულების, სათანადო ცოდნის მქონე ფსიქოლოგის დასკვნითა და სასამართლო სხდომაზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოსაზრებით დასტურდებოდა, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ განახორციელა მოქმედებები არასრულწლოვანის ბიოლოგიურ დედასთან გაერთიანებისათვის, კერძოდ, ფსიქოლოგის მონაწილეობით დაიგეგმა შეხვედრები, რამაც გამოავლინა, რომ არ არსებობდა სერიოზული რისკი, რომ გარემო, რომელშიც დაბრუნების შემდეგ ბავშვი აღმოჩნდება, მას ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნის, ან სხვაგვარად ჩააყენებს გაუსაძლის მდგომარეობაში.

11.2.7. სასამართლომ ზემოხსენებული მსჯელობის საფუძველზე მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებით დასაბუთებული გადაწყვეტილება გამოიტანა, რაც გამორიცხავდა ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და სააპელაციო მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამასთან, არც მოსარჩელეს მიუთითებია და სასამართლომაც მიიჩნია, რომ არ არსებობდა ბიოლო-

გიური დედისათვის მშობლის უფლების შეზღუდვის საფუძველი, რაც გამორიცხავდა აღნიშნული მოთხოვნის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და სააპელაციო საჩივრისა და თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილებას.

12. მოსარჩელის საკასაციო საჩივარი:

12.1. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და სააპელაციო პრეტენზიების იდენტურ გარემოებებზე დაყრდნობით, ასევე – შეგებებული სარჩელის უარყოფა (იხ. საკასაციო საჩივარი).

13. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

13.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ივლისის განჩინებით საკასაციო განაცხადი წარმოებაშია მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო განაცხადი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, ამიტომ იგი დაუშვებელია შემდეგი არგუმენტაციით:

14. სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვე-

ვით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

15. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი პუნქტით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება, მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორს არ წარმოუდგენია დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), რაც საშუალებას მისცემდა სასამართლოს, არსებითად განსახილველად დაეშვა საკასაციო განაცხადი. ამასთან, განსახილველი სადავო საკითხის სპეციფიკურობისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საკასაციო განაცხადის არსებითად განსახილველად დასაშვებად ცნობისათვის, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს არა მხოლოდ კასატორის დასაბუთებული შედავება, არამედ – სსსკ-ის 354-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან დაკავშირებულ დავებზე, სასამართლოსათვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული ინკვიზიციური უფლებამოსილებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს პროცესუალურსამართლებრივი წინაპირობა განსახილველი დავის არსებითად განსახილველად დასაშვებად.

16. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოხსენებული საფუძვლით.

17. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსკ-ის 102-ე მუხლზე, რომლის თანახმად, „1. თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. 2. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით“ და განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოკვლეული და დადგენილია ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც საჭიროა საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობის შესაბამისად.

18. კასატორის საკასაციო შედაგება ძირითადად აგებულია სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასების არამართებულობაზე და მხარეს მიაჩნია, რომ სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მცირეწლოვანის დაბრუნება ბიოლოგიურ დედასთან უარყოფითად არ აისახება ბავშვის ფსიქიკაზე და მის შემდგომ ემოციურ განვითარებაზე. კასატორს მიაჩნია, რომ სასამართლო გადაწყვეტილება არ გამომდინარეობს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან და საზიანოა მისთვის. ამ არგუმენტების გასამყარებლად კასატორი მიუთითებს შემდეგზე:

18.1. ბიოლოგიურ დედასთან ბავშვის დაბრუნება დიდ სტრესს მიაყენებს მის ფსიქიკას, ამას სასამართლო ადასტურებს ფსიქოლოგის დასკვნით, რომელიც მიუთითებს, რომ ბავშვის აღმზრდელისაგან განრიდება არ იქნება საზიანო. კასატორის აზრით, აღნიშნული დასკვნა ავტომატურად არ მიუთითებს იმაზე, რომ მისგან განრიდების შემთხვევაში ბავშვის კეთილდღეობა უკეთ იქნება დაცული მის ბიოლოგიურ დედასთან. კასატორი უთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (Johansen vs Norway), სადაც ნათქვამია, რომ „ბავშვთან გაერთიანების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას დაცული უნდა იქნეს ინტერესი მშობლისა და ბავშვის ინტერესს შორის. აღნიშნული ბალანსის ძიებისას შესაძლოა ბავშვის ინტერესს პრიორიტეტი ჰქონდეს მშობლის ინტერესთან შედარებით, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა“.

18.1.1. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის აღნიშნულ პრეტენზიას და, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს ზოგადად იმ მტკიცებულებათა სანდოობაზე (ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის დასკვნებზე), რომლებზე დაყრდნობითაც სასამართლომ მიიჩნია, რომ ბავშვისათვის აღმზრდელთან დაშორება შეუქცევადი ფსიქოლოგიური სტრესის მომტანი არ იქ-

ნება, ხოლო ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3, მე-9 და მე-19 მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას სწორედ მის ბიოლოგიურ დედასთან გაერთიანება განაპირობებს. საქმეში წარმოდგენილია როგორც ფსიქოლოგის, ისე სოციალური მუშაკის დასკვნები;

18.1.2. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მოცემულ შემთხვევაში ნდობის უფრო მაღალი ხარისხით სარგებლობს ფსიქოლოგის, როგორც შესაბამისი სპეციალური ცოდნის მქონე პირის დასკვნა. ბავშვზე არაერთი დაკვირვების შედეგად ფსიქოლოგმა მონიტორინგი ჩაატარა სამ ეტაპად (იხ. დასკვნა). ფსიქოლოგი უშუალოდ ესწრებოდა ბავშვისა და ბიოლოგიური დედის კონტაქტს, დააკვირდა მათი ურთიერთობისა და ქცევების თავისებურებებს და შედეგად დაასკვნა, რომ მცირეწლოვანის ბიოლოგიური დედისთვის დაბრუნება არ აისახებოდა ბავშვის ფსიქიკაზე უარყოფითად, სწორედ ამ ასპექტის გათვალისწინებით, სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ ბავშვის ბიოლოგიურ დედასთან დაბრუნებით უზრუნველყოფილი იქნება ბავშვის კანონით დაცული უფლება – იზრდებოდეს დედასთან, ოჯახურ გარემოში, ხოლო დედას, თავის მხრივ, აქვს უფლება და ვალდებულება, რომ ზრუნავდეს შვილზე და მოითხოვოს ბავშვის დაბრუნება იმისგან, ვისთანაც ბავშვი არამართლზომიერად, სამართლებრივი საფუძვლების გარეშე იმყოფება [სსკ-ის 1204-ე მუხლით დადგენილია: „მშობლებს უფლება აქვთ, მოითხოვონ არასრულწლოვანი შვილის დაბრუნება იმ პირისაგან, რომელიც მას თავისთან ამყოფებს კანონიერი საფუძვლის გარეშე“]. ამასთან, სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ არ არსებობს მოპასუხისთვის (ბავშვის ბიოლოგიური დედისათვის) სსკ-ის 1205.1-ე [„მშობლის უფლებები და მოვალეობები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სასამართლოს გადანყვეტილებით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი] და 1279-ე [ბავშვისთვის მეურვეობისა და მზრუნველობის დანესება შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც: ა) სასამართლო აცნობებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ბავშვის ორივე მშობლისთვის მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვის ან ჩამორთმევის შესახებ; ბ) შეჩერებულია მშობლის უფლებები და მოვალეობები; გ) გარდაცვლილია ბავშვის ორივე მშობელი; დ) ბავშვისათვის დანიშნული მეურვე გარდაიცვალა ან მას თავისი ფუნქციები ჩამოერთვა; ე) სასამართლო ბავშვს მიტოვებულად აღიარებს; ვ) მშობელი უგზო-უკვლოდ დაკარგულად არის აღიარებული“] მუხლებით გათვალისწინებული მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შემ-

ზღუდავი გარემოებანი. აღსანიშნავია, რომ ამ კონტექსტში კასატორი საკასაციო შედავებას არც კი წარმოადგენს და იგი მხოლოდ მტკიცებულებათა შეფასებაზე დავობს. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია ის გარემოებაც, რომ მოსარჩელე მშვილბელი არაა (ბავშვის შვილად აყვანის პროცედურები შეჩერებულია, რადგან მოპასუხემ უარი განაცხადა ბავშვის გაშვილებაზე (იხ. ამ განჩინების 4.1. ქვეპუნქტი), ხოლო შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს იმ უფლებიდან, რომ ბიოლოგიურმა დედამ დაიცვას ბავშვის საუკეთესო ინტერესები ოჯახთან გაერთიანების შედეგად.

18.1.3. საკასაციო სასამართლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 [„1. ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უზრუნველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას. 2. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორიც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის, ამასთან ითვალისწინებენ მისი მშობლების, მეურვეების ან კანონით მისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, და ამ მიზნით მიმართავენ ყველა შესაბამის საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომებს“], მე-9 [„1. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ განშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევების გარდა, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, განსაზღვრავენ სათანადო კანონისა და პროცედურების შესაბამისად, რომ ასეთი განშორება საჭიროა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის. ასეთი განსაზღვრა შეიძლება საჭირო გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, როცა მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს ან არ ზრუნავენ მასზე, ანდა, როცა მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ და საჭიროა გადაწყვეტილების მიღება ბავშვის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით. 2. ამ მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად ყველა დაინტერესებულ მხარეს ეძლევა შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს გარჩევაში და გამოთქვას თავისი თვალსაზრისით“] და მე-19 [„1. მონაწილე სახელმწიფოები ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს მიმართავენ, რათა ბავშვი დაიცვან

მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველა ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტ-მოქმედებისაგან, იმისაგან, რომ ბავშვი მოკლებული იყო ზრუნვას ან დაუდევრად ექცეოდნენ, უხეშად ეპყრობოდნენ ან ექსპლუატაციას უწევდნენ, აგრეთვე სექსუალურ ძალადობას იჩენდნენ. 2. დაცვის ასეთი ზომები, აუცილებლობის შემთხვევაში, მოცავს ეფექტიან პროცედურებს სოციალური პროგრამების შესამუშავებლად იმ მიზნით, რომ მხარდაჭერა გაუწიონ ბავშვს და მასზე მზრუნველ პირებს, აგრეთვე განახორციელონ გაფრთხილებისა და გამოვლენის, შეტყობინების, განსახილველად გადაცემის, გამოძიების, მკურნალობის სხვა ფორმები და შემდგომი ღონისძიებანი ბავშვისადმი სასტიკი მოპყრობის ზემოთ ნახსენებ შემთხვევებთან დაკავშირებით, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, სასამართლო პროცედურის აღძვრისათვის“] მუხლებთან დაკავშირებით ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს იზიარებს, ისევე, როგორც – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოხმობილ პრეცედენტებს (იხ. ამ განჩინების 9.3.1, 11.2.5-11.2.6 ქვეპუნქტები).

19. კასატორი შედაგებას წარმოადგენს იმ თვალსაზრისითაც, რომ სასამართლომ არ იმსჯელა იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხე არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება მრავალჯერ ნასამართლევ პირთან, რომელიც ეწევა არასტაბილურ ცხოვრებას, მაგრამ გამოთქვამს მზაობას, რომ იზრუნებს არასრულწლოვანზე, რაც მისი მხრიდან შეუძლებელია.

19.1. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება კასატორის ზემოხსენებულ პრეტენზიას, რადგან აღნიშნული მარტოოდენ მხარის სუბიექტური პოზიცია და ვარაუდებია და არ არის გამყარებული სამართლებრივად ვარგისი მტკიცებულებებით. საქმეში წარმოდგენილი არაა არც ერთი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ ბავშვის ინტერესებს რაიმე სახის ხელყოფა ემოქრება ბიოლოგიური დედის არარეგისტრირებულ მეუღლესთან ურთიერთობის შედეგად. სოციალური მუშაკის მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, დასახელებული პირი არ არის ერთადერთი, ვისაც მცირეწლოვანზე ზრუნვა ფინანსურად ხელეწიფება. მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, მოპასუხე (ბავშვის დედა) თავადაც დასაქმებულია (იხ. დასკვნები). საწინააღმდეგო მტკიცებულება, თუ რა ფორმითაა მოსალოდნელი ბავშვის უფლებების ხელყოფა ბიოლოგიურ დედასთან დაბრუნების შემთხვევაში, ამ უკანასკნელის მეუღლის მხრი-

დან საქმეში წარდგენილი არ არის;

19.2. მეტიც, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ბავშვის დედის არარეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის ფაქტზე მითითება, არის მოსარჩელის უსარგებლო მცდელობა არასათანადოდ წარმოაჩინოს მოპასუხის (ბიოლოგიური დედის) სახე და მისი ოჯახური გარემო. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცული ოჯახური ცხოვრების კონცეფცია გულისხმობს არა მხოლოდ კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული წყვილის ოჯახად ცხოვრებას და აქედან გამომდინარე ოჯახური ცხოვრების პატივისცემას, არამედ – ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აფასებს და მნიშვნელობას ანიჭებს ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობის ინტენსიურობას, კონტაქტის სიმჭიდროვეს და ფაქტობრივი ოჯახის სახით თანაცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე ვაგნერი და ჯ.მ.ვ.ლ. ლუქსემბურგის წინააღმდეგ [Wagner and J.M.W.L. v Luxembourg, No 76240/01, 28.6.07, par. 117] აღნიშნა, რომ ოჯახური ცხოვრება იცავს არა მარტო ოჯახებს, რომლებიც ქორწინებით არის შექმნილი, არამედ სხვა დე ფაქტო ურთიერთობაში მყოფ პირებს, რომლებიც ოჯახური ცხოვრების დემონსტრირებას ახდენენ ან ერთად ცხოვრებით ან სხვა ფაქტობრივით.

19.3. გარდა ამისა, აღნიშნული გარემოების დადასტურების შემთხვევაშიც კი, მოსარჩელის იურიდიული ინტერესი – შეეზღუდოს მოპასუხეს მშობლის უფლება, ხოლო თავად ბავშვის მეურვედ დაინიშნოს, ვერ მიიღწევა. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნისა და საკასაციო შედაგების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, ზემოხსენებული გარემოების კვლევასა და დადასტურებას იურიდიულად ვარგისი/საკმარისი საფუძველი არ გააჩნია.

20. საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ ბავშვის უფლებების დაცვის მომწესრიგებელი როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნული კანონმდებლობის სისტემური ანალიზი იძლევა იმგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ ბავშვის უფლებების უზრუნველყოფა არ გულისხმობს ერთი რომელიმე უფლების სხვა უფლებასთან შედარებით უპირატესად რეალიზების, ან დაცვის უფრო მაღალი პრივილეგიით სარგებლობის შინაარსს. ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მხრიდან ყველა უფლებას სახელმწიფო გარანტიებით/ინსტრუმენტებით ერთნაირად სარგებლობის უფლება და ხარისხი გააჩნია, მათ შორის ბიოლოგიურ დედასთან ცხოვრების უფლებასაც. თუმცა, ეს უფლება აბსოლუტურ

უფლებად არ შეიძლება ჩაითვალოს და დედის (მშობლის) და ბავშვის უფლებათა შენონადობის თვალსაზრისით, ბავშვის უფლება უპირატესად ითვლება და მშობელს, გარკვეული პირობების არებობისას, შესაძლოა ჩამოერთვას კიდევ ბავშვთან ურთიერთობის უფლება (სსკ-ის 1205-1206 მუხლები). ამ უფლების შემზღუდავი სახელმწიფო ინსტრუმენტი მოქმედებს მხოლოდ მამინ და მშობლის უფლება არარეალიზებადია, თუკი მშობლის მოვალეობის არასათანადო შესრულება წინააღმდეგობაშია ბავშვის თუნდაც ერთ რომელიმე ინტერესთან (ჯანმრთელობა, ემოციური განვითარება, სწავლა და ა.შ.), ე.ი. მშობლის ბუნებითი უფლება (იცხოვროს შვილთან ერთად ერთ ოჯახად) არასრულწლოვანის ინტერესებიდან გამომდინარე, არ მიიჩნევა აბსოლუტურ და შეუზღუდავ უფლებად და ამა თუ იმ პირობების გათვალისწინებით სახელმწიფოს მხრიდან გარკვეულ კონტროლს ექვემდებარება.

21. ბავშვის საუკეთესო ინტერესების კვლევისა და დადგენისას საპროცესო კანონმდებლობა სასამართლოს ინკვიზიციური სამართალწარმოების ელემენტებით აღჭურავს, რაც სასამართლოს მიერ საქმეზე დასადგენ გარემოებათა წრის განსაზღვრასა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ მტკიცებულებების საკუთარი ინიციატივით გამოთხოვაში გამოიხატება (სსსკ-ის 354.1 მუხლი). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თავდაპირველი მოსარჩელის ძირითადი არგუმენტი იმას ეხება, რომ ბავშვი შეჩვეულია აღმზრდელ მშობლებს, ემოციური კავშირი აქვს მათთან და მის ფსიქიკაზე უარყოფით ზეგავლენას მოახდენს ბიოლოგიურ დედასთან დაბრუნება (იხ. სარჩელის საფუძვლები ამ განჩინების მე-6 პუნქტში). ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ „კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, მშობლისა და ბავშვის მიერ მათი ერთად ყოფნით სიამოვნების მიღება ქმნის ოჯახური ცხოვრების ფუნდამენტურ ელემენტს (იხილეთ, ოლსონი შვედეთის წინააღმდეგ 1988წ, და მონორი რუმინეთისა და უნგრეთის წინააღმდეგ, 2005წ.). ამ კონტექსტში, მე-8 მუხლის არსებითი მიზანია პირის დაცვა საჯარო ხელისუფლების მხრიდან დისკრეციული ქმედებისაგან. გარდა ამისა, ოჯახური ცხოვრების „პატივისცემას“ ახასიათებს პოზიტიური ხასიათის ვალდებულებები. აქედან გამომდინარე, სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, რომ მე-8 მუხლი მოიცავს მშობელთა უფლებას, მიიღონ ზომები, რაც საშუალებას მისცემს მათ, ხელახლა გაერთიანდნენ თავიანთ შვილებთან, თუმცა, ეროვნული ხელისუფლების ვალდებულება, განახორციელოს ღონისძიებები

ოჯახის გაერთიანების ხელშეწყობის მიზნით, არ არის აბსოლუტური ხასიათის კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად. თუკი მშობელთან კონტაქტი საფრთხეს უქმნის ამ ინტერესებს ან აბრკოლებს ამ უფლებების განხორციელებას, ეროვნული ხელისუფლება პასუხისმგებელია შექმნას სამართლიანი ბალანსი (იხილეთ ჰოკანენი, ციტირებულია ზემოთ, § 58). ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა წარმოადგენდეს უმთავრეს განხილვის საგანს და, მისი ბუნებიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, შეიძლება აჭარბებდეს მშობლების ინტერესებს (იხილეთ, სხვა მრავალთა შორის, ოლსონი (No.2), § 90, იგნაკოლო-ზენიდი) – იხ. ნ. ნ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, განაცხადი №. 71776/12; 02.02.2016წ.

22. მშობლის უფლების შემზღუდავი ნორმები გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (სსკ-ის 1205-ე-1207-ე მუხლები), რაზედაც კასატორი თავის სასარჩელო მოთხოვნაში მიუთითებდა კიდევ, თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში შეზღუდვის დამწესებელი გარემოებები არ გამოვლენილა და შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ არასრულწლოვანის კანონით დაცული უფლება, იცხოვროს ბიოლოგიურ დედასთან ერთად, თანხვედრაშია ამ უკანასკნელის ინტერესთან – იცხოვროს შვილთან ერთად და, რაც მთავარია, ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ემსახურება, ოჯახური ცხოვრების კონცეფციის ჩრილში. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს არც ერთი წინაპირობა იმისა, რომ ბიოლოგიურ დედას შეეზღუდოს სსკ-ის 1204-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება (ნორმის დეფინიცია იხ. ზემოთ – 18.1.2 ქვეპუნქტი).

23. ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს: „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც, რაც ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს

და იზრდებოდეს ოჯახში. მართალია, საერთაშორისოდ აღიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს, თუმცა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტები თავადვე იძლევიან ჩარევის ლეგიტიმურ დეფინიციას და განსაზღვრავენ, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამოწვეულია დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით, ამასთან, ჩარევის სტანდარტად, გამოყენებულ უნდა იქნას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ცალსახადაა ასახული „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“ (იხ: სუსგ-ები №ას-1062-996-2012, 22.01.2013წ; №ას-53-51-2016, 06.07.2016წ; №ას-1139-1095-2016, 25.09.2017წ.).

24. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეებზე კივანი ირლანდიის წინააღმდეგ [Keegan v. Ireland, No 32, 9.10.79, par. 32] და გლასერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [Glaser v. UK, No 32346/96, 19.9.00, par.33] განმარტა: იქ, სადაც დადგინდება ოჯახური კავშირი ბავშვთან, სახელმწიფომ უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ მოხდეს აღნიშნული კავშირის განვითარება და უნდა შექმნას შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიები, რომლებიც შესაძლებელს ხდის, დაბადების მომენტიდან, ბავშვის ინტეგრაციას თავის ოჯახში. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამ კონტექსტში სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა, მათ შორის მისი სოციალური სამსახურების სახით, შესაბამისი ღონისძიებები გაატაროს, რათა ხელი შეუწყოს ბავშვის დროულ დაბრუნებას ბიოლოგიურ დედასთან და დროის ფაქტორის გამო ანუ დაყოვნებით არ მოხდეს ხელშეშლა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის მისი ბიოლოგიურ დედასთან დაბრუნების თვალსაზრისით. სამოქალაქო მართლმეცნების ნაწილია ისიც, რომ აღმზრდელმა ოჯახმა, რომლის პოზიცია განპირობებულია შვილად ასაყვან ბავშვთან დამყარებული ემოციური კავშირით და ბავშვზე ზრუნვით, რაც მისი მუცლადყოფნის პერიოდიდან იკვეთება ბიოლოგიური დედისადმი გამოჩენილი დახმარებითა და ყურადღებით, რადგან მოსარჩელეს და მის მეუღლეს სურდათ შვილის აყვანა, უნდა გადადგას რთული, მაგრამ როგორც ზნეობრივად, ისე სამართლებრივად გამართლებული ნაბიჯი ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის და ხელი შეუწყოს მცირეწლოვანის ინტეგრაციას ბიოლოგიურ დედასთან. განსახილველ შემთხვევაში შვილად აყვანის პროცედურა შეჩერდა კანონიერი საფუძვლით იმხანად მოქმედი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის (მხედველობაშია 2009 წლის 18 დეკემბრის რედაქცია, რომელიც ძალადაკარგულად გამოცხადდა 2017

ნლის 4 მაისის კანონის /040200140.05.001.018425/ საფუძველზე) 22-ე მუხლით: 1. შვილად აყვანის (გაშვილების) პროცედურის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, მაგრამ არა უგვიანეს სასამართლოს მიერ შვილად აყვანის (გაშვილების) საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისა, მშობელს (მშობლებს) ამ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხმობის არსებობისას, აგრეთვე მშვილებელსა და გასაშვილებელ ბავშვს, თუ იგი 10 წლისაა ან 10 წელზე მეტისაა, შეუძლიათ უარი განაცხადონ შვილად აყვანაზე (გაშვილებაზე)“. მოხმობილი საკანონმდებლო დანაწესი გამვილების პროცედურის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე მშობლის მიერ ადრე გაცხადებული თანხმობის გამოთხოვას აღგენს.

25. განსახილველ შემთხვევაში ბავშვი, რომლის დაბრუნებასაც ითხოვს ბიოლოგიური დედა, 2014 წლის 15 მაისს არის დაბადებული და საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროისათვის იგი 3 წლის და 5 თვისაა, შესაბამისად, მცირეწლოვანის ბიოლოგიურ დედასთან დაბრუნებას არ სჭირდება მისი თანხმობა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ „ძალიან სერიოზული დონის ჩარევაა ოჯახის გახლეჩა“ [იხ. ოლსონი შვედეთი წინააღმდეგ; Olson v. Sweden/No.1/ №10465/83, No 130, 24.3.88, par. 72]. მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ოჯახის გახლეჩა და ბავშვის არამართლზომიერი საფუძველით დატოვება აღმზრდელთა ოჯახში, რომელთაც კანონით დადგენილი წესით ასეთი უფლებაც არ აქვთ მინიჭებული. სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა ოჯახური ცხოვრების პატივისცემის დაცვის თვალსაზრისით ბიოლოგიური დედისა და მცირეწლოვანის გაერთიანება, რადგან ბავშვი მხოლოდ იმიტომ აღმოჩნდა აღმზრდელის ოჯახში, რომ ბავშვის დედა არასრულწლოვანების ასაკში დაფეხმძიმდა, რამაც უსიამოვნება და დაძაბულობა შექმნა მის ოჯახში და რეალურად ბიოლოგიურ დედას არ ჰქონდა თანადგომის ქსელი, რაც მას საშუალებას მისცემდა, აღმზრდელის ოჯახში არ ეცხოვრა ფეხმძიმობის პერიოდში და მის ნაცვლად, სხვებს არ მიეღოთ გადაწყვეტილება ჯერ არ დაბადებული ბავშვის ოჯახზე. ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი შეიძლება დაირღვეს მაშინაც, როდესაც შესაბამისი ორგანოები არ დგამენ ადეკვატურ ნაბიჯებს ბავშვის ოჯახში დასაბრუნებლად... ასეთი დარღვევა დადგინდა საქმეში კ. ა. ფინეთის წინააღმდეგ [K.A.v Finland, No27751/95, 14.1.03] „სოციალური კეთილდღობის სამსახურის მხრიდან ოჯახის შესაძლო გაერთიანების სერიოზ-

ზული და გათვლილი მცდელობის არარსებობის გამო“. ასევე, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს იმ პროცესების მიმდინარეობის სისწრაფე, რომელშიც საქმე ეხება ბავშვს, რადგან ნებისმიერმა პროცესუალურმა შეყოვნებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს საბოლოო შედეგზე [H.v UK, No 9580/81, 8.7.87, par 89-90]. ამ მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იძულებით აღსრულებასაც უჭერს მხარს, რაც სწორედ ბავშვის საუკეთესო ინტერესებითაა ნაკარნახევი და ოჯახური გაერთიანებისა და თანაცხოვრებისათვის ხელშეწყობას ისახავს მიზნად [Hokkanen v. Finland; Amalanchioai v. Romania; Glaser v. Uk; Zavadka v. Poland; Eberhard v. Slovenia].

26. ზემოხსენებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორს არ წარმოუდგენია არც ერთი არგუმენტი, დასაბუთებული შედაგება, თუ რა საფუძვლით უნდა იქნეს ცნობილი დასაშვებად საკასაციო განაცხადი; ამასთან, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მოცემული კატეგორიის საქმეებზე, საკასაციო სასამართლო თავისი ინიციატივითაც იკვლევს გარემოებებს, რაც მნიშვნელოვანი იქნებოდა საკასაციო განაცხადის არსებითად განსახილველად დასაშვებად ცნობისათვის, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ ბავშვის უპირატესი ინტერესიდან გამომდინარე დაასკვნა, რომ ზემოხსენებული სასამართლებრივი მოტივაციით არსებობს საკმარისი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის უარყოფისა და სააპელაციო სასამართლოს განჩინების უცვლელად დატოვებისათვის.

27. სსსკ-ის 401-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება ცნობილი, პირს დაუბრუნდება, მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 391-ე, 401-ე, 408.3 მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. მ. ლ-ას საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;
2. მ. ლ-ას (პ/ნ 6..) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი,

„სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე ე. კ-ას (პ/ნ 6..) მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის (საგადასახადო დავალება №0, გადახდის თარიღი 2017 წლის 12 აპრილი), 70% – 210 ლარი;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1285-1205-2017

30 იანვარი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავიძე,

ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: მშობლის უფლების შეზღუდვა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ო. ტ. (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი ან ბავშვის დედა) და მ. ლ. (შემდეგში: მოპასუხე ან ბავშვის მამა) არარეგისტრირებულ ქორწინებაში იყოფებოდნენ. მათ შეეძინათ ორი შვილი: 2012 წლის 11 მაისს დაბადებული ა. და 2014 წლის 17 ივნისს დაბადებული თ. (შემდეგში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც ბავშვები, მოსარჩელისა და მოპასუხის შვილები ან არასრულწლოვნები).

2. უკანასკნელ ხანს მეუღლეებს შორის ურთიერთობა გამწვავდა და ისინი, თითქმის ერთი წელია ერთ ოჯახად აღარ ცხოვრობენ. შვილები ცხოვრობენ დედასთან. ა. საბავშვო ბაღის აღსაზრდელია, დედა ერთ-ერთ კომპანიაში ოპერატორის თანამდებობაზე მუშაობს, დედის არ ყოფნის დროს, ბავშვებზე ძიძა ზრუნავს.

3. მოპასუხე ექიმია, ისიც ერთ-ერთ კერძო კომპანიაში სპეციალობით მუშაობს. მას შვილებთან ჯანსაღი დამოკიდებულება აქვს. სასამართლოს მიერ შვილებთან ურთიერთობისათვის განსაზღვრულ დროს ის სრულად ბავშვებთან ატარებს.

4. მოსარჩელემ შვილებთან ერთად საცხოვრებლად აშშ-ში გადასვლა გადაწყვიტა. მისი და, რომელიც ასევე ამერიკაში ცხოვრობს, თანახმაა, დააფინანსოს მოსარჩელისა და მისი შვილების მგზავრობა. მან ბავშვების მამას, მოპასუხეს სთხოვა თანხმობა ბავშვების გაყვანაზე იმ არგუმენტაციით, რომ, აშშ-ში ბავშვების მომავალი ცხოვრება უკეთესი იქნებოდა.

5. მოპასუხე არ დაეთანხმა მოსარჩელეს. აღნიშნულის გამო დედამ სარჩელი აღძრა მამის წინააღმდეგ არასრულწლოვანი შვილების საზღვარგარეთ გაყვანისა და საზღვარგარეთის პასპორტის მიღებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე, მოპასუხისათვის მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვის დაწესების მოთხოვნით.

სარჩელის საფუძვლები:

6. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მოპასუხესთან არარეგისტრირებული ქორწინების პერიოდში შეეძინა ორი შვილი. მისი მშობლები, აგრეთვე დაც, ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობენ, მამა ისე გარდაიცვალა, რომ შვილიშვილები არ უნახავს. დედა დაავადებულია მიძიმე სენით და ვერ ახერხებს საქართველოში ჩამოსვლას და შვილიშვილების გაცნობა-მონახულებას. მას სურს დროებით ერთი თვით, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავროს ბავშვებთან ერთად. თუმცა ამისათვის აუცილებელია ბავშვებისათვის საზღვარგარეთის პასპორტის აღება, რაზეც მოპასუხე უარს აცხადებს.

მოპასუხის პოზიცია:

7. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელეს სურს ბავშვების საზღვარგარეთ არა დროებით, არამედ მუდმივად საცხოვრებლად წაყვანა, რადგანაც ის აპირებს საცხოვრებლად აშშ-ში გადასვლას, სადაც ცხოვრობენ მოსარჩელის დაც და დედაც. ასეთ შემთხვევაში, მოპასუხეს არ ექნება საშუალება, ურთიერთობა იქონიოს შვილებთან და არც იმის მექანიზმი არ არსებობს, რომ აღსრულდეს სასამართლოს გადწყვეტილება ბავშვების აშშ-დან საქართველოში დაბრუნების შესახებ.

მესამე პირის პოზიცია:

8. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელმა განმარტა, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან სარწმუნო არ არის, რომ დედას ბავშვების გაყვანა საზღვარგარეთ დროებით სურს. იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვებს აქვთ განსაკუთრებული მიჯაჭვულობა მამასთან, დიდი ხნით მასთან დაშორება, როგორც წესი, გამოიწვევს მათი ემოციური, სოციალური, ფიზიკური და გონებრივი განვითარების შეფერ-

ხებას.

9. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი, შვილების საზღვარგარეთ გაყვანისა და საზღვარგარეთის პასპორტის მიღებაზე თანხმობის გაცემის ნაწილში არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1202-ე, 1205-ე, 1999-ე, „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის მე-3, მე-9, მე-5, მე-18 მუხლები.

10. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის, ბავშვების ასაკის გათვალისწინებითა და მათი უპირატესი ინტერესების შესაბამისად, სასამართლომ არ მიიჩნია მიზანშეწონილად მოპასუხის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვა ბავშვების დროებით, აშშ-ში გაყვანისა და საზღვარგარეთის პასპორტის აღებასთან დაკავშირებით, ვინაიდან, მოსარჩელემ დამაჯერებლად ვერ დაადასტურა რომ ბავშვების საზღვარგარეთ გაყვანა შეესაბამებოდა მათ ინტერესს. მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა, ის გარემოება რომ არასრულწლოვნების დროებით საზღვარგარეთ წაყვანის შემთხვევაში, გარემო და საცხოვრებელი პირობები მათი ინტერესების შესატყვისი იქნებოდა და მას არა მუდმივად საცხოვრებლად, არამედ დროებით, ერთი თვით სურდა ბავშვების საზღვარგარეთ წაყვანა.

11. სასამართლოს დასკვნით, თუ ბავშვები საზღვარგარეთ გავიდოდნენ საცხოვრებლად და ისინი ჩვეულ გარემოს მოსწყდებოდნენ, ეს უარყოფითად იმოქმედებდა მათ ჯანმრთელობასა და ფსიქოემოციურ განწყობაზე.

12. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

13. აპელანტის მოსაზრებით, ფოთის საქალაქო სასამართლომ არასწორად შეაფასა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნა. სოციალურ სამსახურს უნდა ემსჯელა თუ რატომ არ შეიძლებოდა ბავშვების საზღვარგარეთ დასასვენებლად წაყვანა, რაც არ გააკეთა და ყურადღება გამახვილა მხოლოდ მშობლებსა და შვილების ურთიერთობაზე. სასამართლომ სათანადოდ არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმის გარემოებები და აქედან გამომდინარე, არასწორად დაადგინა ის ფაქტი, რომ არასრულწლოვნების დროებით საზღვარგარეთ გაყვანის შემთხვევაში, გარემო და საცხოვრებელი პირობები ბავშვების ინტერესების შესაბამისი არ იქნებოდა და მას სურდა არა დრო-

ებით, არამედ მუდმივად წაეყვანა ისინი საცხოვრებლად აშშ-ში. საქმეზე დაკითხულმა მოწმემ დაადასტურა, რომ მოსარჩელის დედა ცხოვრობს აშშ-ში, ბავშვების გამგზავრება იქნებოდა უსაფრთხო, ამასთანავე, ბავშვებს საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებით ერთი თვის განმავლობაში პრობლემები არ შეექმნებოდათ. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა, სამოქალაქო კოდექსის 1205-ე მუხლის პირველი ნაწილი და უნდა შეეზღუდა მოპასუხისათვის მშობლის წარმომადგენლობითი უფლება – არასრულწლოვანი შვილების, საზღვარგარეთ გაყვანასთან და საზღვარგარეთის პასპორტების მიღებაზე თანხმობის გაცემის ნაწილში.

14. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 24 მარტის განჩინებით, საქმეში მხარედ, თანამოპასუხეებად ბავშვები ჩაერთვნენ. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ...-ის საქალაქო განყოფილებას დაევალა მათთვის საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნა.

15. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

16. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და დავის საგანთან მიმართებით მხარეთა განმარტებებისა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის საფუძველზე დადასტურებულად მიიჩნია, რომ მოპასუხე არის მზრუნველი მამა, ბავშვები სიტბოსა და სიყვარულს ორივე მშობელს თანაბრად უნაწილებენ და რომელიმე მშობელთან არც განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ და არც მიჯაჭვულები არ არიან.

17. პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი მსჯელობა და აპელანტის მოთხოვნებთან დაკავშირებით დამატებით ყურადღება გაამახვილა მტკიცების ტვირთის სამართლიან და ობიექტურ განაწილებაზე, კერძოდ, მოსარჩელე უთითებდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ბავშვებთან ერთად აპირებდა დროებით, ერთი თვით წასვლას და არ სურდა იქ მუდმივ საცხოვრებლად დარჩენა. ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები მას სასამართლოსთვის არ წარუდგენია. საქმეში განთავსებული წერილობითი მტკიცებულების, მოსარჩელის დის, ამერიკაში მცხოვრე-

ბი ი. ჩ-ს მიერ, მოპასუხისადმი სოციალურ ქსელში მიმონერით, სასამართლო სხდომაზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, როგორც არასრულწლოვანის წარმომადგენლის მოსაზრების გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსარჩელის გამგზავრების რეალური მიზეზი მუდმივ საცხოვრებლად იქ დარჩენა იყო.

18. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოსარჩელემ საკასაციო საჩივარი წარადგინა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

18.1. კასატორმა სააპელაციო საჩივრის იდენტურ პრეტენზიებზე მიუთითა და დამატებით აღნიშნა, რომ სოციალურ სამსახურს უნდა ემსჯელა ისეთ საკითხებზე და გამოეკვლია ისეთი ფაქტები, როგორცაა, თუ რატომ არ შეიძლება და რატომ ზღუდავს დედას, დროებით ბავშვები საზღვარგარეთ წაიყვანოს დასასვენებლად. სოციალური სამსახურის მიერ წარმოდგენილი ცრუ ინფორმაციით, სასამართლო შეცდომაში შეიყვანეს. არასრულწლოვანი ბავშვების წარმომადგენლად სასამართლოში უნდა დანიშნულიყო გარეშე პირი, რომელიც გადაწყვეტდა, საქმის განხილვა გაგრძელებულიყო, თუ თავიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში დაწყებულიყო.

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) 391-ე მუხლის საფუძველზე, დასაშვებობის შემოწმების მიზნით.

სამოტივაციო ნაწილი:

20. საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, შესაბამისად ის დაუშვებელია:

21. სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გან-

სხვაგვარად მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

22. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემომითითებული საფუძვლით.

23. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით და ვერც კასატორი ვერ მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე დაადგინა მოცემული დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები და იურიდიულად სწორად შეაფასა ისინი, შესაბამისად, სააპელაციო პალატის მიერ გამოტანილი სამართლებრივი დასკვნები გასაჩივრებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე მართებულია.

24. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორს არ წარმოუდგენია დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), რაც საშუა-

ლებას მისცემდა სასამართლოს, არსებითად განსახილველად დაეშვა საკასაციო განაცხადი. ამასთან, განსახილველი სადავო საკითხის სპეციფიკურობისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საკასაციო განაცხადის არსებითად განსახილველად დასაშვებად ცნობისათვის, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს არა მხოლოდ კასატორის დასაბუთებული შედეგება, არამედ – სსსკ-ის 354-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან დაკავშირებულ დავებზე, სასამართლოსათვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული ინკვიზიციური უფლებამოსილებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს პროცესუალურსამართლებრივი წინაპირობა განსახილველი დავის არსებითად განსახილველად დასაშვებად.

25. სააპელაციო სასამართლო მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები (იხ. წინამდებარე განჩინების 1-5 პუნქტები) სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, ვინაიდან კასატორს მათ წინააღმდეგ დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია (სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

26. განსახილველ შემთხვევაში, კასატორის ძირთადი პრეტენზია ისაა, რომ სასამართლოს უნდა გამოეყენებინა, მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 1205-ე მუხლის პირველი ნაწილი და უნდა შეეზღუდა მოპასუხისათვის მშობლის წარმომადგენლობითი უფლება – არასრულწლოვანი შვილების, საზღვარგარეთ გაყვანასთან და საზღვარგარეთის პასპორტების მიღებაზე თანხმობის გაცემის ნაწილში, ვინაიდან სურდა, ბავშვებთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში წასულიყო ერთი თვით დასასვენებლად.

27. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვის მოთხოვნის უსაფუძვლობა სსკ-ის 1202-ე (მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინებული არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ), 1205-ე (მშობლის უფლებები და მოვალეობები შეიძლება, შეიზღუდოს მხოლოდ სასამართლოს გადანყვეტილებით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. სასამართლოს შეუძლია შეზღუდოს მშობლის ერთი ან რამდენიმე უფლება და მოვალეობა მშობლის სხვა უფლებებისა და მოვალეობებისაგან დამოუკიდებლად), 1197-ე (ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში), 1198-ე მუხლის პირველი პუნქტისა და (მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზ-

რუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით) 1199-ე მუხლების (მშობლის უფლება არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს) წინაპირობების არარსებობამ განაპირობა.

28. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადანყვეტილებების მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც (მდრ. სუსგ №ას-1112-1047-2015, 04.03.2016).

28.1. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მშობლების ბავშვთან ურთიერთობასთან დაკავშირებულ დავებზე არაერთხელ აღნიშნა, რომ ბავშვის ინტერესები არის განსაკუთრებული მნიშვნელობის (Krasicki v. Poland, no. 17254/11, § 83, 15 April 2014). ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს უპირველესი საზრუნავი (Gnahore v. France, n. 40031/98, § 59, ECHR 2000-IX) და შესაძლებელია, თავისი შინაარსიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, გადანონოს მშობლების ინტერესი (Sahin v. Germany [GC], no. 30943/96, § 66, ECHR 2003-VIII). კერძოდ, კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, მშობელს არა აქვს ისეთი ღონისძიებების მოთხოვნის უფლება, რომელთა განხორციელებამ შესაძლებელია ზიანი მიაყენოს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას (Krasicki v. Poland, no. 17254/11, § 83, 15 April 2014, Scozzari and Giunta v. Italy [GC], nos. 39211/98 and 41963/98, § 169, ECHR 2000-VIII, and P., C. And S. v. The United Kingdom, no. 56547/00, § 177, ECHR 2002-VI).

28.2. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ერთ-ერთ საქმეში – „ნ. ნ და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ გაკეთებულ განმარტებაზე – ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა წარმოადგენდეს უმთავრეს განხილვის საგანს და, მისი ბუნებიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, შეიძლება, აჭარბებდეს მშობლების ინტერესებს“.

29. აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლოს

უსაფუძვლოდ მიაჩნია კასატორის მოსაზრება მოპასუხისათვის შვილების საზღვარგარეთ გაყვანისა და საზღვარგარეთის პასპორტის მიღებაზე თანხმობის გაცემის ნაწილში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვაზე უარის თქმის უკანონობასთან დაკავშირებით, ვინაიდან მიიჩნევს, რომ, სსსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, მოსარჩელემ ვერ შეძლო თავისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება და სასამართლოსთვის იმ მტკიცებულებების წარდგენა, რომლითაც დაარწმუნებდა სასამართლოს, რომ სურდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ბავშვებთან ერთად ერთი თვით დასასვენებლად წასვლა და, მისი მიზანი არ იყო იქ მუდმივად საცხოვრებლად გადასვლა.

30. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან. გასაჩივრებული გადაწყვეტილება სრულად შეესაბამება საკასაციო სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას. როგორც უკვე აღინიშნა, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრეცედენტული პრაქტიკის მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც, რაც ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. მართალია, საერთაშორისოდ აღიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს, თუმცა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტი თავადვე იძლევა ჩარევის ლეგიტიმური საფუძვლის დეფინიციას და განსაზღვრავს, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამონეულია დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით, ამასთან, ჩარევის სტანდარტად, გამოყენებულ უნდა იქნას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ცალსახადაა ასახული „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“ (მდრ. სუსგ №ას-1122-1078-2016, 2017 წლის 1 მარტის განჩინება). „სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის

უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასთან და საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებული თითოეული საქმის განხილვისა და ინდივიდუალური შეფასებისას, რათა ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, იქ, სადაც საქმე ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მშობლისა და ბავშვის უფლებებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადაწყვეტილების მიღება (იხ. ელსჰოლცი გერმანიის წინააღმდეგ – Elsholz v. Germany, # 25735/94, 31.07.2000, par. 52 და TK და KM გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – TK and KM v. UK, №28945/95, 10.05.2001, par.72)“ – იხ. სუსგ №ას-967-916-2015, 15.12.2015).

31. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის სხვა ქვეპუნქტებით დადგენილი საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებიც, რომელთა მიხედვითაც, საკასაციო საჩივარი დასაშვები იქნებოდა (იხ: სუსგ. №ას-604-563-2017, 13.10.2017; №ას-1141-1061-2017, 17.10.2017).

32. საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

33. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს დასკვნები არსებითად სწორია. რადგანაც კასატორმა ვერ დაძლია გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება დამაჯერებელი და სარწმუნო მტკიცებულებებით, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის კანონისმიერი საფუძველი. ამდენად, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას მოსარჩელის საკასაციო საჩივარი, რის გამოც მის საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

34. სსსკ-ის 401.4 მუხლის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 7.2, 257.1-ე, 264.3, 391-ე მუხლებით, 401-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და

დაადგინა:

1. ო. ტ-ს საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. კასატორ ო. ტ-ს (....) დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე ლ. ა-ის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 300 ლარის (საგადახდო დავალება №3, გადახდის თარიღი 22.08.2017), 70% – 210 ლარი;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. საალიმენტო მოვალეობანი

ალიმენტის დაკისრება

ბანჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1194-1154-2016

31 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება, ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. დ-ეს (შემდეგში: მოსარჩელე, ბავშვების დედა) და დ. დ-ეს (შემდეგში: მოპასუხე, ბავშვების მამა, აპელანტი ან კასატორი) შორის 2015 წლის მარტიდან საქორწინო ურთიერთობა ფაქტიურად შეწყვეტილია. მხარეები ცალ-ცალკე ცხოვრობენ;

2. მოსარჩელე შრომისუნარიანია. იგი არასრულწლოვან შვილებთან – ა. (დაბადებული: 2001 წლის 8 ივლისს და თ. (დაბადებული: 2003 წლის 22 აპრილს) დ-ებთან ერთად ცხოვრობს და ქირავებულ ბინაში, სადაც ყოველთვიურად, ქირას 200 (ორასი) ლარს იხდის.

3. სარჩელის საფუძვლები

3.1. ბავშვების დედამ 2015 წლის 15 ოქტომბერს სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა:

3.1.1. ამ უკანასკნელთან 2001 წლის 2 ივლისს რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტა;

3.1.2. სარჩელის აღძვრიდან ბავშვების სრულწლოვანებამდე ან სხვა გარემოებების შეცვლამდე, არასრულწლოვანი შვილების – თითოეულის სასარგებლოდ, ალიმენტის – 500 (ხუთასი) ლარის დაკისრება მოპასუხისათვის.

3.2. მოსარჩელემ სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლად მიუთითა, რომ მხარეთა შორის დაძაბული ურთიერთობაა, 2015 წლიდან ფაქტობრივად შეწყვეტილია ქორწინება, მხარეთა თანაცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია. მოპასუხე სამწარმოო საქმიანობას ეწევა, სტაბილური შემოსავალი აქვს და ევალება ბავშვებზე ზრუნვა, მათ რჩენა-აღზრდაში მონაწილეობა.

4. მოპასუხის შესაგებელი

4.1. მოპასუხემ არ ცნო სარჩელი ქორწინების შეწყვეტის მოთხოვნის ნაწილში, რადგან მიაჩნია, რომ ოჯახის შენარჩუნება შესაძლებელია და მას სურს ბავშვებთან და მოსარჩელესთან ერთ ოჯახად ცხოვრება;

4.2. არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ აღიმენტის დადგენას მოპასუხე ნაწილობრივ დაეთანხმა, კერძოდ – თითოეული ბავშვის სასარგებლოდ 50-50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. მან განმარტა, რომ მისი თვითონ შემოსავალი არ აღემატება 150-160 ლარს, შესაბამისად, ვერ გადაიხდის სარჩელით მოთხოვნილ თანხას, იგი არ არიდებს და მონაწილეობს ბავშვების აღზრდაში.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

5.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი;

5.1.1. მოსარჩელესა (ქორწინებამდელი გვარი „მ. ე“, დაბადებული 1982 წლის 3 მაისი, პირადი №3..) და მოპასუხეს (დაბადებული 1976 წლის 22 დეკემბერს, პირადი №2..) შორის 2001 წლის 2 ივლისს რეგისტრირებული (ქორწინების მონობა №0.., სააქტო ჩანაწერი №5) ქორწინება შეწყდა;

5.1.2. მოპასუხეს არასრულწლოვანი შვილების – თითოეულის სასარგებლოდ, აღიმენტის სახით, ყოველთვიურად 120 (ას ოცი) ლარის გადახდა დაეკისრა სარჩელის აღძვრიდან (2015 წლის 15 ოქტომბრიდან) მათი სრულწლოვანი ასაკის მიღწევამდე ან სხვა გარემოებების შეცვლამდე.

5.2. საქალაქო სასამართლომ წინამდებარე განჩინების 1-2 პუნქტებში მითითებულ გარემოებებთან ერთად, დაადგინა, რომ მოპასუხე ცხოვრობს დედასთან ერთად, მისამართზე ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა, გ-ას ქ. ნაკვეთი №... იგი რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მენარმედ; დასაქმებულია ე.წ. ელიავას ბაზრობაზე, აქვს სავაჭრო ობიექტი. გარდა ამისა, არის ხელოსანი და პერიოდულად ასრულებს სამშენებლო და მოსაპირკეთებელ სამუშაოებს, საიდანაც აქვს გარკვეული ოდენობის შემოსავალი.

5.3. 2013 წლის განმავლობაში მოპასუხის საშუალო შემოსავალმა ყოველთვიურად შეადგინა 135.02 (ას ოცდათხუთმეტი ლარი და ორი თეთრი) ლარი; ხოლო 2014 წელს – ყოველთვიურად 295.81 (ორას ოთხმოცდათხუთმეტი და ოთხმოცდაერთი) ლარი.

5.4. მოსარჩელე დასაქმებული არ არის და სტაბილური შემოსავალი არ გააჩნია. მოპასუხეს არ წარუდგენია სათანადო მტკიცებულება, რაც მოსარჩელის დასაქმებისა და მატერიალური შემოსავლის მიღებას (ყოველთვიურად 1000-1500 ლარის ოდენობით) დაადასტურებდა.

5.5. წყვილის ერთ ოჯახად ცხოვრება და მათი ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია; მხარეები ცხოვრობენ ცალ-ცალკე და მათ შორის დაძაბული ურთიერთობაა. სასამართლოში საქმის განხილვის მიმდინარეობისას მხარეთა შერიგების ვარაუდი არ გამოკვეთილა. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ მოპასუხე შეეცადა ოჯახის შენარჩუნების მიზნით ურთიერთობის აღდგენას, მოსარჩელემ სასამართლო სხდომაზე ისევ დაუჭირა მხარი სასარჩელო მოთხოვნას მოპასუხესთან ქორწინების შეწყვეტის შესახებ და უარი განაცხადა მოპასუხესთან ერთ ოჯახად ცხოვრებაზე.

5.6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 1122-ე მუხლის თანახმად, ქორწინება წყდება განქორწინებით. წყვილი რეგისტრირებულ საქორწინო ურთიერთობაშია 2001 წლის 2 ივლისიდან. სსკ-ის 1127-ე მუხლის თანახმად, განქორწინების საქმეებს სასამართლო განიხილავს სასარჩელო წარმოების წესით, რომელიც დადგენილია საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო (შემდეგში: სსსკ) კოდექსით. სასამართლო იღებს ზომებს მეუღლეთა შესარიგებლად; მას უფლება აქვს, გადადოს საქმის განხილვა და მეუღლეებს დაუნიშნოს ვადა შესარიგებლად, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს. განქორწინება მოხდება, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მეუღლეთა შემდგომი ერთად ცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია, მიუხედავად შესარიგებლად მიღებული ზომებისა.

5.7. სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელის თაობაზე შესაგებელი მოპასუხემ წარადგინა 2016 წლის 08 იანვარს და სასამართლოს მთავარ სხდომაზე, იმავე წლის 28 აპრილს, მოსარჩელემ მხარი დაუჭირა სარჩელს. შესაბამისად, რამდენიმე თვის მანძილზე მხარეები ვერ შეთანხმდნენ ოჯახის შენარჩუნების თაობაზე და მოსარჩელის პოზიცია განქორწინების საკითხის მიმართ არ შეცვლილა.

5.8. სასამართლომ განმარტა, რომ ქორწინება მხოლოდ თავისუფალ ნებას (სსკ-ის 1106-ე მუხლი) უნდა ეფუძნებოდეს. საქმეში არ არის წარდგენილი მტკიცებულება, რაც მოპასუხის განმარტებას მხარეთა შორის ოჯახის შენარჩუნების შესაძლებლობის თაობაზე დაადასტურებდა. მხარეები ცხოვრობენ ცალ-

ცალკე 2015 წლის მარტის შემდეგ და ქორწინება მათ შორის ფაქტობრივად შეწყვეტილია აღნიშნული პერიოდის განმავლობაში. მართალია, მოპასუხე მიუთითებს მოსარჩელესთან საქორწინო ურთიერთობის შენარჩუნების შესაძლებლობაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მოსარჩელის ნება, სურვილი მოპასუხესთან ოჯახის შენარჩუნებისა. სასამართლოს შეფასებით, შესარიგებელი ვადის მიცემა მხარეთათვის შედეგს ვერ გამოიღებდა, ვინაიდან მოსარჩელე გამორიცხავდა ოჯახის აღდგენის შესაძლებლობას. შესაბამისად, სასამართლომ შეუძლებლად მიიჩნია მხარეთა შორის ოჯახური ცხოვრების აღდგენა.

5.9. ქორწინება დაფუძნებულია ნებაყოფლობითობის პრინციპზე და საოჯახო სამართალი განამტკიცებს განქორწინების თავისუფლების პრინციპს. საქორწინო ურთიერთობის ერთ-ერთ მხარეს, მოსარჩელეს არ აქვს ოჯახის შენარჩუნების სურვილი და მხოლოდ მოპასუხის სურვილი მოსარჩელესთან საქორწინო ურთიერთობაში ყოფნისა, არ არის საკმარისი ოჯახის შესანარჩუნებლად. ამდენად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ვინაიდან მხარეთა თანაცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია, სარჩელი განქორწინების შესახებ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

5.10. არასრულწლოვან შვილთა სასარგებლოდ მოპასუხისათვის ალიმენტის დაკისრებაზე მსჯელობისას, სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 1212-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ.

5.11. სსკ-ის 1213-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანი ან სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილებისათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობას განსაზღვრავენ მშობლები ურთიერთშეთანხმებით. წყვილი არ ცხოვრობს ერთ ოჯახად და არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელი ადგილი არის დედის – მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილი. სსკ-ის 1214-ე მუხლის მიხედვით, თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს, როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას.

5.12. კანონის ზემოხსენებული დანაწესი ადგენს მშობელთა ვალდებულებას, უზრუნველყონ თავიანთი შვილების მატერიალური კეთილდღეობა. აღნიშნული მიზნით მშობლები თანხმდებიან შვილის სარჩენად განკუთვნილი ალიმენტის ოდენობის შესახებ, თუმცა, მითითებული შეთანხმების მიუღწევლობისას გადანყვეტილებას ალიმენტის მოცულობის თაობაზე მიიღებს სასამართლო. კანონმდებელი არასრულწლოვანის რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელი ხარჯების ზღვრულ ოდენობას არ ითვალისწინებს და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ალიმენტის მოცულობა დაადგინოს ისეთი გარემოებების ობიექტურად და სამართლიანად შეფასების შედეგად, როგორცაა მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, სარჩენი ბავშვის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი საქროებანი, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი და სხვა.

5.13. სასამართლო შვილების სასარგებლოდ გადასახდელი თანხის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში იღებს როგორც შვილის, ისე მშობლის მატერიალურ და ოჯახურ მდგომარეობას. გასათვალისწინებელია, როგორც არასრულწლოვანი შვილების უფლება მიიღონ მშობლისაგან ალიმენტი, ასევე ის სამართლებრივი დანაწესი, რომ ორივე მშობელი თანაბრადაა ვალდებული იზრუნოს არასრულწლოვან შვილებზე.

5.14. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე თანახმა იყო, თითოეული არასრულწლოვანისათვის ყოველთვიური ალიმენტის სახით 50 (ორმოცდაათი) ლარი გადაეხადა. მოსარჩელეს არ წარუდგენია მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა თითოეული ბავშვისათვის ყოველთვიურად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის ხარჯის აუცილებლობას. მას არც ისეთი გარემოებანი მიუთითებია, რომელიც მოპასუხისათვის თანხის ამ ოდენობით დაკისრების აუცილებლობაში დაარწმუნებდა სასამართლოს.

5.15. სასამართლომ განმარტა, რომ იზიარებდა მშობელთა მხრიდან ბავშვზე მაქსიმალური ზრუნვის დანაწესს, თუმცა, ასეთი ზრუნვა უნდა განსაზღვრულიყო მშობელთა მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით. სასამართლოს შეფასებით, დადგენილია, რომ ორივე მშობელი შრომისუნარიანია. საქმეში არ არის წარდგენილი მტკიცებულება, რაც მოსარჩელის დასაქმებისა და მატერიალური შემოსავლის მიღებას დაადასტურებდა; მოპასუხე დასაქმებულია, იგი რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მენარმედ და ეწევა სამენარმეო საქმიანობას, კერძოდ, აქვს სავაჭრო ობიექტი და ვაჭრობს. ამას-

თან, იგი არის ხელოსანი და გარკვეული პერიოდულობით ასრულებს სამშენებლო და მოსაპირკეთებელ სამუშაოებს.

5.16. ორივე მშობლის შრომისუნარიანობა მიუთითებდა იმაზე, რომ მხარეებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ შვილების მატერიალურ უზრუნველყოფაში. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ ბავშვების დედა არასრულწლოვან შვილებთან ერთად ცხოვრობს ქირით და ყოველთვიურად იხდის ქირას. ამასთან, არასრულწლოვანის აღზრდისათვის, ასაკთან შესაბამისი საჭირო პირობები (არასრულწლოვანი ბავშვები დადიან საჯარო სკოლაში) ბავშვებისთვის აუცილებელ ყოველთვიურ ხარჯს ზრდის.

5.17. „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, – სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები – უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია.

5.18. 1966 წლის 16 დეკემბრის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, საერთაშორისო პაქტის (საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან) 23-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი დაქორწინების, ქორწინებაში ყოფნისა და განქორწინების დროს მეუღლეთა თანასწორი უფლებებისა და მოვალეობების უზრუნველსაყოფად. განქორწინების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის საჭირო დაცვა.

5.19. სასამართლომ განმარტა, რომ მხედველობაში იღებს სახელმწიფოში არსებულ საარსებო მინიმუმის ოდენობას (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 2015 წლის ოქტომბრის თვისათვის 144.7 ლარს, ნოემბრის თვისთვის 146.8

ლარს, დეკემბრის თვისთვის 143.9 ლარს, 2016 წლის იანვრის თვისათვის 145.5 ლარს, 2016 წლის თებერვლის თვისათვის 144.5 ლარს და 2016 წლის მარტის თვისათვის 143.2 ლარს (http://www.geostat.ge/?action=page&p_id=178&lang=geo, გამომშობის თარიღი 28.04.2016წ). სასამართლოს შეფასებით, ორივე მშობელმა, სულ მცირე, საარსებო მინიმუმით უნდა უზრუნველყონ არასრულწლოვანი, და ეს ვალდებულება თანაბრად გაიყონ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყანაში არსებული საშუალო მომხმარებლისათვის დადგენილი საარსებო მინიმუმის განსაზღვრული ოდენობიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში არასრულწლოვანი ბავშვების სასარგებლოდ მოპასუხის მხრიდან გადასახდელი ალიმენტის ოდენობა სასამართლომ განსაზღვრა თითოეულისათვის 120 (ას ოცი) ლარით.

5.20 სსკ-ის 1234-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, იმ პირს, რომელსაც აქვს ალიმენტის მოთხოვნის უფლება, კანონით დადგენილი წესით, ამ უფლების დაკარგვამდე, ნებისმიერ დროს შეუძლია სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს ალიმენტის გადახდევინება, მიუხედავად ვადისა, რომელიც გასულია ალიმენტის მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროიდან. ალიმენტის გადახდის დაკისრება ხდება სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტიდან შემდგომი პერიოდის განმავლობაში.

6. მოპასუხის სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

6.1. მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება როგორც განქორწინების, ისე მისთვის დაკისრებული ალიმენტის ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოითხოვა სარჩელის უარყოფა შემდეგ პრეტენზიებზე დაყრდნობით:

6.1.1. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მხარეთა ერთად ცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია. ასეთი დასკვნა ნაჩქარევია და გამოტანილია საფუძვლიანი გამოკვლევის გარეშე. სასამართლოს შეეძლო მხარეთათვის განესაზღვრა შესარიგებელი ვადა, რაც შედეგს აუცილებლად გამოიღებდა;

6.1.2. ალიმენტის დაკისრებისას სასამართლომ არ გაითვალისწინა მოპასუხის ამჟამინდელი მატერიალური მდგომარეობა. მამა ისედაც ეხმარება ბავშვებს, თუმცა, ფიქსირებული 240 ლარის გადახდას იგი ვერ შეძლებს და ამით ისევ ბავშვები დაზარალდებიან. ასეთი მიდგომით მოპასუხე გადახდისუუნარო გახდება;

6.1.3. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. კერძოდ, სსკ-ის 1127-ე მუხლის მეორე ნაწილი.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

7.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ნოემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოპასუხის სააპელაციო საჩივარი და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

7.2. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასება და მიუთითა მათზე (სსსკ-ის 390.3 „გ“ ქვეპუნქტი).

7.3. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტს სადავოდ არ გაუზნია ის დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ამ განჩინების მე-2 პუნქტსა და 5.2.-5.5 ქვეპუნქტებშია მითითებული.

7.4. სააპელაციო პრეტენზიის პასუხად, რომ საქალაქო სასამართლომ მეუღლეებს არ განუსაზღვრა შესარიგებელი ვადა, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საკმარისი დრო იყო გასული როგორც სარჩელის აღძვრის, ასევე სააპელაციო საჩივრის წარდგენის მომენტიდან და ამ დროშიც არ მომხდარა მეუღლეთა შერიგება და ოჯახური ურთიერთობის აღდგენა. კერძოდ, საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ სარჩელი აღძრულია 15.10.2015წ, ხოლო სააპელაციო საჩივარი – 10.06.2016წ. თავის მხრივ, მოსარჩელე გამორიცხავდა ოჯახის აღდგენის შესაძლებლობას და მოითხოვდა განქორწინებას (იხ. სარჩელი; შესაგებელი სააპელაციო საჩივარზე). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ოჯახის აღდგენა შეუძლებელია.

7.5. მოპასუხისათვის დაკისრებული აღიმენტის ნაწილში სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილება არასრულწლოვანი ბავშვების ასაკის და ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის არსებული მოთხოვნილებების გათვალისწინებით და გონივრულად მიიჩნია მოპასუხისათვის დაკისრებული აღიმენტის ოდენობა.

7.6. განჩინების სამართლებრივი მოტივაციისას სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სსკ-ის 1106-ე მუხლი, 1122-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, 1127-ე მუხლი, 1198-ე მუხლის პირველი ნაწილი, 1212-ე მუხლი. ასევე, „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ პრეამბულაზე მითითებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ აღიარებულია: ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემო-

ში, ბედნიერების, სიყვარულის და ურთიერთგაგების ატმოსფეროში. ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმნიფებლობის გამო ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ. კონვენციის 27-ე მუხლით აღიარებულია ყოველი ბავშვის უფლება, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის. მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის სხვა აღმზრდელებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა, თავისი უნარისა და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები.

7.7. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის და ზემოსხენებული კონვენციის მიხედვით, საოჯახოსამართლებრივ ურთიერთობებში უპირატესი ყურადღება ეთმობა ბავშვის უფლების სათანადოდ დაცვას. შესაბამისად, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას უპირატესია ბავშვის უფლება, მიიღოს ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელი მატერიალური სახსრები. დასახელებული კონვენციის მიხედვით ბავშვისათვის ნორმალური განვითარების პირობების შექმნის ძირითადი ვალდებულება ეკისრებათ მშობლებს. ალიმენტის გადახდევინება მიზნად ისახავს ბავშვის ინტერესების დაცვას, მისთვის ძირითადი საარსებო პირობების შექმნას და თუ ეს შესაძლებელია, ცხოვრების იმ დონის შენარჩუნებასაც, რომელიც მას ექნებოდა მშობლების ნორმალური ურთიერთობის პირობებში. ალიმენტის ოდენობა განისაზღვრება გონივრული და სამართლიანი შეფასების საფუძველზე. კანონმდებლობით განსაზღვრულია მშობელთა ვალდებულება არჩინონ თავიანთი შვილები და ამ ვალდებულების არსებობა არ შეიძლება დამოკიდებული იყოს მხოლოდ მშობლის ფინანსურ მდგომარეობაზე.

7.8. სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ბავშვების ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის არსებული მოთხოვნილებების, ასევე მშობლების და შვილების რეალური მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, არ არსებობდა დაკისრებული ალიმენტის შემცირების, შესაბამისად – სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

8. მოპასუხის საკასაციო საჩივარი

8.1. მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგ პრეტენზიებზე მითითებით:

8.1.1. სასამართლომ არასწორად გამოიკვლია ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, მოსარჩელე დიდი ხანია ქირით აღარ ცხოვრობს და დაგირავებული აქვს ბინა;

8.1.2. სასამართლოს არ გამოუკვლევია რა ოდენობის შემოსავალი ჰქონდა მოპასუხეს 2015-2016 წლებში;

8.1.3. არასწორია დასკვნა, რომ მოსარჩელე დასაქმებული არ არის და სტაბილური შემოსავალი არ გააჩნია, რადგან ასე რომ არ იყოს, იგი ვერ შეძლებდა ბინის დაგირავებას, ასევე – ბავშვების რჩენას (თუ კასატორი არ ეხმარება).

9. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

9.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 23 იანვრის განჩინებით მოპასუხის საკასაციო განაცხადი წარმოებაშია მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, ამიტომ იგი დაუშვებელია, შემდეგი არგუმენტაციით:

10. სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

11. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემომითითებული საფუძვლით.

12. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკისაგან (იხ. სუსგ-ები №ას-303-290-2015, 13.05.2015წ; №ას- 1191-1121-2015, 22.01.2016წ).

13. საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

14. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარი დასაშვები რომც ყოფილიყო, მას არა აქვს წარმატების პერსპექტივა შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი საკასაციო საჩივრების დასაშვებობის წინაპირობაც, რომლის მიხედვითაც, საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ბ) სსსკ-ის 407.2 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორს ასეთი პრეტენზია არ წარმოუდგენია.

15. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ უდავოა ბავშვის ინტერესის დაცვის პრიორიტეტი, რომელიც სამართლით

დაცულ სიკეთეთა შორის, უპირატესი და აღმატებული ღირებულებაა. კასატორის პრეტენზია დაუსაბუთებელია რადგან, ალიმენტის დადგენის შემდეგ, სსკ-ის 1215-ე და 1221-ე მუხლები, ალიმენტგაღებული პირის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მისი შეცვლის შესაძლებლობას იძლევა სათანადო გარემოებების დამტკიცების შემთხვევაში. „სასამართლოს მიერ განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა არ არის მუდმივი ხასიათის. კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს სასამართლო გადაწყვეტილებით ალიმენტის ოდენობის შემცირებას ან პირიქით, მის გაზრდას, ხოლო ამის საფუძველად განიხილავს ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლას. მნიშვნელოვანია, განიმარტოს, რას გულისხმობს ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნულში იგულისხმება ალიმენტის დაკისრების შემდეგ ისეთი ახალი გარემოებების წარმოშობა, რომლებიც აშკარა გავლენას ახდენენ ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის მატერიალურ და ოჯახურ მდგომარეობაზე, მაგალითად, შემოსავლების შემცირება, კმაყოფიზე მყოფი პირების რაოდენობის გაზრდა ან შემცირება და სხვა. შემოსავლების შემცირებისა და კმაყოფიზე მყოფი პირების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში შესაძლებელია, ადრე განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა შემცირდეს, ხოლო კმაყოფიზე მყოფი პირების რაოდენობის შემცირების შემთხვევაში შესაძლებელია, ალიმენტი გაიზარდოს“ (სუსგ №ას-303-290-2015, 13.05.2015წ; შდრ. სუსგ №ას-1191-1121-2015, 22.01.2016წ).

16. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის ზოგადი შინაარსის პრეტენზიებს, რადგან მტკიცების ტვირთის ფარგლებში, მოპასუხეს არ წარუდგენია სასამართლოსათვის არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, მის შემოსავალს 2015-16 წლებში. კასატორის პრეტენზია, რომ მოსარჩელეს ბინა აქვს დაგირავებული, სამართლებრივად ვერ ცვლის მოპასუხის ვალდებულებას, მონაწილეობა მიიღოს ბავშვების რჩენა-აღზრდაში, რადგან მოსარჩელეს დაქირავებული ექნება თუ დაგირავებული ბინა, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს დავის გადასაწყვეტად. აღნიშნული ფაქტის გაზიარების შემთხვევაშიც კი, ეს ვერ გამოდგება მოსარჩელის სტაბილური შემოსავლის დასამტკიცებლად.

17. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, ამასთან, მიაჩნია, რომ დავის გადასაწყვეტად და იურიდიული კვალიფიკაციის მისანიჭებ-

ლად სამართლებრივად მნიშვნელოვანი ყველა ფაქტობრივი გარემოება აქვს დადგენილი სააპელაციო სასამართლოს, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების სსსკ-ის 412-ე მუხლით დადგენილი საფუძველი. მოპასუხის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

18. სსსკ-ის 401-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება ცნობილი, პირს დაუბრუნდება, მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 391-ე, 401-ე, 408.3 მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. დ. დ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. დ. დ-ეს (პ/ნ 2..) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის (სადახდო დავალება №12, გადახდის თარიღი 2017 წლის 16 იანვარი), 70% – 210 (ორას ათი) ლარი;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ალიმენტის დაკისრება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-263-251-2017

23 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი სა-
ფუძვლები:

1.1. მ. ა-ემ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტის მონინა-
აღმდეგე მხარე ან კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში
ბ. შ-ის (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი ან კასატორის მონი-
ნააღმდეგე მხარე) მიმართ არასრულწლოვანი შვილის – მ-ას სა-
სარგებლოდ ალიმენტის – ყოველთვიურად 500 ლარის, ასევე,
წარსული დროის ალიმენტის – 18 000 ლარის მოპასუხისათვის
დაკისრების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:
მოსარჩელე 2007 წლის 6 იანვარს დაქორწინდა ბ. შ-ეზე, მხარე-
თა ქორწინება შეწყდა 2008 წლის 15 იანვარს. ქორწინების პე-
რიოდში, 2007 წლის 22 სექტემბერს დაიბადა მათი საერთო შვი-
ლი, მ-ა, რომლის მამად რეგისტრაციაზეც მოპასუხემ განაცხა-
და უარი, რის გამოც, არასრულწლოვანს მიენიჭა დედის გვარი.
მოპასუხე არც შემდგომში აღიარებდა ბავშვის მამობას და მო-
ითხოვდა ამ ფაქტის დამტკიცებას, რისი მატერიალური სახსრე-
ბიც მოსარჩელეს არ გააჩნდა. მოსარჩელე ბავშვს ზრდიდა მარ-
ტო და მისთვის ნორმალური ცხოვრების პირობების შესაქმნე-
ლად მუშაობდა თავდაუზოგავად, ყოველთვის, როდესაც მატე-
რიალური დახმარების თხოვნით მიმართავდა მოსარჩელე, მო-
პასუხის ოჯახი მოითხოვდა დნმ-ის დასკვნას, რაც მორალუ-
რად რთული გადასატანი იყო. ასაკის მატებასთან ერთად, გაი-
ზარდა არასრულწლოვნის მოთხოვნილებები, საჭიროებს განათ-
ლებას, რომელსაც დღემდე მოსარჩელე უზრუნველყოფს. მას
შემდეგ, რაც მ-ას გაუჩნდა კითხვები მამის შესახებ, მოსარჩე-

ლემ გადაწყვიტა, ჩაეტარებინა გენეტიკური ანალიზი, თუმცა, მამამ უარი განაცხადა მასზე, მაგრამ, როგორც კი გაიგო სარჩელის აღძვრის შესახებ, მოსარჩელეს სთხოვა სარჩელის გამოხმობა და ნებაყოფლობით აღიარა მამობა, მაგრამ შვილის რჩენაში მონაწილეობის მიღება არ სურს იმ მოტივით, რომ არ აქვს საკმარისი მატერიალური სახსრები, რაც არასწორია, რადგანაც იგი რეგისტრირებულია ინდ. მენარმედ, არის ცნობილი სტილისტი და ფლობს სილამაზის სალონს ქ. ქუთაისში, ნ-ის №...-ში, გარდა ამისა, მოპასუხეს საკუთრებაში აქვს სხვა უძრავი ქონებაც.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ, ყოველთვიურად ალიმენტის სახით 100 ლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში ცნო და განმარტა, რომ მართალია, მის სახელზე რეგისტრირებულია სილამაზის სალონი, მაგრამ პირადად მუშაობა არ შეუძლია, რადგან არის მეორე ჯგუფის ინვალიდი, სალონის შემოსავალი კი – მცირეა. მოპასუხე აქტიურად მონაწილეობს არასრულწლოვნის რჩენა-აღზრდაში, იხდის სწავლისა თუ მკურნალობის ხარჯებს, გარდა ამისა, ჰყავს საკუთარი ოჯახი, მეუღლე და ორი შვილი, ელოდება მესამეს, გააჩნია ბანკის წინაშე საკრედიტო ვალდებულებები და ვინაიდან დაავადებულია, ესაჭიროება სოლიდური თანხა თირკმლის გადასაწერგად.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს 2007 წლის 22 სექტემბერს დაბადებული შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 300 ლარის ოდენობით, სარჩელის აღძვრის მომენტიდან — 2016 წლის 27 აპრილიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე, მასვე დაეკისრა წარსული დროის, ორი წლის ალიმენტის 7 200 ლარის გადახდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ალიმენტის სახით ყოველთვიურად 100 ლარის, ხოლო წარსული პერიოდის ალიმენტის დაკისრებაზე უარის თქმა მოითხოვა.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპე-

ლაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებულნი გადაწყვეტილება ორი წლის ალიმენტის – 7 200 ლარის დაკისრების ნაწილში გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით ამ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა წარსული პერიოდის ალიმენტის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ნორმის მე-2 ნაწილის გთავაზობს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, თუ რა განიხილება სამართლის ნორმის დარღვევად, მათ შორისაა სასამართლოს მიერ მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის არასწორი განმარტება.

1.2. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარსული პერიოდის ალიმენტის დაკისრებაზე უარის თქმის კანონიერება წარმოადგენს. სააპელაციო პალატამ სარჩელის ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა დაასაბუთა იმით, რომ არასრულწლოვნის მამობა მოპასუხემ აღიარა 2016 წლის 18 აპრილს და სარჩელი სასამართლოში ამ ფაქტის დადგენიდან 9 დღეშია აღძრული, შეაბამისად, ალიმენტვალდებული პირის ვალდებულება, გადაუხადოს არასრულწლოვან შვილს ალიმენტი, ამ პერიოდიდან წარმოიშვა, ხოლო წარსული ორი წლის ალიმენტის ანაზღაურების ნაწილში არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობა.

1.3. კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებს და პრეტენზიას აცხადებს სამართლის ნორმების (სკ-ის 317-ე და 1234 (2) მუხლების) არასწორ განმარტებაზე, ასევე, სააპელაციო პალატის მხრიდან იმ გარემოების შე-

უფასებლობაზე, მოითხოვდა თუ არა მოსარჩელე წარსულში ალიმენტის გადახდას.

1.4. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის ხსენებულ არ-გუმენტებს და მათი საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით ყუ-რადლებას გაამახვილებს რამდენიმე საკითხზე:

1.4.1. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის პრეამბუ-ლით, ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა დეკლარაციით დად-გენილია, რომ „ბავშვი, მისი ფიზიკური და გონებრივი სიმწიფის გამო საჭიროებს სპეციალურ დაცვას და ზრუნვას, მათ შორის სათანადო სამართლებრივ დაცვას, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ“. „სპეციალური დაცვის“ აუცილებელ ერთ-ერთ კომპონენტად კონვენცია განიხილავს არასრულწლოვნის სოციალურ უფლებას, რომელიც უდავოა, რომ ამავე კონვენცი-ით აღიარებულ „საუკეთესო ინტერესების“ ცნებაში მოიაზრე-ბა და კონვენციის მე-3 მუხლის (1) (2) თანახმად, აღიარებულია შემდეგი: ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხე-დავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკით-ხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სა-სამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგა-ნოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორიც საჭიროა მისი კეთილდღეო-ბისათვის, ამასთან ითვალისწინებენ მისი მშობლების, მეურვე-ების ან კანონით მისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უფ-ლებებსა და მოვალეობებს, და ამ მიზნით მიმართავენ ყველა შესაბამის საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომებს. არას-რულწლოვნის დაცვის (მათ შორის სოციალური) იმპლემენტა-ცია ეროვნულ დონეზე სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებშია ასახული, რომელთაგან ერთ-ერთს, სამოქალაქო კოდექსის 1212-ე-1238-ე მუხლები წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლი წარმოადგენს მშობელთა სოციალური ვალდებუ-ლების საკანონმდებლო დეკლარირებას და დადგენილია, რომ მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლო-ვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. ალიმენტი, სამართლებრივი თვალსაზ-რისით წარმოადგენს მინიმალურ მატერიალურ დაცვას იმ პი-რისა, რომელიც საჭიროებს ზრუნვას და სწორედ იმ გარემოე-ბიდან გამომდინარე, რომ ალიმენტის მიღების უფლების მქონე პირს არ შეუძლია დამოუკიდებლად მიაღწიოს იმ საარსებო აუ-ცილებლობის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, რომელიც მი-

სი განვითარების ინტერესს ემსახურება, კანონი აღჭურავს ფართო უფლებამოსილებით, ვალდებულ პირს მოსთხოვოს სარჩოს გადახდა, რომლის ნებაყოფლობით განუხორციელებლობის შემთხვევაში, მას სრული რესურსი გააჩნია, მიმართოს სამართლებრივი იძულების მექანიზმებს. სწორედ ამ გარემოებითაა ნაკარნახევი კანონმდებლის მიდგომა, რომ ალიმენტი, როგორც წესი, გადაიხდება მომავალი პერიოდისათვის, სარჩელის აღძვრის მომენტიდან, თუმცა, ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი, რის თაობაზეც ქვემოთ იმსჯელებს სასამართლო.

1.4.2. აქვე მიზანშეწონილია, ყურადღება გამახვილდეს განსახილველი საკითხის საპროცესო მხარეზეც: სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება, საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლიდან გამომდინარე, აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ზოგადპროცესუალური სტანდარტიდან გამომდინარე, მოთხოვნის წარმატებულობას თავად მხარე განაპირობებს, კერძოდ, იმის მიხედვით, თუ რამდენად შეძლებს იგი საკუთარი პოზიციის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებების წარდგენას, მისი წარმატების ხარისხიც მაღალია. ამ თვალსაზრისით საპროცესო სამართლისათვის აქსიომატურია 103-ე (1) მუხლის დებულება, რომლის მიხედვითაც მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები და მხოლოდ სათანადო წინაპირობების არსებობისას, დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე შეიძლება ჩაერიოს სასამართლო მტკიცების პროცესში (მაგ: 103.2, 136.5, 157-ე მუხლები), ამ სტანდარტისაგან განსხვავებულ მიდგომას ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი საოჯახო საქმეთა განხილვის მიმართ (სსკ-ის 352-ე მუხლი) და 354-ე (1) მუხლის ძალით სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.

1.5. პალატა არ იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ დასაბუთებას, რომ სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე, მოპასუხეს მამობის ნებაყოფლობით აღიარების შემდეგ წარმოეშვა კანონით გათვალისწინებული არასრულწლოვანი შვილის რჩენის ვალდებულება და განვლილი პერიოდის ალიმენტის დაკისრების წინაპირობები არ არსებობს.

1.6. განსახილველი დავის სწორად გადაწყვეტის მიზნით პალატა ყურადღებას გაამახვილებს ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილ, საკასაციო საჩივრით შეუდავებელ შემ-

დედ ფაქტობრივ გარემოებებზე (სსსკ-ს 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ ფაქტობრივ გარემოებებს წინამდებარე განწყვეტილების მიმართ სავალდებულო ძალა გააჩნიათ):

1.6.1. მ. ა-ე და ბ. შ-ე ქორწინებაში იმყოფებოდნენ 2007 წლის 6 იანვრიდან 2008 წლის 15 იანვრამდე. თანაცხოვრების პერიოდში, 2007 წლის 22 სექტემბერს შეეძინათ შვილი – მ-ა შ-ე, რომლის დაბადების სარეგისტრაციო ჩანაწერებში მამად რეგისტრირებულია ბ. შ-ე, მამობის აღიარების საფუძველზე 2016 წლის 18 აპრილს;

1.6.2. მ-ა შ-ე ცხოვრობს დედასთან ერთად და მთლიანად მის კმაყოფაზეა. მ. ა-ე ბ. შ-ეს შვილის რჩენისათვის სთხოვდა დახმარებას, რაც დადასტურებულია სოციალურ ქსელში მიმონერებით. მან სასამართლოსაც მიმართა სარჩელითაც, თუმცა, მოპასუხის თხოვნით, რომელმაც აღუთქვა დახმარება, გაითხოვა სარჩელი. მიუხედავად ამისა, ბ. შ-ეს შვილისათვის ფინანსური დახმარება არ გაუწევია;

1.6.3. ბ. შ-ის საკუთრებაში რეგისტრირებულია უძრავი ქონებები მდებარე, ქ. ქუთაისში ნ-ის ქ.№...-სა და ეგ. ნ-ის მეშვიდე ჩიხის №...-ში, ასევე, სილამაზის სალონი, მდებარე ქ. ქუთაისში ნ-ის ქ.№29-ში, სახელწოდებით „ბ-ლ“;

1.6.4. მოპასუხე ბავშვობიდან ინვალიდია და ეს სტატუსი მიიწეებული აქვს უვადოდ. ჰყავს მეუღლე და სამი მცირეწლოვანი შვილი, რომელთაც არიან მის კმაყოფაზე.

1.6.5. ბ. შ-ის ერთობლივმა შემოსავალმა 2013-2015 წლებში შეადგინა 109 808 ლარი. მას დადებული აქვს საკრედიტო ხელშეკრულება საბანკო დაწესებულებასთან. სს „პ-იდან“ 2011 წელს კრედიტის სახით მიღებული ჰქონდა 106 900 აშშ დოლარის ოდენობით კრედიტი, რაც 2011 წლის 27 ოქტომბრიდან 2013 წლის 27 მაისამდე დაფარულ იქნა საპროცენტო სარგებელთან ერთად და 2013 წლის 27 მაისისათვის მისი დავალიანება შეადგენდა მხოლოდ 250,82 აშშ დოლარს. 2013 წლის 20 ივნისს სს „თ-იდან“ კრედიტის სახით მიღებული 144 000 აშშ დოლარი 2016 წლის 5 აპრილისათვის სრულად იქნა დაფარული საპროცენტო სარგებელთან ერთად. საბანკო დაწესებულებაში მოპასუხემ მთლიანობაში გადაიხადა 185 618,85 აშშ დოლარი;

1.6.6. 2016 წლის 9 ნოემბერს გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობით (ფორმა №100/ა) ირკვევა, რომ ბ. შ-ეს აქვს თირკმლის ქრონიკული დაავადება, მე-3 სტადია, საჭიროებს ნეფროლოგის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნას, დანიშნულების გაგრძელებას, ლაბორატორიული მონაცემების გეგმიურ მონიტორინგს, მომავალში თირკმლის ტრანსპლანტა-

ციას, თუმცა, ამ დაავადებას შემოსავლის მიღებაზე გავლენა არ მოუხდენია და არც ის გარემოება დასტურდება, რომ მოპასუხე ამჟამად საჭიროებს თირკმლის ტრანსპლანტაციასთან დაკავშირებით აუცილებელ ხარჯებს (ამ უკანასკნელ გარემოებასთან დაკავშირებით პალატა არ იზიარებს კასატორის მითითებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის დარღვევაზე, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, საოჯახო საქმეთა განხილვა ინკვიზიციურობის პრინციპით ხასიათდება (იხ. სამოტივაციო ნაწილის 1.4.2. პუნქტი) და სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლის კონტექსტში, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის მიზნით, ასევე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მოპასუხე სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილ შესაგებელშიც მიუთითებდა, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია დასაშვებ მტკიცებულებად (09.11.2016წ. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ).

1.7. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ალიმენტის ყოველთვიურ ოდენობას – 300 ლარს მოპასუხე არ შეეძლება, ამ ნაწილში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-2 ნაწილის თანახმად, გადანყვეტილება შესული კანონიერ ძალაში და დამატებით შეფასებას აღარ საჭიროებს, შესაბამისად, სასამართლო მიუბრუნდება მთავარ საკითხს – ეკისრება თუ არა მოპასუხეს ალიმენტის გადახდა არასრულწლოვანი შვილის მიმართ მამობის ფაქტის ნებაყოფლობით აღიარებამდე. საკითხის საკანონმდებლო რეგულაციას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 1234-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც, ალიმენტის გადახდის დაკისრება ხდება მხოლოდ მომავალი დროისათვის სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტიდან. წარსული დროის ალიმენტი შეიძლება გადახდევინებულ იქნეს სამი წლის ფარგლებში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელის წარდგენამდე მიღებული იყო ზომები სარჩოს მისაღებად, მაგრამ ალიმენტი არ იქნა მიღებული იმის გამო, რომ ვალდებული პირი თავს არიდებდა მის გადახდას. ალიმენტის სოციალური დანიშნულებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა უარყოფს გასაჩივრებული გადანყვეტილების დასკვნას, რომ მამობის ფაქტის ოფიციალური წესით რეგისტრაცია წარმოუშობს მშობელს სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლით გათვალისწინებულ რჩენის ვალდებულებას და დამატებით მოიხმობს მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას: ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ არ გა-

იზიარა ალიმენტვალდებული პირის პოზიცია, რომ არ არსებობდა წარსული პერიოდის ალიმენტის დაკისრების წინაპირობა, რადგანაც მამობის ფაქტი ამავე სარჩელის განხილვის შედეგად დადგინდა, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, მშობლების უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძველია შვილის წარმომავლობა და არა ამ წარმომავლობის ფაქტის დამონშება. მშობლის უფლება-მოვალეობები შვილის მიმართ წარმოიშობა ბავშვის დაბადებიდან და არა იმ მომენტიდან, როცა მამობა სასამართლო წესით იქნა დადგენილი (იხ. სუსგ №ას-2-2-2011, 31 მაისი, 2011 წელი).

1.8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარსული დროის ალიმენტის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში კასატორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული დასაბუთებული შედეგება წარმოადგინა, რაც ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. ამასთანავე, რადგანაც არ იკვეთება მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევის ან სხვა საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის გამო საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის დაბრუნების წინაპირობები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, პალატა უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება:

1.8.1. საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ მსგავსად 1234-ე მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციისა, მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხისათვის წარსული სამი წლის ალიმენტის დაკისრებას, პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელის ეს მოთხოვნა მხოლოდ ორი წლის ალიმენტის დაკისრების ნაწილში დააკმაყოფილა, ხოლო ალიმენტის ყოველთვიური ოდენობა განსაზღვრა 300 ლარით, რაც მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია, შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა (სსსკ-ის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი) და იგი საკასაციო სასამართლოში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განსაზღვრულზე მეტი ოდენობით თანხის დაკისრებას ვერ მოითხოვს, ამასთანავე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის კონტექსტში, კასატორი მოითხოვს რა მოპასუხის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს საკასაციო საჩივრის სრულად დაკმაყოფილების საფუძველი.

2. სასამართლო ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი

ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსარჩელე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, შესაბამისად, არ არსებობს ამავე კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, მხარეთა შორის პროცესის ხარჯების დამატებით განაწილების წინაპირობები, ამასთანავე, ვინაიდან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოპასუხეს ასევე არ ეკისრება ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორების ვალდებულება, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მ. ა-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება წარსული პერიოდის ალიმენტის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. მ. ა-ის სარჩელი ბ. შ-ის მიმართ წარსული პერიოდის (ორი წლის) ალიმენტის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდეს.
4. ბ. შ-ეს არასრულწლოვანი შვილის, 2007 წლის 22 სექტემბერს დაბადებული მ-ა შ-ის სასარგებლოდ დაეკისროს ორი წლის ალიმენტის – 7 200 ლარის გადახდა.
5. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ალიმენტის დაკისრება

ბანჩინება საქართველოს სახელით

№ას-1011-931-2017

16 იანვარი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. გ. მ. (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, აპელანტი ან კასატორი) და მ. ა. (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე ან მონინააღმდეგე მხარე) 2006 წლის 26 დეკემბრიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ.

2. 2011 წლის 14 ნოემბერს მხარეებს შეეძინათ შვილი – დ. (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მცირეწლოვანი, არასრულწლოვანი ან ბავშვი).

3. მოსარჩელე ბავშვთან ერთად ცხოვრობს საქართველოში, ქ. ... პენსიონერი მშობლების სახლში.

4. მოპასუხე ცხოვრობს და მუშაობს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. იგი კომპლენც-ლანდაუს უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელია და მისი ხელზე ასაღები ყოველთვიური ხელფასი 3566,96 ევროს შეადგენს.

5. მხარეები ერთ ოჯახად აღარ ცხოვრობენ. მათი ქორწინება თელავის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 29 დეკემბრის გადანყვეტილების საფუძველზე შეწყვეტილია.

6. მოპასუხე მოსარჩელეს თვე-ნახევარში ერთხელ 200 ევროს ურიცხავდა (თვეში დაახლოებით 133 ევროს), ხოლო წელიწადში ორჯერ, ბავშვს 250-300 ევრომდე ღირებულების ამანათებს უგზავნიდა.

7. 2016 წლის 19 აპრილს, მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ, მათი მცირეწლოვანი შვილის სასარგებლოდ, სრულწლოვანების მიღწევამდე, ყოველთვიურად 1000 ევროს დაკისრების მოთხოვნით. მისი მტკიცებით, მოპასუხე გერმანიაში, კომპლენც-ლანდაუს უნივერსიტეტში სამეცნიერო, პედა-

გოგიურ და პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა და საკმაოდ მაღალი ანაზღაურება აქვს. მოსარჩელის განმარტებით, ჯერ კიდევ მოპასუხესთან თანაცხოვრების პერიოდში, მისი მეუღლის ყოველთვიური ხელფასი 5000 ევროს შეადგენდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, მოპასუხე მოსარჩელის საქართველოში დაბრუნების შემდგომ შვილზე სათანადოდ არ ზრუნავდა, იგი ბავშვის სარჩენად ყოველთვიურად მხოლოდ 130 ევროს აგზავნიდა, რაც მინიმალურადაც ვერ ფარავდა მცირეწლოვნის აღზრდისა და მკურნალობისათვის საჭირო ხარჯებს. მოსარჩელე ასევე ყურადღებას ამახვილებდა ბავშვის ფიზიკურ ნაკლზე, იმაზე რომ არასრულწლოვანს მარცხენა ხელის მტევანზე არცერთი თითი არ აქვს. ამას გარდა, ის ამტკიცებდა, რომ გართულებული ფეხმძიმობისა და მშობიარობის შემდეგ, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაც გაუარესდა, რის გამოც, მას უცხო ქვეყანაში გაუჭირდა ბავშვის მარტო აღზრდა და სწორედ ამიტომ გახდა იძულებული, ერთი წლის ბავშვთან ერთად საქართველოში, პენსიონერი მშობლების სახლში დაბრუნებულიყო.

8. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი ნაწილობრივ, 200 ევროს ნაწილში ცნო, ხოლო დანარჩენ ნაწილში გამოორიცხა მოთხოვნა და მიუთითა, რომ უსაფუძვლო იყო მოსარჩელის განმარტება, თითქოსდა, მოპასუხე საკუთარ შვილს მატერიალურად საკმარისად ვერ უზრუნველყოფდა. მას დღემდე არ შეუწყვეტია საკუთარი შვილის მატერიალური დახმარება, იგი მოსარჩელეს თვე-ნახევარში ერთხელ 200 ევროს (რაც თვეში 133 ევროს შეესაბამებოდა), ხოლო წელიწადში ორჯერ, დაახლოებით, 250-300 ევრომდე ღირებულების ამანათებს უგზავნიდა. მოსარჩელის მითითება, რომ ბავშვს მარცხენა ხელის მტევანზე არცერთი თითი არ გააჩნია, მოპასუხემ სადავოდ გახადა და მიუთითა, რომ ბავშვს მარცხენა ხელის მტევანზე მხოლოდ ორი თითი არ აქვს, ხოლო დანარჩენ სამს, მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად განვითარებული აქვს, მაინც იყენებს. ამასთან, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია ბავშვის მკურნალობისთვის გაწეული ხარჯების რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება.

9. თელავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს, არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ, ყოველთვიურად, ბავშვის სრულწლოვანების მიღწევამდე ან სხვა გარემოებების შეცვლამდე, ალიმენტის – 400 ევროს გადახდა დაეკისრა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში, სსკ-ის 1197-ე, 1198-ე, 1201-ე, 1202-ე, 1212-ე, 1214-ე, 1221-ე და 1234-ე მუხლები გამოიყენა.

10. აღნიშნული გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმების, ახალი გადანყვეტილების მიღებისა და ყოველთვიური ალიმენტის ოდენობად მხოლოდ 135 ევროს განსაზღვრის მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

10.1. აპელანტის მტკიცებით, სასამართლოს მიერ განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა (400 ევრო) არ შეესაბამება არც აპელანტის მატერიალურ მდგომარეობას და არც ბავშვის აღზრდისათვის აუცილებელ საჭიროებებს. სასამართლომ არ გაითვალისწინა მოპასუხის მიერ ყოველთვიურად გასანევი აუცილებელი ხარჯები, მათ შორის, პირველ რიგში, სამედიცინო დაზღვევისა და მოხუცთა მოვლის დაზღვევისთვის ყოველთვიურად გადასახდელი თანხა – 811,28 ევრო (გერმანიაში მომსახურე პერსონალის ხელზე ასაღებ (ნეტო) ხელფასად ითვლება ის სხვაობა, რომელიც რჩება მთლიანი (ბრუტო) ხელფასიდან სახელფასო დაბეგვრის, სოლიდარობის გადასახადის, უმუშევრობის, საპენსიო, მოხუცთა მოვლის და სამედიცინო დაზღვევის გადასახადის დაკლების შემდეგ. მოპასუხის შემთხვევაში, ნეტო ხელფასი 2755.68 ევროს შეადგენს (3566,96-811.28=2755.68). აპელანტის მითითებით, სააპელაციო საჩივარში დანვრილებით იყო მითითებული მოპასუხის მიერ გასანევი ხარჯების შესახებ, რომლის მიხედვითაც, მათი ოდენობა 3260 ევროს შეადგენს, რაც ფაქტობრივად უტოლდება ყოველთვიური შემოსავლების ოდენობას. ამდენად, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ალიმენტის – 400 ევროს ოდენობით განსაზღვრის შემთხვევაში, მოპასუხე ვერ შეძლებდა იმ აუცილებელი ხარჯების გაწევას, რომელიც გერმანიაში ცხოვრების პირობებში გასანევი ხარჯებს წარმოადგენს.

10.2. აპელანტის მითითებით, გასაჩივრებული გადანყვეტილება არ შეიცავდა რაიმე შეფასებას მოსარჩელე მხარის მატერიალური მდგომარეობის შესახებ, რაც ალიმენტის ოდენობის სწორად განსაზღვრისათვის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა;

10.3. აპელანტის მტკიცებით, სასამართლომ არ გამოიკვლია, თუ რა ყოველთვიური საჭიროებები გააჩნია ბავშვს. ამდენად, გაურკვეველია რომელ ფაქტობრივ გარემოებას ან/და მტკიცებულებას ემყარება სასამართლოს დასკვნები არსებული ოდენობით, ალიმენტის განსაზღვრის შესახებ;

10.4. აპელანტის აზრით, სასამართლომ არ გამოიკვლია ის ფაქტი, უნევდა თუ არა მოსარჩელეს გარკვეული ხარჯების გაღება იმის გამო, რომ არასრულწლოვანს დაბადებიდან მარცხე-

ნა ხელის მტევანზე არ აქვს ორი თითი, ხოლო დანარჩენი სამი თითი კი ნაკლებად განვითარებული აქვს. ამდენად, აპელანტის მითითებით, ცალსახა იყო, რომ სასამართლომ სათანადოდ არ შეისწავლა საქმეში არსებული მტკიცებულებები, ასევე, არანორი შეფასება მიეცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს.

10.5. აპელანტის მოსაზრებით, სასამართლომ გასაჩივრებული გადანყვეტილება ისე მიიღო, რომ არ გამოიკვლია მოსარჩელის ფინანსური მდგომარეობა, საქმეზე მიღებული გადანყვეტილებით კი, მოსარჩელე ფაქტობრივად გაათავისუფლა საალიმენტო ვალდებულებისაგან, ხოლო მოპასუხე არათანაბარ და არასამართლიან მდგომარეობაში ჩააყენა; მისი მოსაზრებით, ბავშვის რჩენა-აღზრდისათვის მოსარჩელეს რეალურად შესაძლოა, ყოველთვიურად მხოლოდ 200-250 ლარი ესაჭიროებოდეს, თუმცა მან მოპასუხისთვის იმ მოცულობის თანხის დაკისრება მოითხოვა, რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მცირენლოვნის რჩენა-აღზრდას, არამედ უშუალოდ მოსარჩელისა და მისი ოჯახის ნევრების მოთხოვნილებებს; ის ამტკიცებდა, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილებით უგულვებელყოფილი იყო ის ფაქტიც, რომ მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნა ყოველთვიურად მხოლოდ 133.33 ევროს (ეკვივალენტი ლარის) გადახდის ნაწილში ცნო, სასამართლომ კი მოპასუხე მხარის პოზიცია მორიგების ფარგლებში 200 ევროს (ეკვივალენტი ლარის) გადახდის შესახებ არასწორად აღიქვა ამ ფარგლებში სარჩელის ცნობად.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 12 ივლისის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადანყვეტილება.

11.1. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები და შეფასებები ალიმენტის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. პალატის განმარტებით, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე მცირენლოვან შეილთან ერთად პენსიონერი მშობლების ბინაში ცხოვრობს, არ გააჩნია საკუთარი საცხოვრებელი ფართი, აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, არის უმუშევარი და დაკავებულია შვილის აღზრდით, ხოლო მოპასუხე კობლენც-ლანდაუს უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელია და მისი ხელზე ასაღები ყოველთვიური ხელფასი 3566,96 ევროს შეადგენს, ამასთან, რადგანაც, საქმის მასალებით არც მოპასუხის კმაყოფაზე სხვა პირთა ყოფნის ფაქტი დადასტურდა, მოპასუხეს, ყოველთვიურად ალიმენტის – 400 ევროს ოდენობით (რაც მოპასუხის ყოველთვიური შემოსავლის მხოლოდ

11,2%-ია) გადახდა, მართებულად დაეკისრა;

11.2. სააპელაციო პალატამ მოპასუხის ყოველთვიურ ხარჯებთან დაკავშირებით განმარტა, რომ აპელანტის მიერ მითითებული ხარჯების უმრავლესობა ნებაყოფლობითია (მათ შორის, ჯანმრთელობისა და საჭიროების შემთხვევაში, მუდმივი დაზღვევისთვის ყოველთვიურად გადასახდელი თანხა – 811,28 ევრო), ამასთან, პალატის დასკვნებით, ის მოპასუხის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასა და მისი პირადი კომფორტისკენ არის მიმართული, რაც ვერ გადანონიდა საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობით გარანტირებულ ბავშვის უფლებას – უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის.

12. აღნიშნული განჩინება, 2017 წლის 5 ივლისის საოქმო განჩინებასთან ერთად, რომლითაც არ დაკმაყოფილდა საქმეზე მტკიცებულებების დართვის შუამდგომლობა, საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების, ახალი გადანყვეტილების მიღებისა და ბავშვის სარჩოდ ალიმენტის – 135 ევროს ყოველთვიურად განსაზღვრის მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

12.1. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ მოპასუხის ყოველთვიური ხარჯის ოდენობა ფაქტობრივად თითქმის მის ყოველთვიურ შემოსავალს უტოლდება, რომელიც მიმართულია სავალდებულო გადასახადების, პირადი და მოხუცი დედის საჭიროებების უზრუნველსაყოფად;

12.2. სასამართლომ ბავშვის რჩენის ვალდებულება მხოლოდ მოპასუხეს დააკისრა, ხოლო მონინალმდევე მხარე კი, მთლიანად გაათავისუფლა ამ ვალდებულებისაგან; გასაჩივრებული გადანყვეტილებით არ არის დასაბუთებული ბავშვის ყოველთვიური საჭიროებები;

12.3. გასაჩივრებული გადანყვეტილების დასკვნა, რომ მოპასუხის მიერ ყოველთვიურად სამედიცინო დაზღვევისა და მოხუცთა მოვლის დაზღვევისათვის გადასახდელი თანხა – 811,28 ევრო, წარმოადგენდა ნებაყოფლობით და არა სავალდებულო გადასახადს, რაც მიზნად ისახავს საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასა და პირადი კომფორტის შექმნას, როგორც ამჟამად, ისე მომავალში, უსაფუძვლოა;

12.4. სასამართლომ არასწორად აღნიშნა გადანყვეტილებაში, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მოპასუხის კმაყოფაზე სხვა პირთა ყოფნის ფაქტი, რადგან სააპელაციო საჩივარში მოპასუხეს მითითებული ჰქონდა, რომ ჰყავს პენსიონე-

რი დედა, რომელსაც იგი თვეში საშუალოდ 101,28 ევროს უგზავნი, რომლის დასადასტურებლადაც სასამართლოს წარუდგინა თანხის გადარიცხვის დოკუმენტები, რომელთა საქმეზე მტკიცებულებების სახით დართვაზე სასამართლომ უსაფუძვლოდ განაცხადა უარი;

12.5. კასატორის მოსაზრებით, მტკიცებულებებს, რომელთა დართვასაც ის სააპელაციო სასამართლოში ითხოვდა, არსებითი მნიშვნელობა გააჩნდა საქმეზე ობიექტური და სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. აღნიშნული მტკიცებულებები მოპოვებულია სააპელაციო საჩივრის წარმოდგენის შემდგომ და საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებების გათვალისწინებით, არსებობდა მათი საქმეზე დართვის კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საფუძვლები. კასატორის მტკიცებით, მას საოქმო განჩინებით, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, უსაფუძვლოდ ეთქვა უარი წარდგენილი მტკიცებულებების მიღებაზე, რითაც დაირღვა თანაბარი მოპყრობის პრინციპი და სამართლიანი სასამართლოს უფლება;

12.6. მართალია, სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მცირეწლოვანს დაბადებიდან მარცხენა ხელის მტევანზე არ აქვს ორი თითი, ხოლო დანარჩენი სამი ნაკლებად განვითარებული აქვს, თუმცა, საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დადასტურდა ის ფაქტი, რომ არსებული მოცემულობის გათვალისწინებით, მოსარჩელეს დამატებით გარკვეული ხარჯების გაღება უწევს;

12.7. გადაწყვეტილების გამოტანისას, გათვალისწინებული არ იქნა ის გარემოებაც, რომ კასატორი სარჩელის აღძვრის მომენტიდან, 2016 წლის 19 აპრილიდან, 2016 წლის ბოლომდე მოსარჩელეს ბავშვისთვის უგზავნიდა თანხას, ჯამში, მოსარჩელისათვის მოპასუხეს გაგზავნილი აქვს 1900 ევრო, რისი ჩათვლაც არ მოხდა სარჩელის აღძვრის დღიდან დაკისრებულ ალიმენტის ოდენობაში.

12.8. სასარჩელო მოთხოვნა კასატორმა ცნო ყოველთვიურად ალიმენტის – 133,33 ევროს გადახდის ნაწილში, სასამართლომ კი, მოპასუხის პოზიცია მორიგების ფარგლებში 200 ევროს გადახდის შესახებ აღიქვა ამ ფარგლებში სარჩელის ცნობად, რითაც დაარღვია მოპასუხის კანონით დაცული უფლებები და ინტერესები.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ნოემბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

(შემდეგში სსსკ-ის) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

14. 2017 წლის 7 დეკემბერს კასატორმა საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცნობა (MES 9 17 01493357), რომლის მიხედვითაც საქმის საკასაციო ინსტანციაში განხილვის დროს, მოსარჩელე ვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე, იმავე უნივერსიტეტის პროფესიული ცენტრის მენეჯერის თანამდებობაზე დასაქმდა. მისი ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო თვეში 400 (ხელზე ასაღები 320) ლარს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია. რადგანაც საქმეზე არ არის დადგენილი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოება, რასაც შედეგად დაუსაბუთებელი გადანყვეტილების მიღება მოჰყვა, პალატა მიიჩნევს, რომ გამოიკვეთა სსსკ-ის 412-ე მუხლის წინაპირობები, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახალი განხილვის მიზნით უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

15. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადანყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადანყვეტილებებზე და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება);

16. განსახილველ შემთხვევაში, კასატორმა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია წარმოადგინა და მიუთითა, რომ ალიმენტის დაკისრებისას სასამართლომ არ გაითვალისწინა მისი, როგორც ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის, რეალური მატერიალური მდგომარეობა, ასევე, ის საჭიროებები, რომლებიც მის არასრულწლოვან შვილს გააჩნდა, რასაც შედეგად დაკისრებული ალიმენტის ოდენობის არასწორად განსაზღვრა მოჰყვა. სახელდობრ:

16.1. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, კანონის მიხედვით, ორივე მშობელს თანაბრად ეკისრება შვილის რჩენის ვალდებულება, მიუხედავად იმისა, ისინი ერთმანეთთან ქორწინებაში იმყოფებიან თუ არა. მშობლები ვალდებული არიან არჩინონ თავიანთი შვილები სრულწლოვანებამდე. ალიმენტის გადახდევინება მიზნად ისახავს ბავშვის ინტერესების დაცვას, მისთვის არა მარტო არსებობისათვის აუცილებელი მინიმუმის უზრუნველყოფას, არამედ, თუ ეს შესაძლებელია, ცხოვრების იმ დონის შენარჩუნებასაც, რომელიც მას ექნებოდა მშობლების ნორმალური ურთიერთობის პირობებში. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე, შვილების ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამავდროს, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ის გარემოება, თუ როგორია ალიმენტის გადამხდელის რეალური ქონებრივი მდგომარეობა. სსკ-ის 1214-ე მუხლი ითვალისწინებს ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის ძირითად პირობებს, კერძოდ, ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე, შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნებს, აგრეთვე, მშობლებისა და შვილების რეალურ მატერიალურ მდგომარეობას. შვილების რჩენის ვალდებულება უპირობო ხასიათისაა, ის არაა დამოკიდებული მშობლის ფინანსურ მდგომარეობაზე და იმის გამო, რომ შრომისუნარიანი მშობელს არ გააჩნია სტაბილური მატერიალური შემოსავალი, იგი არ შეიძლება, გათავისუფლდეს შვილის რჩენის ვალდებულებისაგან. ამასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა მხარეთა ყურადღებას მიაქცევს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 27.2 მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს, რომ მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის აღმზრდელ სხვა პირებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ თავიანთი შესაძლებლობებისა და ფინანსური საშუალებების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები (მდრ. სუსგ №ას-1141-1061-2017, 17.10.2017).

16.2. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილებით სწორადაა განსაზღვრული სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი (სსკ-ის 1214-ე მუხლი), თუმცა სრულყოფილად არ არის გამოკვლეული მითითებული ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმა-

პირობებელი ფაქტობრივი წინაპირობები, როგორც ბავშვის, ისე ორივე მშობლების რეალური მატერიალური მდგომარეობა (იხ. მითითებული ნორმის ბოლო წინადადება). ამ კუთხით, პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი კასატორის ხარჯების ამსახველი მტკიცებულებები სათანადოდ არ იქნა გამოკვლეული და აქედან გამომდინარე, არ დადგენილა თუ რომელი ხარჯები წარმოადგენს მოპასუხის მიერ გასაღებ აუცილებელ ხარჯებს. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პოზიციას იმ ნაწილშიც, რომ ალიმენტის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია სასამართლოს მხრიდან დადგინდეს არა მხოლოდ ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის მატერიალური მდგომარეობა, არამედ – ალიმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირის საჭიროებები, იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც აუცილებელია მისი ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ სათანადოდ არც ის რეალური აუცილებელი საჭიროებები გამოკვლეულა, რომლებიც კასატორის არასრულწლოვან შვილს გააჩნია და რაც აუცილებელია მისი ნორმალური რჩენა აღზრდისა და განვითარებისთვის.

16.3. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებაზეც, რომლის მიხედვითაც, მოპასუხე მოსარჩელეს ყოველთვიურად 133 ევროს უხდიდა. პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება დამატებით კვლევას საჭიროებს. თუ დადგინდება, რომ კასატორი მოსარჩელის სახელზე თანხების ჩარიცხვას სარჩელის აღძვრის შემდგომაც აგრძელებდა და აგრძელებს, ამ გარემოების გათვალისწინება უნდა მოხდეს სარჩელის აღძვრის დღიდან დაკისრებული ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას.

16.4. აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის საპროცესო რეალიზაციის წესზეც. სამოქალაქო სამართალწარმოებით განსახილველ სხვა კატეგორიის საქმეთაგან განსხვავებით, საოჯახო სამართლებრივი დავების განხილვა ინკვიზიციური ელემენტებითაა გაჯერებული და სსსკ-ის 354-ე მუხლით კანონმდებელი შესაძლებლად მიიჩნევს საქმის გარემოების დადგენას სასამართლოს ინიციატივითაც. ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მი-

უთითებიათ. მითითებული საპროცესო წესის გამოყენება სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე მით უფრო გამართლებულია, რამდენადაც სააპელაციო სასამართლო, როგორც სამართალწარმოების მეორე ინსტანცია, დავის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლოა და ამავე კოდექსის 380-ე მუხლით მას ახალ მტკიცებულებათა მიღების შესაძლებლობაც გააჩნია. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, როდესაც საკითხი სსკ-ის 1202-ე მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს პოზიტიურ ვალდებულებას შეეხება, სასამართლომ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ზედმინევით სწორად დაადგინოს არასრულწლოვნის ქეშმარიტი ინტერესები. ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას (ბავშვის უფლებათა კონვენციის 3.1 მუხლი). აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას 2017 წლის 5 ივლისის საოქმო განჩინების დაუსაბუთებლობასთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ აპელანტის შუამდგომლობა ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულების საქმეზე დართვის შესახებ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან უსაფუძვლოდ იქნა უარყოფილი იმ დასაბუთებით, რომ საქმეში უკვე არსებობდა იმავე გარემოებების დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებები და მიზანშეწონილი არ იყო დამატებითი მტკიცებულებების საქმეზე დართვა. საკასაციო პალატა მიუთითებს სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მხარეები, მართალია, თვითონ განსაზღვრავენ თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები, მაგრამ სწორედ სასამართლოს აკისრია ვალდებულება, ხელი შეუწყოს მხარეების მიერ ყველა არსებით ფაქტზე დროულ და სრულყოფილ განმარტებებს, განსაკუთრებით იმას, რომ მხარეებმა განავრცონ არასაკმარისად წარმოდგენილი მითითებები მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით, დაასახელონ მტკიცებულებები და დააყენონ საქმისთვის მნიშვნელოვანი შუამდგომლობები. ცხადია, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების სათანადო გამოკვლევის შედეგად სააპელაციო სასამართლო შეძლებდა მოპასუხის რეალური მატერიალური მდგომარეობის თაობაზე უფრო დამაჯერებელი და არგუმენტირებული დასკვნის გამოტანას.

17. საკასაციო სასამართლოში კასატორმა წარმოადგინა ცნობა იმის დასადასტურებლად, რომ მოსარჩელე დასაქმებულია და გააჩნია გარკვეული შემოსავალი (იხ. წინამდებარე განჩინების პ.14). ვინაიდან, საკასაციო სასამართლო არ წარმოადგენს ფაქტების დამდგენ სასამართლოს, ის მოკლებულია შესაძლებლობას, საქმეს დაურთოს ახალი მტკიცებულება ან/და შეფასება მისცეს მას. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ საქმე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად უბრუნდება, პალატას მიაჩნია, რომ მითითებული მტკიცებულება სასამართლომ არა მარტო უნდა მიიღოს, არამედ შეაფასოს ის სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად, რათა ობიექტურად იქნეს გამორკვეული ბავშვის დედის მატერიალური მდგომარეობაც.

18. ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა იმსჯელოს ახალი მტკიცებულებების (მოპასუხის ყოველთვიური ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და მოსარჩელის დასაქმების შესახებ ცნობის) საქმეზე დართვის შესახებ და ამის შემდგომ გამოიკვილოს როგორც ალიმენტის გადახდაზე ვალდებული მშობლის (მამის), ისე – ბავშვთან ერთად მცხოვრები მშობლის (დედის) რეალური მატერიალური მდგომარეობა, ასევე – ალიმენტის მიღებაზე უფლებამოსილი ბავშვის ნორმალური რჩენა-აღზრდისთვის აუცილებელი საჭიროებები და ისე განსაზღვროს ალიმენტის ოდენობა, რა დროსაც უნდა გაითვალისწინოს ალიმენტის ოდენობასთან მიმართებით დადგენილი სასამართლო პრაქტიკაც (შდრ. სუსგ №ას-1141-1061-17, 17.10.17, №ას-207-197-17 7.07.17, №ას-1167-1122-16, 26.06.17, №ას-675-631-17, 16.06.17, №ას-395-368-17, 2.06.17, №ას-220-210-16, 13.05.16, №ას-326-311-16, 30.06.16, №ას-53-51-16, 6.07.16 და ა.შ.)

19. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამარ-

თლებრივი საფუძვლიანობის შემონმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამონმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

20. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 257.1, 412-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. გ. მ-ს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ივლისის განჩინება და ამავე სასამართლოს 2017 წლის 28 ივნისის საოქმო განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკიბეალო

1. მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები	
ქონების გაყოფა განქორწინებისას	3
არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინება თანასაკუთრების გაყოფისას	13
ერთ-ერთი მეუღლის ვალის დაფარვის წესი	26
2. მშობლების, შვილებისა და სხვა ნათესავების ურთიერთობა	
შვილის გვარის გამოცვლა	39
მამობის გაუქმება	53
3. მშობლის უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ	
არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა მშობლების განქორწინებისას	76
არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა	91
შვილის ნახვის დღეების განსაზღვრა	110
არასრულწლოვანი შვილის დაბრუნების მოთხოვნის უფლება	128
მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვა	149
4. საალიმენტო მოვალეობანი	
ალიმენტის დაკისრება	160; 173; 182